მანტეგაცცა.

შრომა და ბედნიერება

თარგმანი

მოსე ნინიძისა

კილაძის და ამხ. სტამბის გამოცემა.

ბათუმი
ქილაძის და ამხ. სტამბა ТИПОГРАФІЯ КИЛАДЗЕ И К°
1901

ამ წიგნის ავტორი, პაოლო მანტეგაცცა არის იტალიის ერთი თანამედროვე უნაყოფიერესი მწერალი. კითხვები, მის მიერ წამოყენებულნი ლიტერატურაში, ეხებიან ანტროპოლოგიას, სოციოლოგიას და გიგიენას. მისი ნაწერები, რომელთაგან უმრავლესობა გადათარგმნილია ყველა ევროპიულ ენებზე, ანდამატურის ძალით იზიდავენ როგორც საშუალო და უმაღლესად განათლებულ ადამიანებს, ისე მდაბიო მკითხველსაც. ამისი მიზეზი არის ავტორის პოპულიარული ნიჭი. რუსულ ლიტერატურაში ბ. მანტეგაცცას ნაწერებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩვენ მიერ ნათარგმნი „შრომა და ბედნიერება“. ამ წიგნში განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენ მივაქციეთ იმ ადგილებს, რომელნიც საკმაოდ ახასიათებენ შრომას და მისგან წარმოშობილ ბედნიერებას. ამ მოსაზრებით ჩვენ გამოვტოვეთ 8, 9, 10, და 11 თავი. ზოგ ადგილას ჩვენ ვიხმარეთ უცხო სიტყვები, *) რათა მკითხველისათვინ შეძლებისა და გვარად ნათლად გადაგვეცა დედანის „სული“ და ხასიათი.

მ. ნინიძე

---

*) უცხო სიტყვების ახსნა ისიელ წიგნის ბოლოში.

ობისა და გამოურკვეველი „ხეტიალის“ დროს, ჩვენ გვემართება, გვემთხვევა ცხოვრების უბედურება; ჩვენ ვკარგავთ ერთად ერთს გზას, რომელსაც ბედნიერებისკენ მივყევართ, და რომელიც მდგომარეობს ბუნების შეუცვლელ კანონების დამორჩილებაში.

ქვეყანა გაჩენილია ჩვენამდე და უჩვენოდ. ჩვენ კი, მისი დროებითი შვილები, უცებ შთავვარდით ათას ნაკლულევანებასა და სიმახინჯეს შორის. რა უნდა ვქნათ: არც გასწორება, არც გარდაქმნა ჩვენ არ შეგვიძლია. დაგვრჩენია ერთი, რომ უნდა მივიღოთ ბუნების უკვე დაწესებული ფაქტები და გამოვიტანოთ სარგებელი იმ ძალებიდგან, რომელთაც ბუნება გვაძლევს ჩვენს უფლებაში. ნაკლულევანებანი ბევრია, მარა ადამიანი ტრიალებს ვეებერთელა ჰორიზონტში, აქვს ნაყოფიერი მინდვრები და ყვავილოვანი ბაღები,—ღრუბლები, ცა—ეგ ყველაფერი ადამიანს უხატავს ბუნების უსაზღვროებას, იპყრობს მას სულით ან ხორცით, ჰგლეჯს ყოველდღიური ტალახიდგან და მიაქვს პოეზიისა და იდეალისაკენ. და როდესაც ადამიანს აქვს მინდორი დასამუშავებლად და ცა საცნებოდ, როდესაც მას აქვს არსებითი პური დღეისათვინ და უსაზღვრო იმედი ხვალეზე, როდესაც მან მისი ოჯახისთვინ უკვე მოაწყო თბილი ბუდე—განა ის არ არის მაშინ ყველაზედ ნიერესი ქმნილება?... განა ის ბატონი არ არის თავის პლანეტაზე, განა მას მეცნიერების შემწეობით არ შეუძლია მისწვდეს

იმ საოცნებო კუთხეებს მსოფლიოსი, სადაც მხოლოდ პოეზიის ფრთებით დაფრინავენ. მაგრამ ადამიანი რომ ბედნიერი იყოს, ის უნდა იყოს ინტელიგენტი და ბუნების ყურმოჭრილი მონა ბუნების გარეშე არ არის ხსნა. ყველა ცოდვები, ყველა ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვანი წარმოსდგებიან იმისგან, რომ ადამიანი ბუნების უცვლელს კანოს (ЖОДЕЛЬ) არღვევს. ბუნებრივია პატიოსნური სურვილი ადამიანისა, ბუნებრივია ადამიანის სურვილი შრომისა, ბუნებრივია მიდრეკილება თავისი თავის გაუმჯობესებისა; მაგრამ ყოველივე უპატიოსნება, სიზარმაცე და გახრწნილება (ზნეობრივი) სძაგს ბუნებას, და ის, როგორც შეუწყნარებელი, მაგრამ სწორი მოსამართლე, სჯის დამნაშავეს, და სჯის მით, რომ მას სინიდისი აწუხებს და თითონვე სძულდება თავისი თავი. მრავალი სოციალური ავადმყოფობანი, რომელთა განკურნა ჩვენ ეხლა არ შეგვიძლიან, თავის თავად იკურნებიან მაშინ, როცა ადამიანი სწავლობს ბუნების წიგნის კითხვას და ბრუნდება იმ გზაზე, რომელზედაც ბუნება დიდი ხანია იწვევს მას.

ერთი საზოგადო კანონთაგანი ბუნებისა—ეს არის შრომა, და ვინც მოინდომებს ამ კანონის დარღვევას, ის იქმნება იჯანყების მოთავე და დაისჯება წესიერად თვით ბუნებისგან, ან სხვა ადამიანებისგან, ან ორივესაგან ერთად, ეს სასჯელი კი ხშირად ძნელია.

როდესაც მე ბავშვი ვიყავი, დედაჩემი, ძლიერ

შრომის მოყვარე ქალი, ხშირად მეუბნებოდა: „ჩემო შვილო, იმუშავე; შრომა—ქვაკუთხედია ზნეობისა და საუკეთესო კმაყოფილება ცხოვრებაში“. მაგრამ მე მაშინ ნამდვილი „მუქთა ხორა“ ვიყავი. მეცადინეობა მეჩვენებოდა რაღაც აუტანელ ტვირთად, რომელიც ვითომ სასჯელად იყო დაწესებული.

მიდიოდნენ წლები. მასწავლებლის ჩემზე ჩივილს საზღვარი არ ჰქონდა. დედა მუდამ „მემუდარებოდა“. მე მაინც გაჯიუტებული ვიყავი. მაგრამ ეგ სიბნელე ცოტცოტა გაჰქრა და ჩემს თავში სინათლის სხივებმა შეაშუქეს, იმ სინათლის, რომელსაც ადამიანის ჭკვა ეწოდება. ეგ დრო მე დიადის სიხარულით და მღელვარებით მაგონდება, რადგან ამ დროდგან მე შევიქენი ადამიანი, რომელსაც შემდეგ ერთი საათიც კი არ უტანჯნია,—და ამიტომ ხშირად უშიშრად ვამბობ, რომ მე— ბედნიერი კაცი ვარ....

—

მე უკვე ჭაბუკი ვიყავი, ახალგაზრდობა ფეთქდა ჩემ გულში. აპრილის დღე იყო. მე, ჩვეულების წინააღმდეგ, რიჟრაჟზე გამომაღვიძეს წინაღამის საზარელმა სიზმრებმა. აღელვებული ავდექი, ბაღში გამოვედი და მთელი მკერდით ვსუნთქავდი ყვავილების, გამოღვიძებული ბალახების და მცენარების სურნელებას. მე შევჩერდი ერთი მეტად ლამაზი ყვავილის წინ და შტოს სწორება დავუწყე. რამდენი ცოცხალი

არსება ფუსფუსებდა ჩემს გარშემო! რამდენს გაეღვიძათ ჩემზე ადრე! და ისინი ხომ ყველა მუშაობდნენ!...

დაუღლელი ფუტკრები ყვავილიდგან ყვავილზე ფრინავდნენ და ჰპარავდნენ მათ ნაყოფიერს მტვერს (пыль) და სურნელოვან წვენს, კრაზანები დურგლობდნენ თავინთი მაგარი იარაღებით. მთელი გროვა ბუზებისა ცოცავდა ფოთლებზე და სჭამდა რბილ ნაწილებს.

ჩემი ყურადღება სრულიად მიიპყრო ერთმა ვარდის ბუჩქმა; მწვანე გაუმაძღარი ჭიები ხრავდნენ ფოთლებს და კვირტებს, უნდოდათ შუა გულში შემძრალიყვენ და იქიდგან ყველაფერი გამოეწუწნათ; ჭიანჭვლები გარბოდნენ საჩქაროდ სამუშაოდ. ყვავილოვანი სუმბულის ბუჩქში მხიარულად ფრთხიალებდნენ სხვა და სხვა ფერი პეპლები და ეჩქარებოდნენ თაფლის შეგროვებას. რამდენი ხმაურობა, რამდენი მოძრაობა, რამდენი საქმიანობა იყო ამ მფრინავ და მცოცავ მწერთა სამეფოში!....

მე ჩამოვჯექ ხის სკამზე და იდაყვ დაყრდნობით დავყურებდი დედა მიწას; თავში კი სულ ერთი და იგივე აზრი მიტრიალებდა. ყველა ეს ათას გვარი მწერები დაუღალავად მუშაობდნენ; ყველა შრომობდა, რომ თავისის და თავისი ოჯახისთვის სარჩო ეშოვნა; ვინ თაფლს აგროვებდა, ვინ სახლის ასაშენებელს მასალას შოულობდა, მაგრამ ყველა კი შრომო-

ბდა... ამ წუთში ყველაზე უფრო ძლიერად გამიწ-
კრიალა ყურებში დედის სიტყვებმა: „ჩემო შვილო,
იშრომე!..

რამდენიმე წუთის შემდეგ შევნიშნე, რომ შორი-
ახლო ორი გროვა ჭიანჭველებისა თავგამოდებით
ფუსფუსებდნენ, წინ და უკან დარბოდნენ. ზოგს პირ-
ში ჩალის ღერი მიჰქონდა, ზოგი ფოთლებს მია-
თრევდა, ზოგი მარცვლებს ებლაუჭებოდა—ესენი
ნელნელა მიდიოდნენ; ისინი კი, ვინც დატვირთული
არ იყვენ, უფრო ჩქარა მიეშურებოდნენ, სარჩოს
ეძებდნენ. და ჭიანჭველებიც შრომობდნენ!. გავა-
ყოლე თვალი ამ პროცესიას და ყურძნის ბუჩქთან
შევნიშნე მებალის მიერ მოკლულის ფუღუს სხეული.
ის გულ ალმა იდვა და ტუჩი უკვე სრულიად გალურ-
ჯებოდა. მე გაკვირვებულმა შევნიშნე, რომ ეგ
მკვდარი სხეული მოძრაობდა, ზევით მიდიოდა რა-
ღაც ძალით. მე დავაკვირდი: ფუღუ ექანავებოდა,
მარა ეგ მამოძრავებელი ძალა კი დამალული იყო.
მივეპარე. ერთი წუთის შემდეგ გამოძვრა გრძელ
ულვაშებიანი თავი მშვენიერი „მესაფლავისა“;
მას გამოპყვა მეორე, მესამე, მეოთხე. მთელი ოჯა-
ხობა დამალულიყო ფუღუს ქვეშ: იქ ისინი კვრეცხ-
ებს დასდებენ. აქაც შრომობდნენ.

ბაღიდგან მე გამოველ მინდორში. აქ ისმოდა
მხიარული ჭყივილი მერცხლებისა, რომლებიც ბუ-
დეს აშენებდნენ. აქაც შრომობდნენ. და ყურებში

ხელახლა გამიელვა დედის სიტყვებმა: „შვილო ჩემო, იშრომე!“

მე დიდხანს დავდიოდი გზებზე, ბილიკებზე, და ბოლოს სრულიად დაღლილი დავეგდე პატარა გორაკზე, რომელიც ხავერდისფერი ხავსით იყო შემოსილი. მე სრულიად დავწეევი ამ ხავსზე, თითქოს მინდოდა მოვხვეოდი დედამიწას, დავახლოებოდი ბუნებას, რომელიც საკვსე იყო სიცოცხლით და საქმიანობით. მე ავწიე ერთი ქვა და მის ქვეშ ვნახე მთელი სამეფო უთვალავ პატარ-პატარა არსებათა. მთელი მათი გროვა რაღაც გალერეებს აკეთებდა. და აქაც, ამ ქვას ქვეშ დუღდა მუშაობა, აქაც, უხილავი მწერებიც ბრძოლნენ ცხოვრებისთვინ. უცებ მომესმა მინდვრიდგან სიმღერა და თოხ-ბარის ცემა. და დავინახე გლეხის ოჯახობა, რომელიც სამუშაოდ გამოსულიყო. ყველაფერი, რაც მე დღეს ვნახე, ჩემთვინ ერთ დიდ მწყობრივ კონცერტად შეერთდა. მე ვხედავდი, რომ ჩემს გარშემო ყველაფერი სულს იდგამდა, და უცებ გადავედი რაღაც უცნობ ქვეყანაში. მთელი მსოფლიო მე წარმომიდგა ერთ ვეებერთელა სახელოსნოდ, სადაც არც ერთი ატომი არ რჩება უმოძრაოდ, სადაც ჰაერი და მზე, მცენარეები, მწერები, ფრინვლები, და ადამიანები მხოლოდ მუშები არიან და ემორჩილებიან უსიტყვო ბრძანებას გამოურკვეველის მეუფისა. შეიძლება, მზე უბრძანებდეს სხვა ქვეყნიურ ქმნილებათ მუშაობას და მოძ-

რაობას, მაგრამ განა ის შრომის მაგალითს არ იძლევა ზეციურ სივრცეში მუდმივი ტრიალით? განა ნათელი, რომელიც მზისგან გამოდის, უსაქმოა? განა ის არ აძლევს სიმწვანეს ფურცლებს და მწერებს სხვა და სხვა ფერს? განა ის სითბო, რომელიც ტყავიდგან სხეულში შედის და სიამოვნებას გვაგრძნობინებს, განა ესეც შრომის სხვა გვარი ფორმა არ არის?..

მცენარეები, რომლებითაც დედამიწა სულ მოფენილია, უთვალავი გელიოტროპები და ხავსები, განა ესენი არ ისუნთქავენ და აქროობენ ჰაერიდგან ცხოველებისათვინ მავნე გაზს; ყოველი დაძველებული ატომი ქვისა იხრწნება და ნიადაგს აკეთებს; ჰაერი შედის ქვაში და შლის მას. მაშასადამე მუშაობენ ქვებიც, ჰაერიც, ნათელიც და სითბოც. განა არ შეგვიძლია, რომ მცენარეს ქიმიური ან ფიზიკური ლაბორატორია ვუწოდოთ? ძირები მცენარისა სწმენდენ დედამიწის წვენს და ნელნელა სვამენ დილის ცვარს; ფურცლები, ჰაერთან ბრძოლის დროს, ასუფთავებენ მას, ისუნთქავენ რა ცხოველების მიერ ამონასუნთქ- წამხდარ ჰაერს,—ასე რომ ყოველი მწვანე ატომი არის დასაწმენდი და დასარღვევი მანქანა. თვითეულ ყვავილში, თვითეულ ხეში—ათასი მილიონი ფილტრები სწმენდნენ სხვა და სხვა ზეთებს და წყლებს; შტოების ღრმა ძარღვებში ნელნელა ბრუნავს სიცოცხლე. და ყველაფერი ეს რომ ერთად ავიღოთ, ეს იქმნება ერთი დიდი სახელოსნო, ერთი დი-

დი მექანიზმი, მუდამ მოძრაობაში მყოფი. მაშასადამე, მუნჯი, უმოძრავო მცენარეებიც მუშაობენ, მუშაობენ მუდამ, დაუსვენებლივ.

ბუნების მწვანე საფარს ქვეშ ასევე ბეჯითად მუშაობს მეორე სახელოსნო, უფრო ხმიანი, უფრო მოძრავი, უფრო საქმიანი რაზმი არსებათა,—და ყველა ესენი იბრძვიან არსებობისათვინ. ზოგი მათგანი თხრის, ზოგი ინახავს; ზოგი ათრევს, ზოგი მკის; ვინ ხუროა, ვინ დურგალი, ვინ მეკუბოვე და მესაფლავე. მაგრამ ყოველგან და ყველაფერში მეფობს შრომა, მოძრაობა, საქმიანობა.

ამ ბუნების თვალიერების დროს მე მეორე კანონიც შევამჩნიე: რამდენი რთულია არსება, იმდენად უფრო სრულია მისი მექანიზმი, და ამასთან ერთად მრავალგვარია მისი მოქმედება—მოძრაობა: ქვა იხავსება და იშლება, მცენარე იკვებება და ნაყოფს იძლევა; მწერი იკვებება, მოძრაობს, იძლევა სითბოს, და ამ გვარად მიდის ადამიანამდინ, რომელიც იკვებება, მოძრაობს, აზროვნობს, ხედავს და იგებს გარშემო ბუნებას, ცნობილობს მის ძალებს და იპყრობს მათ. ის შექმნილა თავად ამ ქვეყნიური სახელოსნოსი, მაგრამ ყველაზე მეტს მუშაობს, და მისი შრომა ნთქავს ყველა სხვა ცხოველ არსებათა შრომას.

მე ვიმყოფებოდი რაღაც უსაზღვრო მოძრაობის გრიგალში და ვგრძნობდი, რომ ეგ გრიგალი თან-

დათან უფრო მიწვევდა თავისაკენ. შრომა შე წარმოშიდგა ცხოვრების სინონიმად, და ცხოვრება მით უფრო მშვენიერი მეჩვენებოდა, რამდენად ის მეტს შრომას თხოულობდა. და ეხლა უფრო ძლიერად გამიელვა თავში დედის სიტყვებმა:„ ჩემო შვილო, იშრომე!.“—მე მეგონა, რომ მზის სხივები, ჰაერი, სინათლე, ქვები, ბალახები და უთვალავი გროვა ცხოველებისა—ყველა ესენი შემლაღადებდნენ: „ადამიანო, იშრომე!“

ამ დღიდგან შე შრომა უკვე ტვირთად კი არ მეჩვენება, მე ის მიმაჩნია ცხოვრების საგნად, და ეხლა, როდესაც სრულიად მოვხუცდი, ყოველ დღე და ყოველ საათში ვიგონებ დედა ჩემს, რომელმაც მასწავლა ერთი უძვირფასესი სიკეთეთაგანი ცხოვრებისა—შრომა. მე ყოველთვინ სიხარულით ვიგონებ აგრეთვე იმ აპრილის დილას, როდესაც ბუნებამ, თითქოს დედაჩემის სიტყვები გაიმეორა, ჩამაგონა, რომ შრომა ცხოვრების კანონი არისო.—

მეცნიერება ყოველ დღე გვეუბნება ჩვენ, რომ ნივთიერება იმყოფება მუდმივ ბრუნვაში—მოძრაობაში, რომ უფრო ძლიერი გამოხატულება ცხოვრების მოვლენათა არის მოძრაობა. სითბოც—მოძრაობაა, ნათელიც მოძრობა; ელექტრონული და ანდამანტის ძალებიც მოძრაობის სხვა და სხვა ფორმა არის. ნივთიერება უმოძრაოდ არავის შეუმჩნევია ჯერ. შრომა არის ცხოვრება, ცხოვრება

არის შრომა. ერთი არის აზრი, მეორე კი ამ აზრის გამოხატულება.

ადამიანს არ შეუძლია არც კვება, არ შემოსვა თავისი თავისა, არც სახლის სახურავის შესწორება, თუ მან არ იშრომა, არ დაიღალა. და ყოველს მის მიდრეკილებაში კეთილისა, მშვენიერისა და დიადისამდი ის ხედავს თავისი შრომის დაფასებას. მოძრაობა ცივილიზაციისა მისი ვეებერთელა რთული მექანიზმით არის მხოლოდ წარმოუდგენელი შრომა, რომელშიდაც ამა თუ იმ მონაწილეობას ღებულობენ ყველა ადამიანები დედა მიწაზე; და ვინც მეტს და უკეთესად მუშაობს, ის მეტს მკის პროგრესის ნაყოფს. როგორც ბუნებაში ყოველივე ატომი მიზიდული სხვა და სხვა ცენტრებით, მოძრაობს, სწორედ ამ გვარადვე ადამიანიც—ეს საზოგადოებრივი ატომი, დიადი საზოგადოებრივი ცენტრებითვე მიზიდული—მონაწილეობას იღებს მოძრაობაში, და რამდენად მეტს მოძრაობს, იმდენად მეტი ვითარდება მაში ძალა და ძლიერება.

უარყოფა, დაგმობა, ზურგის შექცევა შრომისა—ეგ ნიშნავს ცხოვრების უარყოფას. თუ თქვენ ინებებთ და გამომყვებით კვალ და კვალ, ამ წიგნის ფურცლებზე დაინახავთ, თუ რამდენი მადლი იმალება შრომაში, რამდენი სიხარულის და კმაყოფილების მოტანა შეუძლია შრომას ადამიანისთვინ.

თავი II.

ფიზიკა შრომისა. შრომა-ჯანმრთელობაა.

გიგიენიდგან.—ვინც მუშაობს, ის მსიარულია; ვინც მსიარულია, ის კარგადაც არის.—შრომა ფიზიკური—მისი მოქმედება.—შრომა ტკვეით და მისი გავლენა—მოქმედება ჯანმრთელობაზე.—დიდებულნი მუშაკნი დიდსანს ცოცხლობენ.—სტატისტიკური ცნობანი.—დიდებულნი ქალები მე-18 საუკუნისა.—მეტასტაზიო და ვალისსო.—ამაყი ანკეტილი ხაპოლეონზე უფრო მდიდარია.—ნიუტონი და ფონტენელი.—ავადმყოფი დიდებული ვოლტერი.—იმპერატორი აგუსტი.—რესი და გობბსი.—ეშრომელი ეპიკურელი.—მიქელ ანჯელო, ტიციანე, გალილეი და კანტი.—ვინ უფრო ბედნიერია ადამიანებში?

> ვინც ფიქრობს სიზარმაცით გააუმჯობესოს თავისი ჯანმრთელობა, ის ისე სულელურად იქცევა, როგორც ადამიანი, რომელსაც მუდმივი სიჩუმით უნდა მეევრმეტყველი გახდეს.
>
> პლუტარხი.

> სიტყვების და ფრაზების დრო გაჭრა—ეხლა საქმეა საჭირო.
>
> ფონტენელი.

> ხანმოკლე სიცოცხლეს ჩვენ არავინ არ გვაძლევს, მხოლოდ ხშირად თვითონ ვქმნით მას. სენეკა.

თუ ცხოვრება შრომა არის, იმ შემთხვევაში ჯანმრთელობას—საუკეთესო გამოხატულებას შრომისა—უნდა დავარქვათ შრომის შვილი, შრომის ნაყო-

ფი. და მართლაც, ყველა დროების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ჯანმრთელობა შრომაშია. როდესაც დიდებული მუშაკების ცხოვრებას ვკითხულობთ, ჩვენ ვცვიფრდებით იმ გარემოებით, რომ ისინი,— ხშირად უძლურნი და სუსტი აგებულებისანი ახალგაზდობაში—სრულს მოხუცებულობამდი სცოცხლობენ. აგრეთვე თუ თვალს მივატანთ ზოგიერთ „არა დიდებული ბედნიერების“ ცხოვრებას, ჩვენ იქაც შევამჩნევთ, რომ ისინი ასს წელს და მეტს აღწევენ მხოლოდ გამუდმებული შრომით და მობრთხილებით. დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ჩვენს კუთხეში მოკვდა ერთი ასი წლის გლეხი, რომელიც მუდამ შრომაში ცხოვრებდა და რომლის სიკვდილი ვგონებ ერთად ერთი დასვენება იყო მთელს მის სიცოცხლეში.

მუშაობა არის ერთის ან რამოდენიმე ორგანოს (ნაწილის) ვარჯიშობა—ამ ვარჯიშობიდგან ის ძლიერდება და სხეულს მეტს ძალას უბრუნებს, ვინემ თითონ მიიღო მისგან. მუშაობის დროს საზრდოობა და სისხლის ბრუნვა სხეულში ძლიერდება, და რადგანაც ეგ საზრდოობა და სისხლის ბრუნვა არის სიცოცხლე. მაშასადამე, ვინც მეტს მუშაობს, ის უფრო კარგად და „ძლიერად“ სცოცხლობს.

„გიმნასტიკა არის საუცხოვო გამაბრთხილებელი საშუალება ქლექის, წყალმანკის, შეკრულობის,

სისუქნის, სისხლ-ნაკლებობის, ნერვების აშლის და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ. მისი მოქმედება ჯანმრთელობაზე ისეთი ძლიერია, რომ შეიძლება მთელი გიგიენა რამოდენიმე სიტყვაში გამოხატო: „იმოძრავეთ რაც შეიძლება მეტი თავისუფალ წმინდა ჰაერზე“.

ლივინგსტონი თავისი მოგზაურობის დროს დარწმუნდა, რომ ის ადამიანები, რომელნიც უფრო ხშირად სხედან და ნაკლებად ამოძრავებენ ყველა ორგანოებს, უფრო ჩქარა ხდებიან ავად აფრიკის ციებ-ცხელებით და კვდებიან. ჭკუითა და სხეულით მუშაობა უფრო გვიფარავს ჩვენ ამ ციებ-ცხელებისაგან, ვინემ სხვა რომელიმე მედიკური საშუალება, თუნდა ქინაქინა.

მაშასადამე, იმუშავეთ ყოველთვინ. გაამრავალგვარეთ თქვენი შრომა, რომ ერთი მეორეს ეცვლებოდეს და ასხვადასხვაფერებდეს ცხოვრების ხასიათს. თუ მოგწყინდეს, ან თუ ცუდ გუნებაზე გრძნობდე თავს, იმუშავე, და შრომა მოგანიჭებს კმაყოფილებას და მხიარულებას. ვინც მუშაობს, ის მხიარულია, და ვინც მხიარულია, ის ჯანმრთელადაც არის..

თანამედროვე მედიცინა შრომას გვირჩევს სხვა და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ, და ვინც ინახულა გიმნასტიკური დაწესებულება არგაუს კანტონში (შვეიცარია), ის უთუოდ ბევრს საკვირველებას

ნახავდა. უფროსი ექიმი, გასინჯავს რა ახალგაზდა ქალთა და ვაჟთა, ურჩევს მათ ამა თუ იმ გიმნასტიკურ მოძრაობას, მაშინ როდესაც სხვა ვინმე ექიმი „პარაშოკებს“ და „პილიულებს“ გამოუწერდა. „ამა და ამ ქალმა ესა და ეს მოძრაობა ქმნას, ამა და ამ ვაჟმა ამოდენა ჯერ გაუხტესო“ და სხ. ამბობს ის. საექიმო-გიმნასტიკური დაწესებულებანი ეხლა თითქმის ყველა მოზრდილ ქალაქშია.

სხეულის მოძრაობა, სხეულით მუშაობა მაშინ არის „ხალისიანი“, თუ იგი გამოწვეულია რაიმე კეთილი გრძნობა-სურვილით. მაგ., უბრალო მუშის სურვილია, რომ უზრუნველ ყოფილი ქმნას ოჯახი და შვილები, არტისტის გრძნობა-სურვილი—ეგ არჩეული ხელოვნების სიყვარულია და სხვ.

გიმნასტიკურ ვარჯიშობას, რომელიც ეხლა უფრო და უფრო იკიდებს ფეხს აღზრდის საქმეში, ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დროთა ვითარების გამო დავიწყებულ და დამარხულ იქმნა.

შრომა ჰგვრის ადამიანს მადას, სიმხნეევს, სიცოცხლეს, აძლევს კმაყოფილებას, ტკბილ მშვიდობიან ძილს, საღ ჭკუას და სულის სიმშვიდეს. ჩვენი დროის თითქმის ყველა ავადმყოფნი არსებანი, რომელნიც ყველა საქმეს კიდებენ ხელს და ერთსაც კი ვერ ასრულებენ,—არიან ნაყოფი სიზარმაცისა და მუქთად ყოფნისა.

ჭკუით შრომა არა ნაკლებ სასარგებლოა ფიზი-

კურ შრომაზე. ინგლისში სტატისტიკამ დაამტკიცა, რომ სიცოცხლე დიდებული „ჭკუით მუშაკებისა“. ბევრად უფრო ხანგრძლივია უბრალო მომაკვდავთა სიცოცხლეზე. საფრანგეთშიც გამოიანგარიშეს, რომ საშვალო რიცხვი დიდებული ფრანგების სიცოცხლისა ეთანასწორება 69 წელს, მაშინ, როდესაც საშვალო რიცხვი საზოგადოდ ფრანციელის ცხოვრებისა ბევრად ნაკლებია ამ რიცხვზე.

ფრანკინმა გამოიანგარიშა 104 იტალიელი მათემათიკოსის შესახებ, რომ საშუალო რიცხვით ისინი კვდებიან მე-70-თე წელზე. იმათში 18 კაცმა მიაღწია 80 წლამდე და ორმა კი—90-მდეც.

1200 დიდებულმა კაცებმა შუა რიცხვით გასძლეს 69 წელი და 8 თვე, მაშასადამე 9 წლით და 9 თვით მეტი საზოგადოდ ადამიანის სიცოცხლეზე, რომელიც, კასპერის გამოკვლევით, ედრება 59 წელს და 11 თვეს. ამ 1200 კაცში 290 იცოცხლა 80 წელზე მეტი, სახელდობრ:

80	წლიდგან	85-დე	იცოცხლა	175	კაცმა
85	„	90	„	56	„
90	„	95	„	29	„
95	„	100	„	10	„
100	„	120	„	10	„

ინგლისის მწერალმა **რ. მადდენმა** (The Calamities of Genius). London 1883) გამოიანგა-

რიშა საშუალო ხანგრძლივობა ინგლისის მეცნიერთა სიცოცხლისა და მიიღო შემდეგი ტაბლიცა:

ბუნებისმეტყველნი	75 წ.	ფილოლოგები	66 წ.
ფილოსოფოსნი	70 »	რომანისტები	62,5 »
ადვოკატები	59 »	დრამატურგები	62 »
ექიმები (მედიკები)	68 »	პოეტები	57 »
		თეოლოგები	67 წელი.

ამას გარდა მხატვრებისა და მექანდაკეთათვის (სკულპტორთათვის) მადდენმა საშუალო რიცხვად სიცოცხლისა მიიღო 70 წელი.

ნაკლები ყურადღება იყო მიქცეული დიდებული ქალების ცხოვრებაზე, მაგრამ იქაც ისეთივე კანონი არსებობს ე. ი. უფრო დიდხანს ის ცოცხლობს, ვინც მეტს მუშაობს. აი, რამოდენიმე ციფრები გასული საუკუნის გამოჩენილ ქალთა შესახებ:

დელანი —	93 წ.	ჰარვეი —	70 წ.
მორი —	89 „	ტრიმმერი —	69 „
ლედი ბუსსელი	87 „	ინჩბულდი —	68 „
ლენოკსი —	84 „	კოლვეი —	66 „
ბარბო —	83 „	ჰამილტონი —	65 „
მონტეგიუ —	81 „	როუ —	63 „
პიოككი —	80 „	რედკლიფი —	60 „
სეფფოლკი —	79 „	მაკოლეი —	53 „
ჩეპონი —	65 „	შარიდანი —	47 „
ნ. ვ. მონტეგიუ	73 „	ცენტივნი —	44 „

აი კიდევ რამდენიმე მაგალითი:

მეტასტაზიო იყო სუსტი და იტანჯებოდა ნერვების ავადმყოფობით; მიუხედავად ამისა მან იშრომა მთელს თავის სიცოცხლეში და მოკვდა 84 წლისა.

ამაყმა ანკეტილმა, იტალიის შესანიშნავმა ისტორიკოსმა, რომელსაც არ უნდოდა ნაპოლეონის წინ თავი მოეხარა, სამსახურს თავი დაანება და საშინელ სიღარიბეში ჩავარდა. დღეში 25 ჩენტეზიმი ჰქონდა, რომელთაგან თუთხმეტს ხარჯავდა, იკვებებოდა პურითა და რძით და ცხოვრებდა მიყრუებულს ფაცხაში, სადაც ყველას დავიწყებული ყვანდა იგი. შეუსვენებლივ მუშაობდა და მუდამ იმეორებდა:

—„მე კიდევ დამრჩენია საშუალება, რომ ორ-ორი კაპეიკი ყოველდღე ვაძლიო მარენგოსა და აუსტერლიცის ბატონს (ე. ი. ნაპოლეონს.)

ერთხელ მეგობარმა შენიშნა მას, რომ ის რომ უცებ ავად გახდეს, საქმე გაუჭირდება უპენსიოთ.

—„მოიქეცი ისე, როგორც სხვები იქცევიან, აქე იმპერატორი—დაუმატა მეგობარმა—ეგ აუცილებელია შენი სიცოცხლისთვინ...

—და არა სიკვდილისათვინ!—სიტყვა ჩამოართვა ამაყმა მოხუცმა.

და რა? ამგვარად მუშაობაში ანკეტილმა იცოცხლა 84 წლამდე, და სიკვდილის ჟამს უთხრა მეგობრებს:

—შეხედეთ, როგორ კვდება ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ სავსეა სიცოცხლით.

ნიუტონი ისე ძალდატანებულად ამუშავებდა ტვინს, რომ ხშირად კინაღამ შეიშლებოდა ხოლმე. დილით, ახალ გამოღვიძებული ისე ძლიერ დაფიქრდებოდა რამეზედ, რომ ბოლოს ტანზე ჩაცმა ავიწყდებოდა და უძრავად იჯდა—არ იცოდა რა უნდა ექმნა. მიუხედავად ამისა, მან იცოცხლა 85 წელი, ერთხელაც არ ყოფილა ავად, მთელს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი კბილი დაკარგა და თავის დღეში სათვალეები არ უტარებია. თავისი მეცნიერული გამოკვლევების დროს ის იკვებებოდა მარტო პურითა და ღვინით, სასეირნოდ იშვიათად გამოდიოდა —

ფონტენელმა ორმოცდა ათი წლის განმავლობაში მეცნიერების დროშა ატარა. იგი მუდამ შრომობდა და გასძლო ასი წელი, თუმცა ძალიან სუსტი აგებულების იყო და სუსტი მკერდი ჰქონდა, ფონტენელის მრავალი შრომიდგან მისი წიგნი „ბედნიერება“ ყოველი კაცის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს.

ვოლტერი—ნამდვილი საკვირველებაა თავისი დაუღალავი მუშაობით და ათას გვარ სენებთან ბრძოლით. იგი ისეთი „უსუსური“ დაიბადა, რომ მას „ამ ქვეყნიერად“ არავინ თვლიდა. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დიდებული მწერალი ცუდად გრძნობდა თავის ფიზიკურ მდგომარეობას.

ვოლტერის კორესპონდენციებში იგი მუდამ საწყალი, მუდამ ავადმყოფი მოხუცია; ხან საფლავიდან იწერება, ხან აჩრდილს წააგავს, ხან ვითომ სიკვდილს თვალით ხედავს და სხვა. და ეს ბედნიერი იპოხონდრიკის უბრალო ფრაზები კი არ არის.

ოთხმოცი წლის იყო ვოლტერი, როცა ყვავილით ავად გახდა. ყველა კბილები დაჰკარგა და ბოლოს კიდევ ავადმყოფობამ საშინელი ჭვალები დაუტოვა. „მუშაობის დროს—წერდა—ხშირად იძულებული ვარ კალამს თავი დავანებო და ორივე ხელები მუცელზე ვიტაცო.“ ეს კიდევ არ კმარა: ის რამდენიმე ჯერ ავად გახდა როჟით, შეკრულობით, მუდამ იტანჯებოდა თვალების ავადმყოფობით და სხვა.

და მაინც ეს კაცი თავის საუკუნეს თავისს სახელს არქმევს, სწერს სამოცდა ათს ტომს. ოთხმოცი წლის იყო, რომ ორ დღეს დასწერა Filles de Minèe; ორი წლის შემდეგ თხზავს ტრაგედიას Ivène, და კვდება 85 წლისა.

ის თითონ ხუმრობდა შემდეგ ხშირად, რომ „მე ჯანმრთელ მეგობრებზე და თვით ჩემს ექიმებზედაც კი მეტი ვიცოცხლეო“.

მაგრამ ვოლტერი მუდამ მოძრაობაში იყო; ან სწერდა, ან სეირნობდა. მის სამუშაო ოთახში ხუთი მაგიდა იდგა, რომლებზედაც ხუთი სხვა და სხვა თხზულება ეწყო—ხუთივეს ერთად სწერდა ვოლტერი. ის ერთიდგან მეორეზე გადადი-

ოდა, და როდესაც დაღალვისგან კალამი ხელიდგან გაუვარდებოდა, ის გარბოდა ბაღში, სადაც სხეულით მუშაობდა. აქედგან ის მიდიოდა თეატრში ან თავის საყვარელ მცენარეებთან, და შემდეგ ისევ უბრუნდებოდა თავის თხზულებებს.

და ვოლტერი უთუოდ 84 წელზე მეტს იცოცხლებდა, რომ მას თავის ქვეყანა, მოუფიქრებლობით, არ დაეტოვებინა და ზამთრის დროს პარიჟში არ გადასახლებულიყო. ის მართალი იყო, როდესაც თავის მეგობარს წერდა: „მე ბოლო მოვუღე სიცოცხლეს, ჩემი აქ მოსვლით.“ დიდებულმა მოხუცმა ვერ აიტანა დაღალვა და ის შთაბეჭდილებანი, რომელნიც მას ელოდნენ „მსოფლიო დედა-ქალაქში.“ შესანიშნავმა არქიტექტორმა რენმა, რომელიც ძალიან სუსტი აგებულების იყო, მარა მუდამ განუწყვეტლივ შრომობდა, იცოცხლა 91 წელი, თუმცა ახალგაზრდობაში ჭლექითაც კი იტანჯებოდა.

გობბსის დედამ, შეშინებულმა ისპანიის საომარი ხომალდების მოსვლით, უდროოდ დაბადა შესანიშნავი(შემდეგში)კაცი. ისეთი სუსტი იყო გობბსი ბავშვობაში, რომ ყოველ წუთს ელოდნენ მისს სიკვდილს. მაგრამ ამ დიდებულმა კაცმა იცოცხლა 92 წელი და დასწერა 42 თხზულება.

მიქელ ანჯელო იყო დაუღალავი მშრომელი ლრმა მოხუცებამდი: აგრეთვე ტიციანა, ჭაღიდეი და სხვანი.

კანტმა თითქმის მთელი საუკუნე იცოცხლა, მუდამ ჯანმრთელი იყო და ერთხელაც არ გაუგდია ხელიდგან სამუშაო. ის თანამედროვე ფილოსოფიის მამა შეიქმნა გერმანეთში. მისი შრომა წარმოუდგენელია და მისი სახელი დიადია, როგორც თვით მსოფლიო. ის ყოველ საღამოს, დაწოლის წინ, ჰკითხავდა თავის თავს: „განა არის სადმე კაცი, რომელიც ჩემზე უკეთესად გრძნობდეს თავს?

და თვიუულს ჩვენგანს შეუძლია, თუ მთელი დღე იმუშავა, საღამოს თავის თავს კანტის კითხვა მისცეს. და მართლაც ვინ არის უბედნიერესი იმ ადამიანისა, რომელიც ცხოვრებას ბუნებისგან მინიჭებულ ღონის გაძლიერებაში ატარებს? ცხოვრების ქარიშხალი მას სრულიადაც ვერ შეაშინებს. ის „უმაღლეს ეკონომიურად“ ხარჯავს თავის ცხოვრება—სიცოცხლეს, გაურბის ყველა ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვებს —რაღა უნდა მეტი? „კეთილი ქენი და კმაყოფილი იყავი; კეთილი იყავი და ღმერთი იქმნება შენთან“ — აი სიტყვები, რომლებიც შესანიშნავმა ლინნეიმ თავის სახლის კარებზე დააწერა. მათი დაწერა შეუძლია აგრეთვე ყველა მომქმედ კაცს, ყველა მუშაკ—ადამიანს.—

თავი III.

ზნეობრივი მნიშვნელობა შრომისა.

შრომა-მამაა ყოველ კეთილმოქმედებისა.—მშრომელი ადამიანი უმაღლესს სიკეთეში სცხოვრობს.—დიდი სიკეთე, პირადი პასუხისგებლობით გამოწვეული.—საბერძნეთი და ალექსანდრე დიდი.—ლეონარდის მშვენიერი თქმულება.—შრომა ბადავს სიბრძნესა და წინდასწარულებას.—მისი გავლენა ოჯახის კეშარსა და სისარულზე.—უცოდობა ზარმაცისა.—ადამიანის ოჯახობა.—მშრომელს უყვარს თავისი საქმობლო და ყოველთვინ საუკეთესო მოქალაქეთაგანია.—გვირგვინი მშრომელს.

1. შრომა, იმას გარდა, რომ ცხოვრების აუცილებელ საშუალებას გვაძლევს, სხეულს აჯანმრთელებს და სულს ზნეობრივად ამშვიდებს.—
რავიცა.

2. შრომა წყაროა არა თუ მარტო სიმდიდრისა, არამედ კარგ გრძნობების და კარგი ხასიათისა.
კაბანისი.

3. შრომა—ზნეობის ყარაულია—ფანქა.

4. შრომასა და ეკონომიაზე დამოკიდებულია ხალხის ზნეობა—მირაბო.

ძველი ანდაზა ამბობს, რომ სიზარმაცე—დედაა ყოველ ნაკლულევანებათაო, მაგრამ მეორე არა ნაკლებ მართალი ანდაზა ლაღადებს: შრომა—მამაა ყოველ კეთილსაქმეთაო.“

დაათვალიერეთ საპყრობილეები, ჩახედეთ დამნაშავეთა სამწუხარო სტატისტიკაში და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა დამნაშავენი, ან უკეთ ვსთქვათ, ყველა ეს „უბედურები“ ეკუთვნიან იმ კლასს, რომელსაც არასდროს სამუშაო, პროფესია არ ჰქონებია.

და თუ ზოგი მათგანი ბოლოს უბრუნდება ჭეშმარიტების გზას, ეგ უთუოდ ისეთნი რომელთაც უკვე ისწავლეს შრომის პატივის ცემა და თავისი ცუდი მიდრეკილებანი სამუშაო სახელოსნოში დამარხეს.

შეხედეთ აგრეთვე ჩვენი საზოგადოების საშუალო და მაღალ კლასებში და თუ თქვენ რომელიმე ოჯახში დაინახოთ კეთილი თვისებების ბავშვები, დარწმუნებული იყავით, რომ იმათგან უფრო შრომის მოყვარენი ყოველთვინ უფრო იგრძნობენ კარგს და მშვენიერს, უფრო შეიყვარებენ კეთილს და იმოქმედებენ კეთილშობილურად. თუ განათლებულს კლასში ვინმემ შეურაცხყო ვისმე დიდებული სახელი, ის უთუოდ ისეთი სუბიეკტი იქნება, რომელსაც შრომა და სწავლა შობიდგანვე შეუძულებია და აღზრდილა რესტორანების და სასმელების დუქნებში. და თუ როდისმე ასეთი პირები ბრუნდებიან ოჯახის წმიდათა წმიდათაში, ეგ მხოლოდ შრომის შეყვარების წყალობით: შრომა დიდებული მხსნელია ცოდვებიდგან; იგი ექიმია, რომელიც ჰკურნავს ყოველი ფიზიკური სენებისაგან და სწმენდს ჰაერს ყოველი ზნეობრივი ბაცილებისაგან, რომელთაც უსაქმობა ბადებს.

მშრომელი ადამიანი ეს არ არის უბრალო ურმის თვალი, რომელიც ინერციის ძალით მიგორავს, ეს არ არის რიჩაგი, რომელიც უაზროთ ექანავება ამა თუ იმ მხარეს, ეგ არის არსება, რომელიც აზროვნობს, განსაზღრული მიზნისაკენ იწევს და ამოძრავებს თავის სხეულს და სულს მისთვის, რომ ესა თუ ის შედეგი მიიღოს.

შრომის ყოველ გვარ ფორმაში, უბრალო მეჯანიკური (უაზრო)მუშაობიდგან დაწყებული შემოქმედებითი ჭკუის უმაღლეს აზროვნებამდე, მშრომელი ადამიანი გადადის უმაღლესს სფერაში, რომელიც ბევრად მაღლა იმყოფება ყოველ უბრალო ცხოველურ მოთხოვნილებაზე. ცხოველი იტაცებს მსხვერპლს ან საზრდოს უცებ—და ცხოვრობს მით, ადამიანი კი შრომით ცხოვრობს: ის ყურადღება და დრო, რომელსაც ის შრომას ანდომებს, იფარვენ მას ცოდვებისაგან. ვინც შრომობს, ის არ ლოთობს, არ კოტრობს, არ ცარცვავს სხვას, არ წყევლის, არ სწამებს ცილს, არ შურს სხვისი, არ ენა-ტანიობს, არ კარგავს დროს, არ დასცინის ოჯახობას და ცხოვრების სხვა და სხვა სიხარულებს.—

მუშა, რომელიც ჯიბეში ხელებით და ფუქსავატი აზრებით გამოდის სახლიდგან, ადვილად პოულობს რესტორანის და სხვა საძაგელი ადგილების გზას. მუშა კი, რომელიც მთელი დღის მუშაობით დაღლილი სახლისკენ მიდის, არ ელტვის ასეთ ადგი-

ლებს: ის მიეჩქარება შინისაკენ, რომ ნახოს თვისი კეთილები, მოეხვიოს დედას, ცოლს, შვილებს და გაიყოს ოჯახური მხიარულება.

ვინც ერთხელაც არის გამოსცადა ცხოველმყოფელი გრძნობა, რომელსაც ადამიანი რაიმე შრომის გათავების დროს გრძნობს, ის შემდეგ ველარ ივიწყებს მას და არ სცვლის იმ გრძნობაში, რომელსაც ღვინით ან სხვა მათრობელა საშუალებით „შეხურებული“ ადამიანი გრძნობს. სიხარული, რომელსაც შრომა გვაძლევს, არის ანკარა, წმინდა სიხარული, რომელიც დღითი დღე იზრდება, არასოდეს არ სუსტება და მუდამ გვეუბნება, რომ ცხოვრება საქმიანობაში უნდა გაატაროო. მხიაულება, რომელსაც ღვინო ვითომ იძლევა, ჰქრება ბოთლის გამოცლასთან ერთად, თუ გინდა, რომ არ გაჰქრეს, კიდევ უნდა უმატო ღვინო, რის შედეგად სიხარულის მაგიერ მიიღებ თავბრუს ხვევას, გულის რევას, პირიდგან ღებინებას და სხვა. სიხარული შრომისა უსაზღვრო ბედნიერებით ავსებს სულს, და ყოველი მომავალი დღე მუშაკისა წარსულს ბევრად სჯობია. მშრომელი ადამიანი მუდამ ზევით მიდის, მაშინ როდესაც უსაქმო „მუქთახორა“ უფსკრულისაკენ მიექანება.

ვინც შრომობს, იმას სწორი წარმოდგენა აქვს თავის მოვალეობაზე, რადგანაც ცხოვრების შემთხვევებს ის უცქერის არა როგორც სასჯელს, ან საჩუ-

ქარს, არა როგორც ბედის ლატარიას, არამედ ნამდვილ ერთად ერთ შედეგს იმისა, თუ ვინ რამდენი იმუშავა. სხვა და სხვა ხარისხი მოქმედებისა, სხვა და სხვა გვარი მდგომარეობა ორგანიზმისა, სხვა და სხვა ხასიათზე ყოფნა—ყველა ეგ უცვლელი შედეგია იმისა, თუ ვინ რამდენი, როდის და როგორ იშრომა. თავისი საკუთარი ნაკლულევანებისაგამო რომ ვინმემ ბედს ბრალდება დაუწყოს—ეგ დაამტკიცებს, რომ მას არ აქვს შეგნებული თვისი თავის ღირსება, რომ ის გაუგებარი, ზარმაცი და სუსტია.

როდესაც რომი ძველი ქვეყნის ბატონი გახდა, მაშინ ბერძნები თავის სანუგეშოდ ამბობდნენ: ამ დიდების მიზეზი არის ციებ-ცხელება, რომლითაც ალექსანდრე მოკვდა 11 ივნისს 431 წელს: მან შეუშალა ხელი დიდი პროექტების სისრულეში მოყვანასა.

და ცხოვრებაშიაც ბევრნი სჯიან ისე, როგორც ბერძნები სჯიდნენ.

მაგრამ მშრომელი ადამიანი ღრმად გრძნობს პირად პასუხის გებას, რომელზედაც აშენებულია ადამიანის ღირსება და ხასიათის სიდიადე. ვინც თავის თავს არ სცემს პატივს, ის ვერც სხვას მოსთხოვს ამას, და ვინც სხვა სდებს ბრალს თავის სილარიბე—დაცემაში, ის თავის დღეში ვერ გააუმჯობესებს თავის მდგომარეობას და ვერ გამოვა იმ პირობებიდგან, რომლებშიც იმყოფება. ყოველმა

მოაზრე მუშამ იცის თუ რა ნაყოფი მოსდევს მის შრომას, და რომ მივბაძოთ ნაპოლეონის სიტყვებს —ყოველ სალდათს თავის ჩანთაში მარშლის კვერთხი უნდა ედოსო—შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველს შრომაში იმალება კალიფორნია, ის მადნები, რომელთაგან, სურვილისამებრ, შეგვიძლია ამოვზიდოთ გამამდიდრებელი ოქრო, დიდების ალმასი და ძლიერების რკინა.

შრომა—დედაა ყოველ დიად საქმეთა, რომელნიც კი შეუსრულებია ადამიანს, როგორც ინდივიდუუმს, ან როგოც ნაციას. შრომა ადიდებს ადამიანის მნიშვნელობას და აფართოვებს მისი მოქმედების სფერებს. მშრომელი კმაყოფილია მითი, რომ ის ექვემდებარება ბუნების და ზნეობის ერთს დიდს კანონს: ის პატივსა სცემს თავის თავს, და გრძნობს თავს პატიოსან კაცად, რომელმაც არ იცის, თუ რაა სინდისის ქენჯნა. ამპარტავნება, სიამაყე მუშაკისა კანონიერია, რადგან მხოლოდ თავისი საკუთარი წყალობით მოიპოვა მან საზოგადოებრივი მდგომარეობა და ის პატივი, რომლითაც მას იხსენიებენ. მას აქვს დიდი შეძლება მონაწილეობა მიიღოს ცივილიზაციის მოძრაობაში, მეცნიერულ და კომერსიულ მოქმედებაში. და მართლა, რატომ არ უნდა ამაყობდეს ის?

მშრომელმა ადამიანმა შეუსწავლელად იცის

პოლიტიკური ეკონომია. მას არ წაუკითხავს, ვსთქვათ, ერთი სიტყვაც სმიტასა თუ სეიადან, შეკვალიედან, **რიკარდოდგან** თუ მალტუსიდგან, მილლიდგან თუ **ლასსალიდგან** თუ მარქსიდგან, მაგრამ მან კარგად იცის, რომ სიმდიდრე ოქროსა და ვერცხლში კი არ იმყოფება, არამედ ხალხის, მცხოვრებლების შრომაში.

ვინც შრომობს, ის კმაყოფილია. ეს აზრი გამოსთქვეს ყველა დროის ხალხებმა; ამასავე ამტკიცებენ ხალხური ანდაზებიც. და ვინც კმაყოფილია, იმას უფრო შეუძლია სიყვარული, რადგანაც სიყვარული თავის თავად—არის ძლიერი ფორმა კმაყოფილების გამოხატვისა.

რამდენჯერ მინახავს, რომ რომელიმე ოჯახობა უსაქმობით მეტად მოწყენილიყო; მაგრამ აი, გაიღება კარი და სახლში შემოდის ოჯახის თავი მუშაობისაგან „გახურებული“ და ოფლში მოსვრილი. მაშინ უცებ ყველა გრძნობს წმინდა მაცოცხლებელი ჰაერის ნაკადულს; და სახეზე ყველას სიხარული ეხატება. მუშა ადამიანს თავი მაღლა უჭირავს და ყველას თანაგრძნობას და პატივისცემას აგრძნობინებს: მან შეასრულა ვალი, მან იშრომა თავისა და ოჯახისათვის, მან პური და კმაყოფილება მოუპოვა ყველას.

ერთხელ ერთ მეგობართან მქონდა ბაასი ოჯა-

ხის შესახებ და ის (ოჯახი) საზოგადოების ქვაკუთ-ხედათ ჩავთვალე. მან მკითხა, თუ რა პირობებში უფრო იზრდებიან ის გრძნობანი, რომელთაც ოჯა-ხის სიკეთენი ეწოდებათო. მე ვუპასუხე, რომ საუ-კეთესო ატმოსფერა ოჯახის ასაყვავებლათ—ეგ შრო-მა არისთქო. და ეხლაც იმ ჩემ მიერ წარმოთქმულ აზრზე ვარ!

ზარმაცმა ადამიანმა უნდა უარჰყოს ოჯახური ბედნიერება, ვინაიდგან უშრომლად არავის შეუძლია „კერა“ შექმნას. ოჯახი—ეგ არ არის მომეტებული სიმდიდრე; არა, ის არის აუცილებლობა ადამიანის გულისათვის, და უფრო მდიდარ, შეძლებულ და ზნეობრივად მაღალ ხალხებათ ჩვენ ვთვლით იმ ხალ-ხებს, რომელთაც მეტი ოჯახი ჰყავთ და არა თვითთ-ეული უოჯახო ერთეულები. ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც სიზარმაცისგამო გაურბის ოჯახს, ზიზღის ღირსია! მე ვამბობ, რასაკვირველია, უოჯახო ზარ-მაც ეგოისტებზე, რომელთაც არავითარი საზოგადო-ებრივი მიზანი არ აქვთ, და არა ისეთ პირებზე, რო-მელთაც თავისი ბუნებით თუ სხვა არჩევით, უარ-ჰყვეს ოჯახური სიხარული, და ამ გზით მეტი სარ-გებლის მოტანა უნდათ.

რა მშვენიერია ის შრომა, რომელიც ოჯახი-სადმი სიყვარულით არის გამოწვეული! რა მსუბუქია ის, როცა ვიცით, რომ მით ვუადვილებთ და ვუხა-ლისებთ ცხოვრებას ცოლს და შვილებს! რამდენ

სიხარულს გვანიჭებს ის, როცა მისი შემწეობით შვილებს განათლებას ვაძლევთ და შრომასვე ვაყვარებთ, იმ შრომას, რომელიც მათ გააბედნიერებს!

შრომა გვასწავლის ჩვენ აგრეთვე მამულის სიყვარულს, რადგან მშრომელი კაცის ოდენა სარგებელს არავინ არ აძლევს სამშობლოს. ვინც შრომობს, ის სასარგებლო მუშაკია ვეებერთელა საზოგადო სახელოსნოში, მიტომ რომ ხალხის მნიშვნელობა იზომება მისი აქტიური ძალებით, და ამ ძალებისგან წარმოშობილი ზნეობრივი და ნივთიერი სიკეთით. და როდესაც ჩვენი შრომა გაუმჯობესდება და სამშობლოსთვინ სასახელო შეიქმნება, მაშინ ეროვნული სიამაყე (გრძნობა) უფრო აგვიტოკებს გულს მალალი და წმინდა სიხარულით.

როცა ჩვენ მეურნეობის გაუმჯობესებით, ახალი სახელოსნოს აშენებით, აღებმიცემობის ახალი დარგის შემოღებით, ახალი აღმოჩენით, თუ ახალი წიგნით ვამდიდრებთ ცხოვრებას, მეცნიერებას თუ ჩვენი ქვეყნის ლიტერატურას, მაშინ შრომა მშვენივრად ფასდება, და თვითეული ჩვენგანი გრძნობს სამშობლოსადმი სიყვარულს; ჩვენ ვამაყობთ მით, რომ ვეკუთნით დიდს ნაციას, ვგრძნობთ, რომ ჩვენც ამ დიდებ-ს პატარა, მაგრამ საპირო ნაწილი ვართ. ვინც ბევრს მუშაობს, მას „ბევრად“ უყვარს თავისი ქვეყანა.

შრომა ბადავს ადამიანებთან განწყობილების გრძნობას, გვაგონებს სულგრძელობას და თავდადების საჭიროებას. იგულისხმება, რომ ვინც ზარმაცზე მეტს შრომობს, მას შეძლება აქვს თავისი წვლილი სხვასაც გაუყოს. მუშა და მობრთხილებული ადამიანი სხვას შველის და თავის ქველმოქმედებაში კმაყოფილებას პოულობს.

ის ვერავის ვერაფერს მიცემს, ვინც თითონ არაფერს შოულობს; არ შეუძლია სულგრძელი იყოს და სხვას რამე შეეწიოს ვინც თავის თავს ძლივს იკვებავს.

მშრომელი ადამიანი ყოველთვინ მდიდარია: ერთი ასეთი ორ, სამ, ათას კაცად ღირს. მოსაგები და შემოსავალი აშორებენ მას სიღარიბეს; კეთილი საქმები ზარალს არ უშვრებიან მის კეთილმდგომარეობას—პირიქით, ისინი ამდიდრებენ მას, ამდიდრებენ მის მიდრეკილებას, რომელიც ხდის შრომას ყოველი მშვენიერის, სასარგებლოს და დიადის წყაროდ.

თავი IV.

სიხარული და პოეზია შრომისა.

ჯასსანი, ჩეზალეპინო, ეზოია და რომანიაზი.—პიფაგორი, არქიმედი, ვილსონი, მონტენი, ადასონი და სხვ.—„გაფანტულობა“ დიდებულ ბედნიერ ადამიანთა.—ადეფეერის ცხოვრებიდგან.

მოქმედებაში იმყოფება ყოველგვარი
ფორმა აღზრდისა და კულტურისა.
ჯობერტი.

„ბედნიერი ზარმაცი“—ეგ პარადოქსია; და თუ ვინმეს უკვირს ის გარემოება, რომ ზოგნი სიცოცხლეს სწყევლიან, ეგ უთუოდ იმის გამო, რომ არ იციან, თუ სიზარმაცე პირველი მტერია ბედნიერებისა. შრომა ბუნების კანონია; ვინც მას წინა აღუდგება, ის კანონს გარეშე რჩება და სიხარულის გზას კარგავს. ხშირად მოხდება, რომ რომელიმე მდიდარი, რომელიც კმაყოფილებას მდიდრულ მორთულობაში ეძებდა, უარჰყოფს მას და ბედნიერებას შრომის მაკურნებელ ატმოსფერაში ეძებს; მაგრამ გვიანლაა:

დიდი ხნის უსაქმობით დასუსტებულ ნერვებს, ზანტ ორგანოებს და ზარმაც ტვინს მუშაობა უკვე

ალარ შეუძლიათ, და იმ საწყალმა მუდმივ მოწყენილებაში უნდა ატაროს დრო...

ყველაზე უფრო ბედნიერი ადამიანები ყოველთვინ ყველაზე უფრო შრომის მოყვარენიც ყოფილან, და უბედურებაში, რომელსაც ცხოვრება ყველა ჩვენგანს უმზადებს, ნუგეშცემას ჩვენ შრომაში ვპოვულობთ. მე ბევრი მინახავს ცხოვრებაში ისეთნი პირნი, რომელთაც არ შეეძლო ბრძოლა ცხოვრების ქარიშხალთან თავისი სიზარმაცისაგამო; ისინი უთუოდ უნდა დაღუპულიყვნენ, ვინაიდგან, რა ვერ პოვეს გართობა გარეშე ქვეყანაში, თავის გულში ღრმად დაიმალნენ და სასტიკად იტანჯებოდნენ.

სიზარმაცე ყოველთვინ ეზიზღებოდა ყველა დიდებულ და ბედნიერ ადამიანებს: პირველნი ხედავდნენ მაში სიკვდილის სახეს, უკანასკნელნი კი— ბედნიერების დაუძინებელ მტერს...

შრომა თავისთავად უკვე კმაყოფილებაა: თავმოყვარეობა, რომელიც მას აცხოველებს, სახელის სურვილი, რომელიც უწონებს მას, სიმდიდრე, რომელიც მას ულიმის—ყველა ესენი მისი მგზავრები არიან და გვირგვინს უქსოვენ მას: მაგრამ იმათ გარდაც მიდრეკილება შრომისადმი—დიდი „რამეა“, რომელიც ავსებს ჩვენს ცხოვრებას, უნიშნავს მას მიზანს, და იფარავს „ქარიშხლებთან“ ბრძოლის დროს. შრომა, რა სახეც უნდა ქონდეს მას, არის

ცხოვრება მოქმედებაში, არის ადამიანის ძალა მოძრაობაში.

თვით კუნთებით მომუშავე ადამიანი ჩაქუჩი კი არ არის, რომელიც უაზროდ ცემს, არც ცულია, რომელიც შეშას აპობს, არა, ის არის იარაღი აზროვანი შრომისა. ჩვენ ეგ უკვე ვთქვით ერთხელ და ეხლაც სიამოვნებით ვიმეორებთ.

ენერგიული კუნთებით მუშაობა ჩვენ სხეულში ტკბილ ჟრუანტელს გვგრის: სითბო ჩქარა მოძრავი სისხლისა, გახშირებული სულისთქმა, ჯანმრთელობის ოფლში დასველებული ტყავი—ყველა ესენი ორგანიზმს საესებით აგრძნობინებენ ცხოვრებას, ამახვილებენ მის მოქმედებათ, უორკეცებენ მადას და აძლიერებენ სიმხიარულეს. სახელოსნოდგან გამოსული მუშა უფრო ხშირად მღერის, ვინემ ზარმაცი ახალგაზრდა, შეხუთული რესტორანიდგან დაბრუნებული. და თუ მდიდარს უნდა, რომ მან არ დაკარგოს ჯანმრთელობა და მხიარულება, იმან უთუოდ გიმნასტიკასაც უნდა გაუყოს ცოტა ოდენი დრო.

რა მშვენივრობაა მინდორში მუშაობა, რომელიც პოეზიით სავსეა! რამდენი კმაყოფილებაა! მათი აღწერა და ჩამოთვლაც კი ძნელია.

ჩვენ შეგვიძლია მიგითითოთ მრავალ დიდე-

ბულ მუშაკებზე, რომელნიც ნუგეშცემას, დასვენებას და კმაყოფილებას მინდვრის და ბაღების მუშაობაში პოულობდნენ: მაგალითად—ვაშინგტონი—თავის აგარაკში, მოუნტ—ვერნონში; მაკიაველი—სან-კაჩიანოში; კვეკერი—ლერში; მანცონი—ბრუზულიოში; ლეგ-ტოლსტოი—იასნაია პოლიანაში.

ერთი ექიმი ამტკიცებდა, რომ საუკეთესო საშუალება ჯანმრთელობისათვის—ეგ ბაღში მუშაობა არისო. წმინდა ჰაერი და ზომიერი მოძრაობა აცხოველებს და აჯანმრთელებს ორგანიზმს. თქვენს ბაღს მუდამ სჭირია მოვლა; თქვენგან დარგული და მოვლილი მცენარეები—ეგ თქვენი შვილები არიან, რომელნიც თქვენი თვალის წინ იზრდებიან; იტანჯებიან და სნეულდებიან, თუ თქვენდგან უყურადღებოდ არიან დატოვებული, და, პირიქით, ხარობენ და ყვავიან, თუ თქვენ მათზე ზრუნავთ. ყვავილებსა და ნაყოფებს შორის თქვენ გრძნობთ ნამდვილი ბუნების სურნელებას, რომელსაც ადამიანი ეტრფის ქალაქის მტვერს შემდეგ, და იმ იმედს, რომლითაც თქვენ ელით თქვენი ნამუშიერის ნაყოფს, შეუძლია თქვენი ცხოვრება ბედნიერებით აავსოს.

თქვენ, ზარმაცნო მდიდარნო, რომელნიც მუდამ მოწყენილი ხართ ქალაქის ერთგვარ ატმოსფერაში, ინახულეთ ხშირად თქვენი მინდვრები, რომელთაგან თქვენ სიმდიდრე გამოგაქვთ; დაუბრუ-

ნდით ბუნებას—თქვენ საერთო დედას, ძალისა და ჯანმრთელობის წყაროს; დასტკბით თქვენი გორაკების მაცოცხლებელი სიგრილით და მინდვრებისა და ველების სურნელებით; თქვენც გამოჩდით თუნდ ერთხელ მინდორში, რომელიც ადამიანის სისხლითა და ოფლით არის შემუშავებული, გაისარჯეთ თქვენც და დაემორჩილეთ ცხოვრების ერთს დიად კანონს—მუშაობის აუცილებლობას.

თქვენი სიმდიდრე—შრომის ნაყოფია; იცოდეთ, რომ სირცხვილისგან გაწითლებული სახე ხელებით უნდა დაიფაროს იმ ადამიანმა, რომელსაც რამოდენიმე წელი არ უმუშავია.

და განა აღებმიცემობითი და კომერსიული შრომა სიხარულს არ გვაძლევს? აზრი მაშინად აქციო, იდეია—სახელოსნოდ, რომელიც ქვეყანას სიმდიდრეს აძლევს; ხედავდე, თუ როგორ საერთო თანხმობით ემორჩილება ყველა მოძრაობა მოაზრე ჭკუის ბრძანებას; წინაიგრძნო ყოველივე დაბრკოლება და სძლიო ისინი, ებრძოლო კონკურენციას და შეაერთო შრომა კაპიტალთან; შეაერთო ერთ მოქმედებაში მექანიკა და ჭკუის ძალა, ძალა ადამიანისა და ბუნებისა—განა ყოველივე ესე პოეზიით არ არის სავსე?

მე კერძოდ არას დროს არ მწამდა ის აზრი, რომ ვითომ ჩვენი საუკუნე პოეზიას იყოს მოკლე-

ბული იმიტომ, რომ ის დიდ ადგილს აძლევს მაშინებსა და ვაჭრობას და რკინითა და ტელეგრაფის მავთულებით არის დატვირთული. პოეზია ყოველგან არის, სადაც კი მხოლოდ გენიოსობის ცეცხლი გამოიწვევს მას, როგორც კაჟიდგან ნაბერწკლებს; მაშინების ხმაურობაში და ადამიანთა შორის აზრების გაცვლა—გამოცვლაში იმოდენა ძლიერი პოეზიაა, რომ, რაა მასთან მდინარის „ტკბილი ნანინა“ ან მშვენიერი ნიმფები? ადამიანის ძალებს, ადამიანის გრძნობათ თავის მაღალ გამოხატულებაში პოეზიის სხივები აქვთ; და ეგ ყველა ძალები ხომ შრომაში გამოიხატებიან; აგრეთვე ადამიანის გრძნობანი განაგებენ მას.

ახალი გაუმჯობესებული დარგი აღებმიცემობისა—დიდი შესაძენია, საზოგადოებისათვის სასარგებლო კომერსიული ოპერაცია იგივე არის, რაც ლითონის ძარღვი, დედამიწის შუაგულში აღმოჩენილი. თქვენ, არკადიის შვილნო, ნუ ფიქრობთ, რომ პერგამენტის ნაჭერი—დიდებულებისა და კეთილმშობილების ღერბი იყოს; ნუ ფიქრობ, რომ რომელიმე მომქმედი კომმერსანტი საზოგადოებრივ საფეხურზე ვინმე ექიმზე ან უსაქმო ადვოკატზე დაბლა იდგეს. ნაკლები დიპლომები, მარა მეტი აღებმიცემობა; ნაკლები ტიტულები და მეტი სასარგებლო მომქმედი შრომა.

შრომას, როგორიც უნდა იყოს ის, განაგებს შემოქმედებითი ძალა ჭკუისა; მაგრამ შრომის ზოგ ფორმაში ჭკუის მონაწილეობა ისეთი დიდია, რომ კუნთები და გრძნობანი მხოლოდ უმაღლესი ძალის იარაღებად რჩებიან. ჩვენ აქ ვამბობთ ინტელექტუალურ შრომაზე.

ინტელიგენტი მუშაკი ყოველთვინ ქმნის რასმეს. მუშაობს ის უბრალო სახელოსნოში თუ ოფლს ღვრის ახალის გზის აღმოჩენაზე ადამიანის აზრში, ის მუდამ ხედავს ისეთს რასმე, რასაც სხვები ვერ ამჩნევდნენ, ხედავს ახალს სიმშვენიერეს, რომელიც მანამდი ყველასთვინ დამალული იყო.

ვინ არის ადამიანებში უბედნიერესი მხატვრისა, რომელმაც უკვე შეიგნო ხელოვნების სრული ქმნილება, სილამაზითა და ძლიერებით სავსე, რომელსაც შეუძლია თქვას: „ეგ ჩემი შრომაა“?.

არვინ არის უბედნიერესი მეცნიერების ადამიანისა, რომელიც თავს იმტროვს შემოქმედებისა და ცხოვრების საიდუმლოებზე, როდესაც მას გაანათებს ჭეშმარიტების სხივი, და ის სიხარულით მთვრალი წამოიძახებს: „ეგ მე აღმოვაჩინე, მე დავამტკიცე“.

ვინ შეედრება ბედნიერებაში იმ ადამიანს, რომელიც მათემათიკის და ფიზიკის ბილიკებზე, თუ ფილოსოფიის მაღალ სფერაში ეძებს კანონებს, რომელნიც რიცხვებს, ძალებს და ადამიანის ნიჭებს განაგებენ; როდესაც ის, რა აღმოაჩენს ახალს გზას

მაშინებისა და ადამიანების გამგეობისა, გეტყვისთ თქვენ: „ეგ გზა ჩემი აღმოჩენილია; ეგ—ჩემი შრომაა“.

ეს სხივებია, რომელთაც ღმერთი მშრომელს უგზავნის; ეგ—ნაბერწკლებია, რომელნიც პრომეთეოსმა მზეს მოჰპარა.

გენიოსობა—სასწაულთმოქმედი ნიჭია; სიხარული გამოწვეული ახალი აღმოჩენით, ახალი სიმშვენიერის შექმნით ისე მაღლა სდგას ადამიანის არარაობაზე, რომ ყველა დიდებულნი მუშაკნი გარშემორტყმულნი არიან ბედნიერების ორეოლით, რომელიც ყოველ მხარეს ავრცელებს სხივებს.

გალილეის უყვარდა ფიზიკური და მათემატიკური მეცნიერება და სწავლობდა მას არა სახელისათვინ, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ ის მას უყვარდა. აი, რატომ ის მეტს ყურადღებას მეცადინეობას, შრომას აქცევდა, ვინემ თავისი აღმოჩენის გამოქვეყნება—დაბეჭდვას. ამ მეცნიერების სიყვარულით ის მუდამ მასზე ლაპარაკობდა, განსაკუთრებით გეომეტრიაზე, როგორც ვივიანი ამბობს, „არა ადამიანური“ მჭერმეტყველებით. იმით გალილეი სულს უდგამდა თავის მსმენლებს და მოსწა-

ვლებს და ავრცელებდა მას. გალილეი, ფრიზის სიტყვით, იყო ბრწყინვალე ვარსკლავი, რომელიც ძალასა და მოძრაობას აძლევდა ყველას, ვინც კი მას მიუახლოვდებოდა. რამდენ ცეცხლს ანთებდა მისი მჭერმეტყველება მისი მოწაფების გულში, როგორიც არიან მაგალითად ვივიანი და ტორიჩელი, რომელთაგან პირველი სამს წელიწადს, ხოლო მეორე სამს თვეს სცხოვრებდა გალილეის ოჯახში!

აქედგან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ არც ერთს მოსწავლეს არ ჰყვარებია ისე თავისი მასწავლებელი, როგორც გალილეი მის მოწაფეთ უყვარდათ. ამას მოწმობს დიდებული კასტელლი, რომელსაც უნდოდა, რომ მისთვის პატივი ეცათ მხოლოდ გალილეის პატივის ცემისათვის, და ვივიანი, რომელიც ყოველ თავის თხზულებას, თავის ხელნაწერს „გალილეის უკანასკნელი მოწაფის“ სახელს აწერდა.

ბელლინმა ოცი წლისამ აღმოაჩინა „შარდის მილი“, რომელიც ეხლაც მისს სახელს ატარებს. სამის წლის შემდეგ მანვე ნახა ნერვების ბოლო ენაში და დაამტკიცა რომ ის ასრულებს გემოვნების ორგანოს ფუნქციებსო. არც მის დრომდე და არც მას შემდეგ მე არ ვიცი უფრო გამოჩენილი გენიოსი ექიმთა შორის, და ბოერგავე მართალი იყო, რო-

ცა ამბობდა, რომ არავისი დაყენება არ შეიძლება მასზე მაღლა და მხოლოდ ერთსა თუ ორს შეუძლია, რომ გვერდში ამოუდგეს მასო. რომ გავსინჯეთ ბელლინი მხოლოდ ჭკუის მხრით, ჩვენ დავინახავთ მასში შემოქმედ გენიოსს, რომელიც უკავშირებს და უქვემდებარებს მოძრაობის კანონებს ცოცხალი ორგანიზმის ყოველს ფუნქციას, და ქმნის ამ გვარად ფიზიოლოგიას და ავადმყოფობათა თეორიებს. თუ გავსინჯავთ მას სულის მხრით, მაშინ ვინ არის, რომ მაზე უფრო უყვარს ჭეშმარიტება და მეცნიერება, ვინ არის, რომ უფრო სცემს მათ თაყვანს? მხოლოდ მაშინ, როცა ის სხეულის ძალებზე და ამ ძალების გამოხატულებაზე ფიქრობდა, მხოლოდ მაშინ გრძნობდა ის სიხარულის და აღტაცების ნაპერწკლებს.

„დღეს, დღეს ჩემში აზრი (წერს ის თავის თავზე) როცა მე ვიწყებ ფიქრს მოძრაობაზე, რომელშიდაც დამალულნი არიან ასეთი ღრმა, ასეთი საიდუმლო გამოცანები! ის წარმოგვიდგენს ჩვენ ბუნებისა და ღმერთების ცხოვრებას ისე თვალსაჩინოდ და მასთან ისე დიადათ, რომ მეხშირად აღტაცებაში მოვდივარ და ზღვას ვემსგავსვი, ისეთი თავდავიწყება მიპყრობს ხშირად, რომ არ ვიცი, თუ სადა ვარ, ვისთან ვარ და რას ვაკეთებ“.

მე არ ვიცი, რომ როდისმე ყოფილიყოს არსებობა უფრო თაყვანის მცემელი ანატომიისა, ვინემ ვალსალვა. თავის სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მან მკვდარი გვამების სინჯვასა და „ჩარიქებაში“ გაატარა; რამოდენიმე ჯერ გახდა აკად, ჭლექიც კინაღამ მიიღო, და სრულიად დაჰკარგა ყნოსვა, იმიტომ რომ მუდამ მკვდრებს დასტრიალებდა თავს. მეგობრები ურჩევდნენ მას დასვენებას ასეთი შრომისაგან, მაგრამ ის მათ არ აძლევდა ყურს, და ჭეშმარიტების გამოკვლევის სურვილით შეპყრობილი, დღე და ღამეებს ერთნაირად მკვდრებთან ატარებდა.

ვალსალვას დასახასიათებლად მორგანოს მოყავს შემდეგი ფაქტი: „ერთხელ მას სადღაც ეშოვა თეძოს ზედა ნაწილი, ძნელი და ხანგრძლივი სენით შეპყრობილი; მან ის, ჩვეულებისამებრ, სახლში წაიღო გამოსაკვლევათ. როდესაც თავისი შრომა შუამდინ მიიყვანა, ამ დროს ის უცებ მოაშორეს საქმეს და ქალაქში მიიწვიეს ერთს ავადმყოფთან. ის იძულებული შეიქმნა, რომ გამოკვლევა შემდეგისათვის გადაედო, როცა უკან დაბრუნდებოდა; ქალაქში მეტ ხანს დაურჩა მოცდა, ვინემ მას ეგონა. დაბრუნების შემდეგ ის კვლავ შეუდგა მუშაობას. მაგრამ მან აქ შენიშნა, მას არაფრის მიღწევა არ შეეძლო, სანამ არ შეიტყობდა, თუ რა მდგომარეობაში იყო თეძოს ზევით მდებარე დიდი ნერვი. როგორ უშველიდა თავს? ცხელი ზაფხული იყო. სულის შემგუბავი

სიცხე იდგა. უკვე ცამეტი დღე გასულიყო მას შემდეგ, რაც მკვდარი სხეული დაესაფლავებინათ. მეცნიერმა დაუწყო თხოვნა მესაფლავეთ, რომ სხეული მიწიდგან ამოეთხარათ, მაგრამ უარი მიიღო; მხოლოდ დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ იშოვნა ერთი მუშა, რომელიც დასთანხმდა საფლავის გათხრაზე. მტკიცე ფიზიოლოგმა ამოიღო სრულიად უსახო გახრწნილი სხეული და დიდხანს იფურთხებოდა აუტანელი სიმყრალის გამო; მაგრამ ბოლოს მაინ უშიშრად მივიდა მასთან, მონახა, რაც საჭირო იყო და გამოარკვია მისი დამაინტერესებელი საკითხი.“

გრაფი მარსილი იყო ერთი უუბედნიერესი ადამიანთა შორის; მეცნიერების სიყვარულით და გულმოდგინებით, რომლითაც ის ხელს უწყობდა ფიზიკური მეცნიერების გავრცელებას, ის უნდა ჩაითვალოს უდიდებულეს ადამიანად დედა მიწის ზურგზე. ის სწავლობდა მათემათიკას მორტანარსა და ბორელთან. და ანატომიას მალპიგთან. ძლიერი შთაბეჭდილებით ძალით შეპყრობილი, ის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სულის სიცხოვლეს მუდამ სწავლას ანდომებდა. თითონ ხომ სწავლობდა, უნდოდა სხვასაც ესწავლა ფიზიკა, გეომეტრია და განსაკუთრებით ბუნების მეტყველება. გულადი მეომარი და წინამძღოლი ომში, ის თავისუფლების დროს (და ტყვე-

ობის დროსაც) მუდამ ენერგიულად იკვლოვდა დედამიწის გულს და ზღვის უფსკრულს, ყოველთვინ ეძებდა მასალას საბუნებისმეტყველო და ისტორიული გამოკვლევისათვის. როგორც მაგალითი მისი იდეალური შრომის მოყვარებისა, ჩვენ მოგვყავს ერთი ფაქტი: თავის ვეებერთელა თხზულება „დუნაიზე“ (ექვსი ტომი) მან დაწერა იმ დროს, როცა თურქებს და უწყალო ბედს ებრძოდა. ფიზიკური ცოდნის სიყვარულმა, კაზმული ხელოვნების ტრფიალებამ და აგრეთვე სურვილმა, რომ იტალიაში ეცნიერება და ხელოვნება გაევრცელებია, მასში ღაბადეს აზრი ინსტიტუტის დაარსებისა, სადაც უნდა ესწავლებინათ ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, ბუნების მეტყველება და სხვა საგნები. მარსილმა მართლა განახორციელა თავისი აზრი და ამ საქმისათვის დაუთმო ქალაქს თავისი მდიდარი კოლეკციები და ინსტრუმენტები, რომლის შეძენაზე მთელი მისი მდიდარი მემკვიდრეობა დახარჯა.

ამ ბუნების მეტყველების სიყვარულს იგი სხვასაც უნერგავდა გულში. მრავალნი იტალიის მეცნიერნი ამბობდნენ, რომ იმათ არას დროს არ შეეძლოთ შეეთვისებიათ შრომისადმი ასეთი მიდრეკილება, რომ ამხანაგად მარსილი არ ყოლოდათ.

ამ დროს ბოლონიაში მათემათიკოსებმა და ფიზიკოსებმა, ბუნების მეტყველებმა და ექიმებმა ცხოველად მოკიდეს ხელი მეცნიერებას. იქ ცხოვ-

რებდა მაშინ ეგსტაქი მანფრედა, ისეთივე დიდი მათემატიკოსი, როგორც პოეტი, შესამჩნევი ჭკუისა და ცოდნის ადამიანი, მეცნიერმეტყველი და ცხოველი თვით პროზიაშიაც კი. მის გარშემო მთელი ოჯახი, მისით სულჩადგმული, შრომობდა და ეხმარებოდა მას ასტრონომიულ გამოკვლევებში. ეს ოჯახი შედგებოდა მისი სამი ძმისა და ორი დისაგან: ძმამ მისმა გაბრიელმა შესანიშნავმა მათემატიკოსმა, პირველმა შეუერთა იტალიაში ალგებრა გეომეტრიას; ერაკლიტმა, მათემატიკოსმავე, სახელი გაითქვა, როგორც ექიმმა; ემილი იყო დიდებული ორატორი და კარგი პოეტი; დები მათი მაგდალინა და ტერეზა მეცადინეობდნენ ფილოსოფიასა და მათემათიკაში; უკანასკნელი, ამას გარდა, მშვენიერ ლექსებს წერდა ბოლონიურ ენაზე.

ნიჭის და შრომის მოყვარულ მანფრედებზე რომელნიც ყველა გართული იყო ზეციური სხეულების შესწავლაში, ფონტენელი ამბობს, რომ არ ყოფილა სხვა მაგალითი, რომ მთელი ოჯახი შეთანხმებულიყოს ასეთი საქმისათვისო.

ამავე დროს ბოლონიაში ცხოვრებდა ბეკვარი, ცნობილი ექიმი და უდიდებულესი ქიმიკოსი იტალიისა. იმისი სამსახური არ იზოგება იმ სახელით, რომელიც მასზე დარჩენილა ჩვენს დროში, რადგან

დღეს ოცში ძლივს ერთმა ექიმმა იცოდეს, თუ როდისმე ცხოვრებდა მედიკი, სახელად ბეკკარი არა, მისი სამსახური უნდა გაიზომოს იმ სარგებლით, რომელიც მან, როგორც ფიზიკის, ქიმის, ანატომიის და მედიცინის პროფესორმა, მის თანამემამულეთ მიუტანა. ის ამხნევებდა თავის მოსწავლებს და უწონებდა ბუნების შესწავლას; ამავე დროს აძლევდა დაუღალავი შრომის მაგალითს. მას ერთი დღითაც-კი არ უნდოდა სოფელში წასვლა, რომ მუშაობა-მეცადინეობა არ შეეწყვიტა. მეტი რა? გამოცდილი ექიმის სახელს ატარებდა; ხშირად „ძლიერნი ამა სოფლისანი“ იწვევდნენ მას, მაგრამ ხშირადვე ის არ ღებულობდა მათ, რადგან არ უნდოდა თავი დაენებებია თავისი საზოგადოებრივი მოვალეობისა და მეცნიერებისათვის: ის მას ბავშვობიდგან შეეჩვია და კიდევ უფრო და უფრო ეჩვევოდა მას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მის სიკვდილამდე მისი აუდიტორია სავსე იყო ახალგაზრდობით, რომელსაც ის ასწავლიდა ფიზიკას, ქიმიას, მათემათიკას და მედიცინას. (ის მოკვდა 1766 წელს). ამ კაცის მთელი სიცოცხლე ცდებში, გამოკვლევებში და ახალგაზრდობის სწავლებაში გაიარა. ის შრომობდა და მუშაობდა სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე: გარდაცვალების რამდენიმე საათის წინ მას უნდოდა თავისი ხელით აღენიშნა ბარომეტრისა და ტერმომეტრის მდგომარეობა, რასაც ის სამჯერ შვრებოდა დღეში.

ტოტცეტი, ფლორენტინელი, ექიმი, ბუნების მეტყველი და არქეოლოგი, არა ჩვეულებრივი მაგალითია შრომის მოყვარეობისა და მეცნიერების სიყვარულისა. გამოკვლევანი მედიცინისა და მეურნეობის კითხვების შესახებ, გავრცელება ყვავილის აცრისა, გამართვა მედიკურ ფაკულტეტისა საავადმყოფოსთან ფლორენციაში, თვალყურის დევნება გადამდებ სენთა მდგომარეობისა და ნიადაგის საშრობი მუშაობისათვის, საშვალების გამოგონება წყალდიდობის შესამცირებლად და ამავე დროს ექიმის თანამდებობის ასრულება ტოსკანის საჰერცოგოში, ძებნა ისტორიული და არქეულოგიური მასალებისა გამოსაკვლევად და აღწერა მათი ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნების მეტყველური მხრით,— ეს დიდებული შრომა მოწამეა ტოტცეტის მეცნიერებისადმი დიდი სიყვარულისა, მისი სულისა და ჭკუის დიადი მოქმედებისა. და არ შეიძლება ითქვას, რომ თავმოყვარეობა იყოს მიზეზი ამ დიდებული შრომისა; არა, ეგ იყო მხოლოდ მოძრაობისა და შესწავლის მოთხოვნილება, მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებას ის სცდილობდა, რადგან მისი თვალები არ იღლებოდნენ ხედვისაგან, და მეხსიერება არ ივიწყებდა მას, რასაც კი თვალები ნახავდნენ“.

არიოსტო ისეთს სიყვარულსა და მიდრეკილებას გრძნობდა პოეზიისადმი, რომ ხშირად სრულიად განკერძოვდებოდა ამ ქვეყნიდგან. მოგვითხრობენ, რომ ერთხელ ის დილით წარსული სასეირნოდ, იმდენად გაიტაცა სხვა და სხვა კითხვებმა, რომ მხოლოდ საღამოს მოვიდა გონს. იქ უკვე ღამე უნდა გაეთია. ეს შემთხვევა ჩვენ გვაგონებს დანტეს, რომელმაც ერთხელ ბიბლიოთეკაში შესვლისას აიღო ხელში წიგნი და ისეთი გულმოდგინებით დაიწყო კითხვა, რომ არ შეუმჩნევია დიდი ხმაურობა მექორწილეთა და მუსიკისა, რომელიც იქ გადიოდა.

ისტორიკოსმა მურატორიმ იცოცხლა 77 წელი. მუდამ გატაცებით მუშაობდა. დაუღლელი, მხნე და მხიარული, ის მშვენივრად გრძნობდა თავს, როცა ახალგაზრდებში გაერეოდა. მისი შრომანი რომ ჩამოვთვალოთ, მარტო ეგ სია შეადგენს მთელს წიგნს. მის დასახასიათებლად საკმაოა ვსთქვათ, რომ ის ორ თხზულებას წერდა ერთად; და იმის შიშით, რომ მასალა არ შემოლეოდა, ხშირად მეგობრებს მიმართავდა ტემებისათვის. ამ მხრით ის გვაგონებს შესანიშნავ ბოტანიკოსს დეკანდოლის, რომელმაც ერთხელ გამოთქვა, რომ ყოველთვინ მეტს საქმეს უნდა მოჰკიდო ხელი, ვინემ შესრულება შეგიძლია.

შესანიშნავმა ტიპოგრაფმა ალდო რომანომ, რომლის გამოცემანი, ვითარცა ძვირფასეულება, ევროპის ყველა ბიბლიოტეკებში ინახებიან, გამოიჩინა ისეთი საქმიანობა, ისეთი ტრფიალება შრომისადმი, რომ სამუშაო ოთახის კარებზე დააწერა; „ვინც უნდა იყო შენ მეგობარო, თუ ჩემთან სალაპარაკოთ მოსულხარ, მოკლედ ილაპარაკე. გთხოვ, ჩქარა წახვიდე, თუ ჩემი შრომის სიძნელის გაყოფა არ გინდა“.

ამასვე შვრებოდა დაუღალავი გალეანი, როცა მასთან ვინმე შედიოდა ბიბლიოთეკაში, სადაც მან გაატარა საუკეთესო დრო თავისი სიცოცხლისა: იჩ შემოსულს უთუოდ რაიმე სამუშაოს აძლევდა. და ხშირად ნახავდი მასთან უნებლიე ტყვეთ, რომელთაგან ერთი სწერდა, მეორე თარგმნიდა, მესამე რაღაცას არჩევდა და სხვ.

დიდებულმა ასტრონომმა კასსინიმ, რომიდგან დაბრუნების შემდეგ პარიჟში, უფრო მუყაითად მოჰკიდა ხელი საქმეს, მიუხედავათ თავისი სიბერისა. მრთხელ, როდესაც მას მეგობრები ხანგრძლივი შრომისგან დასვენებას ურჩევდნენ, მან უპასუხა: „რამდენად უფრო ვხუცდები, იმდენათ უფრო ვგებულობ ახალს რასმეს, და ამ კმაყოფილებას ვერ გავცვლი დედამიწაზე ვერაფერშიო“. მისი ბიოგრაფის სიტყვით, ის მუდამ კითხულობდა „ზეცათა წიგნს“...

კასსინი იმდენათ ბედნიერი იყო, რომ მან თვით მოხუცებულობისა და სიბრმავის დროს შეინახა სიმხნეევ და მხიარულება. ზოგჯერ აკითხვინებდა ვინმეს ციცერონის წიგნს „მოხუცებულობას-“ს, ხან ებაასებოდა ახალგაზდებს და სიკვდილის ისე არ ეშინოდა, რომ ხშირად ამბობდა: „ბედნიერი იქმნება დრო, ოდესაც წიაღსა შინა ღვთაებისასა განვიხილავ ბუნების შემოქმედს, ზეცათა სიდიადეს და უმაღლესს სიბრძნეს“.

ცნობილი ბოტანიკოსი და ბუნების მეტყველი ჩეზალპინო ამჩნევდა, თუ როგორ დღითი დღე იზრდებოდა მასში მეცნიერებისადმი სიყვარული. ორმოცდა-ათი წლისა იყო, რომ დასწერა წიგნი „პერიპატოული კითხვები“, ათი წლის შემდეგ გამოსცა მეორე „სახელმწიფოებზე“; 64 წლისამ დასწერა „მცენარეებზე“ და 74 წლისამ-„მედიკური კითხვები“. რამდენი მეტად ხუცდებოდა ჩეზალპინო, იმდენი მეტად ძლიერდებოდა მისი მოქმედება. „მედიკურ კითხვებს“ მოყვა „მაკურნებელი თვისება მედიკამენტებისა“, ცოტა ხანს შედეგ „ლითონებზე“. ბოლოს, 84 წლისამ ე. ი. 1603 წელს, დასწერა „დამატება“ თავის პირველი თხზულებისა. ეგ „დამატება“ იყო მისი უკანასკნელი შრომა.

მელქიორე ჯოიას ისე უყვარდა მეცნიერება, რომ სრულიად ავიწყდებოდა ძილი და მთელ ღამეებს წიგნებზე ატარებდა: ჭერიდან ლამპას ჩამოუშვებდა საწოლის პირდაპირ და დიდ ხანს მეცადინეობდა.

რომანიოზი მოგვითხრობს, რომ ჯოია ისეთი ოსტატი იყო თავისი აზრების დალაგებაში, იმოდენი ცოდნა და ისეთი კარგი მეხსიერება ქონდა, რომ მისი ტიპოგრაფი ვერ ასწრებდა ბეჭდვას იმ ფურცლებისა, რომელთაც ის განუწყვეტლივ უგზავნიდა.

ერთხელ ჯოიასა და მბეჭდავს შორის მოხდა შემდეგი ამბავი: პირველმა კორექტურის შესწორების დროს შენიშნა, რომ ორიგინალს აკლდა მთელი ნაწილი. გაჯავრებულმა მუშებს დაუწყო ბრალდება ფურცლის დაკარგვაში. ყველგან ეძებეს, მარა ცდა ამაო გამოდგა. მაშინ ჯოიამ თან გაიყოლა ტიპოგრაფის ბავშვი და გაიქცა სახლში: მას მოაგონდა, რომ ის გამოტოვებული ნაწილი მას სტოლზე დაეწერა და არა ქაღალდზე. შეწუხებულმა იმ ამბით, რომ უდანაშაულოდ შეაწუხა მუშები და ეს ბავშვიც, ჯოიამ ამოიღო ჯიბიდგან ფული და უთხრა ბავშს: „მაპატიეთ, მიიღეთ ჩემგან ეგ ფული; მე მაგით სადილობას ვაპირებდი“... მაგრამ ბავშმა, ამ ამბით გულაჩვილებულმა, არც ფული აიღო, ფირცხლავ მოჰკურცხლა ტიპოგრაფიისკენ და სიხარულის ცრემლებით თვალებზე უამბო იქ, თუ რა მოხდა.

ვიცით, თუ როგორ ბედნიერი არის ადამიანი, რომელმაც რაიმე ახალი აღმოაჩინა, და მიაღწია იმ მიზანს, რომლისთვინაც შრომობდა.

ჰიფკოკრატმა, მთვრალმა სიხარულით, რომ ჰიპოტენუზის კვადრატი იპოვა, მსხვერპლი შესწირა ღმერთებს.

არქიმედმა, ფრიად გახარებულმა აღმოჩენით, შიშველმა გამოირბინა აბანოდგან, გაიქცა ქალაქის ქუჩებში, და ბედნიერებისგან თავბრუდასხმული ყვიროდა: „მე ვნახე, ვნახე! (ევრიკა, ევრიკა)“. ინგლისის ქიმიკოსმა დეგიმ, გახარებულმა ლითონი „კალის“ აღმოჩენით, ხტუნვა დაიწყო ლაბორატორიაში და განცვიფრებაში მოიყვანა დამსწრენი, რომელნიც გაკვირვებისაგან პირდაღებული შეცქეროდნენ მას.

რა გვარი სიხარული უნდა იდგეს ამათზე უფრო მაღლა? ეპიკტეტის ხელთნაწერიდგან ჩვენამდინ მოახწიეს შემდეგმა სიტყვებმა: „ეპიკტეტი დაიბადა მონობაში, კოჭლი და საწყალი, როგორც ირი; მაგრამ ის მაინც უყვარდა ღმერთებს!!.

გეინზიუსმა დააწერა თავისი ბიბლიოთეკის კაერებზე: hic vivo et regno. (აქ მე ვცხოვრობ და ვმეფობ).

ვილსონი, შესანიშნავი ორნიტოლოგი შეუდარებელი სიდიადით ამბობდა თავის თავზე: მე ხშირად თითონვე მიკვირს, თუ როგორ ვერთობი ტო-

როლას ან სხვა რომელიმე ფრინველის თვალიერებით, მაშინ როდესაც სხვა ადამიანები ვეებერთელა პროექტებს არდგენენ; ისინი ყიდულობენ მიწას, აშენებენ ქალაქებს და აგროებენ სიმდიდრეს, რომლითაც არ შეუძლიათ სარგებლობა.

ზოგს ქარიშხლიან დროში ადამიანები დამშვიდებას პოულობენ სახლში, სადაც იგინი აზროვნობენ და სწერენ.

ასე იქცეოდა, მაგალითად მონტენი, რომელიც, დევნული აჯანყებულთაგან, დაიმალა პატარა თავის კოშკში, სადაც დაწერა თავის უკვდავი „ცდანი“ და გაატარა უუბედნიერესნი წლები იმ ფილოსოფიაში, რომელსაც ის მოსწრებულად უწოდებს: verte, gaie et naïve; ამგვარადვე იქცეოდა ბეკონი, დეტუ, ლოპიტადი, კარდინალი რეტცი და მრავალ. სხვანი.

შესანიშნავი ბუნებისმატყველი ადანსონი ეკუთვნოდა იმ რჩეულ ადამიანთა გუნდს, რომელთაც არაფერი იციან, გარდა შრომისა და მისი კმაყოფილებისა. საფრანგეთის რევოლიუციის დროს მას დიდი უბედურება დაატყდა; მაგრამ ის მუდამ მზად მყოფი ბრძოლისათვის, სრულიადაც არ შედრეკილა. მან ყველაფერი დაჰკარგა, გარდა შრომის სიყვარულისა. სამოცდა ათის წლის ის ისეთი ღარიბი იყო, რომ როცა ერთხელ ინსტიტუტის კრებაში მონაწილეობის მიღება სთხოვეს, მან უპასუხა ღიმილით: „საუბე-

დროდ არ შემიძლია იქ წასვლა, რადგან „ბაშმაკე-ბი“ არ მაქვს“.. სანამ ადანსონი ფიქრობდა და წერდა, ის მუდამ ბედნიერი იყო. გული აგიჩვილდებოდათ, რომ გენახათ, როდესაც ეგ წელში მოხრილი მო-ხუცი, ბუხრის წინ იჯდა და ნახევრად გამქრალი ცეცხლის სინათლეზე, რომელიც მას ერთსა და იმა-ვე დროს სითბოსა და სინათლეს აძლევდა, სწერდა გამუდმებული. (სანთელი ხომ არ ქონდა). მოხუცს ავიწყდებოდა ყოველივე მსოფლიური, როდესაც რომელიმე ახალი შუქი შეანათებდა მის აზრში და გაულიმებდა მის ოცნებას.

თავის ანდერძში ის წერდა, რომ მის საფლავზე დაედოთ გვირგვინი იმ ორმოცდა თვრამეტი სხვა და სხვა ყვავილთაგან გაკეთებული, რომელთა „ოჯახო-ბანიც“ მან დაამკვიდრა მეცნიერებაში.—„არა სამუ-დამო, მარა მაინც მშვენიერი ძეგლია“. (ამბობს ჟიუგიე).

ხშირად სიხარულის გრძნობა, რომელიმე მოქმე-დებით გამოწვეული, ისეთი დიდია, რომ ადამიანი არა ნორმალურ მდგომარეობაში ვარდება. მაცარტი თავდავიწყებას ეძლეოდა, როცა თავის მუზიკალურ თხზულებათ წერდა; ასევე ემართებოდა გებერსაც. ლაგრანჟი მუშაობის დროს, გრძნობდა თუ როგორი სიხარულით ცემდა მისი გული. რუსსო როცა წერ-და, თითქმის ციებაში იყო; დრაიდენს ტრუანტელი უვლიდა და ალფიერს თვალები უბნელდებოდა.

გაფანტულობა მეცნიერების და ხელოვნების მნათობთა არის გაფანტულობა ბედნიერთა. ნიუტონი, იმდენად შეპყრობილი იყო აზრებით, რომ ხშირად ივიწყებდა საჭმელზე. ერთხელ მან დაპადიჯა სადილად თავისი მეგობარი ექიმი სტიუკლეი. ისიც მოვიდა დანიშნულ დროს. „სტოლი გაწყობილი“ დახვდა, მარა ნიუტონი იქ არ იყო. ექიმმა დიდხანს ველარ უცადა, შემოუჯდა მაგიდას, შესჭამა მთლად შემწვარი ქათამი და წავიდა შინ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა ნიუტონი, ძალიან მოშიებული, მაგრამ როდესაც ქათმის მხოლოდ ძვლები დაინახა, სიცილით წამოიძახა: „საუცხოვოა! მე მეგონა, თუ არ მისადილია დღეს-მეთქი; თურმე ძალიან არ ვცდებოდი!.“

ერთხელ ბეთხოვენი ვენაში სასტუმროში შევიდა, საჭმელების „კარტა“ მოითხოვა და სადილი შეუკვეთა. მერე ამ „კარტაზე“ მუზიკალური თხზულების წერა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ მოსამსახურემ სადილი მოუტანა; მაგრამ ბეთხოვენმა გამოუცხადა, რომ მე უკვე ვისადილეო, ფული მისცა მოსამსახურეს და წავიდა.

გიბბონმა, გამოეთხოვა რა ძალაუნებურად თავის დიდებულ შრომას „რომის იმპერიის დაცემის ისტორიას“ დასწერა შემდეგი მშვენიერი სტრი-

ქონები: „კაპიტოლიის ნანგრევებზე მე მომივიდა აზრი მეცნიერული ნაწარმოების შექმნისა, იმ შრომის, რომელმაც ოცი წელი მოინდომა, და ამ წლების განმავლობაში სიხარულით ავსებდა ჩემს არსებას. თუმცა ის შორს არის ჩემს ოცნებამდინ, მარა მაინც წარვუდგენ მას საზოგადოების ცნობის მოყვარეობასო.“

მე იტალიით დავიწყე და იტალიითავე მინდა დავასრულო დიდებულ მუშაკთა მოქმედების მიმოხილვა.

ალფიერის ბიოგრაფიიდგან ვგებულობთ, რომ უმაღლესს კმაყოფილებას ის მეცნიერებასა და ლიტერატურაში პოულობდა.

„ძლივს გავათავე პოემა (წერს ის), რომ საყვარელი ქალიდგან მივიღე წერილი: მწერდა, რომ მას თეატრში ენახა ვოლტერის ტრაგედია „ბრუტოსი“ და ძალიან მოსწონებოდა. მეც მენახა ის ათის წლის წინად, მაგრამ არ მახსოვდა დაწვრილებით; მე მაშინვე ჯიბრმა შემიპყრო და ვიფიქრე: რა უნდა იყოს „ბრუტოსი“, ვოლტერის „ბრუტოსი!“ მე არათუ მარტო შევქმნი „ბრუტოსს“, მე დავამტკიცებ, რომ მე უკეთ დავწერ ტრაგედიას, ვინემ ფრანციელი პლებეი, რომელიც 70 წელია თავის თხზულებებზე აწერს: Voltaire getinhomme ordinaire

du Roi". „მე დავჯექი პასუხის დასაწერად, და იმავე დღეს გავუგზავნე საყვარელს არსებას პირველი მოქმედება ჩემი „ბრუტოსისა".

„შემდეგ მთელი ხუთი თვე განუწყვეტელ მუშაობაში გავატარე, და ყოველ დილით ვუგზავნიდი მას ხუთ-ექვს გვერდს.

ენკენისთვის ბოლოს 82 წელს, როდესაც ყველაფერი შესწორებული და გადაწერილი იყო, მე კითხვის დროს დავრწმუნდი, რომ ტრაგედია ვერ იყო კარგი. და თუმცა მე პირველ მწერლად მიმაჩნდა თავისი თავი დედამიწაზე, მარა მის გადაკეთებას მაინც ხუთი თვე მოვანდომე: ვასწორებდი, სარჩულსაც ვუცვლიდი; ერთი სიტყვით თოთხმეტ რედაქციაში გავატარე. ბოლოს ოქტომბრის შუა რიცხვებში დადგა ჩემთვის დასვენების დრო, ისეთივე სასურველი, როგორადაც აუცილებელი ამოდენა შრომის შემდეგ. თავმოყვარეობით ვიყავ სავსე, მაგრამ მინდოდა, რომ ეგ არავის შეემჩნია და რაღაც მორცხვობით ვლაპარაკობდი თავის თავზე ჩემი საყვარელი არსების წინ, რომელიც დიდებულ ადამიანად მთვლიდა; ‹ შეიძლება სწორედ ამიტომ მინდოდა, რომ დიდებული გავმხდარიყავი. რამდენიმე თვის შემდეგ მე კვლავ დავფიქრდი და ისევ მოვკიდე ხელი ჩემს ტრაგედიას. მაგრამ ამ დროს მე მხოლოდ 34 წლის ვიყავი და ადრე მეგონა სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა; მართლა, მე სულ რვა წელი-

წადს ვმეცადინეობდი, და არას დროს არ ვაძლევდი თავს ფარულს იმედს, რომ როდისმე სახელის სხივები შეამკობდნენ ჩემს თავს“.

როგორი პოეზიაა, როგორი კეთილშობილური მიდრეკილებაა ხელოვნებისადმი, როგორი მაღალი და პირდაპირი პატივის მოყვარეობაა!...

ორმოცდა ათის წლისამ ალფიერიმ ხელი მოჰკიდა ბერძნული ენის შესწავლას და ისეთის სიყვარულით მიადგა ამ საქმეს, ისეთის გულმოდგინებით, რომ ამბობდა: „მე ეგ მინდოდა შეუდრეკელად, მე ეგ მინდოდა უძლიერესად. შემდეგ ამბობს:

„იმდენი დაღლილობას არ დავუსუსტებივარ, რამდენიც იქვიანმა, დაუჯერებელმა ჭკვამ. მაგრამ ამანვე მაიძულა—გამომეღვიძებია გასრული წლების ლეტარგიიდგან. 97 წლისამ მე გადავაკეთე სატირა № 17, გადავათვალიერე, შევაკეთე და გადასაწერად მივეცი. ბოლოს, როცა უფრო შემიყვარდა ბერძნული ენა, მე ვთარგმნე ევრიპიდის „ალცესტა“, სოფოკლის „ფილოკტეტი“, ესხილის „პერსი“ და და „ბაყაყები“ არისტოფანისა.

ალფიერი მუშაობდა 50-ის წლის განმავლობაში და დღითი დღე მეტს კმაყოფილებას პოულობდა შრომაში!



თავი V.

ამბარტავნობა და სახელი, შრომისგან გამოწვეული.

ბავშვიც იჩენს თავმოყვარეობას.—პატივის მოყვარეობა ადამიანის ბუნებაშია; მას დიდი საქმეებისაკენ მიყავს ადამიანი.—XIII საუკუნის ისტორიიდგან.— ალბერიკო და ბარბიანო.—ლანგრაფის მამა.—ენეი სილვიუსი პიკოლომინი.—პაპლე სარპი.—ბეკკარია.—მეტასტასიო.—ბარნაბო ორიანი, წინად კალატოზი, შემდეგ დიდებული გარსკვლავთ მრიცხველი.—ბელტონი, წინად უბრალო დალაქი, შემდეგ შესანიშნავი მოგზაური.—უბრალო შთამომავლობა, მაგრამ დიდებული სიმტკიცე გალილეისა.—ჩამოთვლა მტირეთა, რომელნიც „დიდ იქმნენ“.

დიდებით გარშემორტყმული აქ
‚ბალდახინით‘‘ არ მოდის.—დანტე.
რამდენი წინ მიდის ადამიანი, იმდენი
ნაკლებად სჩადის დანაშაულობას.
დანტე.
მამაცთათვის ყველა გზები სწორია.
ტასსო.

ბავშვს ჯერ ენა არ ამოუდგამს, ძლივს ახერხებს „დედა“ და „მამას“ თქმას, რომ უკვე იჩენს თავმოყვარეობის ნიშნებს: ის სრულიად კმაყოფილს სახეს იღებს, როცა მას აქებენ. რაიმე გამწყრალი სიტყვა ატირებს მას, თუმცა ეგ სიტყვა მას არავი-

თარ ფიზიკურ ტანჯვას არ აგრძნობინებს. ეს არის ნიშანი დიდი გრძნობის, რომელიც მალე გაიშლება ცხოვრებაში, ეგ არის ნიშანი იმ ძალისა, რომელსაც მიყავს ადამიანი ყოველ დიდებულ და ყოველ საძაგელ საქმეთაკენ. მშობელნო და მასწავლებელნო, ყური უგდეთ, თვალი ატანეთ ამ გრძნობის გაძლიერებას სიფრთხილით და მოთმინებით; ეცადეთ, არ მოკლათ ის სიმკაცრით, არც ძალიან განაცხოველოთ თაყვანის ცემით; ეცადეთ მიაქციოთ ის კეთილშობილური მიზნებისაკენ, რომელთაც სახელისა და ბედნიერებისაკენ მიყავს ადამიანი. თქვენ ხელთ არის მამოძრავებელი ძალა ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრების დიდი მექანიზმისა.

სულელია—თვითმოყვარე ადამიანი, მარა უფრო სულელია უთავმოყვარო ადამიანი. ის გავს ზარმაც ცხენს, რომელიც მათრახს არ გრძნობს, ან სხვა ცხოველს, რომელიც კმაყოფილია მითი, რომ ჭამს, სვამს და სძინავს.

ქ-ნმა სტალმა, რომელმაც კარგად შეისწავლა ადამიანის გული, თქვა, რომ გენიოსობა არის ძლიერი ციება, რომელიც იზომება მხოლოდ სახელის სიხარულითო. ამ სახელისაკენ უნდა იწევდნენ არა მარტო გენიოსები. ყოველი ჭკუა, დიდებული თუ უბრალო, უნდა გრძნობდეს თავის სფერაში კეთილშობილურ თავმოყვარეობას. ვინც მას არ გრძნობს,

მას არ შეგვიძლია სრული კაცი ვუწოდოთ: მას ადამიანის ნახევარი ძალა აკლია.

როდესაც თქვენ მთაში მიდიხართ, განა არ ელოდებით მოუთმენლად მწვერვალის მიღწევას? და როდესაც მწვერვალს აღწევთ და იმავე დროს ხედავთ უფრო მაღალ მთას, განა მოუთმენლად არ შეყურებთ მას? განა ზღვის ნაპირს რომ დგეხართ, თქვენ არ ეძებთ თვალით ათლქმულს ქვეყანას? მაგრამ ეგ აღთქმული ქვეყანა მთის მეორე მხარეს სძევს, როგორც ერთმა დიდებულმა პოეტმა სთქვა.

ადამიანი, რომელიც არ ეძებს მაღალ მთებს და ფართო ჰორიზონტებს, რომელიც არ ცდილობს ზეცათა საიდუმლოების გამოცნობას, არც თავისი საკუთარი თავის გაგებას—მხოლოდ ნახევარი კაცია, შეიძლება კიდევ ნაკლები. ის ეკუთნის ინტელიგენციის სრულიად უსაქმო მდაბალ პლებეების რაზმს, იმ ჯოგს ცხვრებისას, რომელნიც გზას იკლოვენ მხოლოდ ზარის ხმით ან მეცხვარის ჯოხის წყალობით, ურომლისოდაც ეგ ფარა ვერც საბალახოს, ვერც თავლას ვერ მიაკლოვს. ადამიანი, რომელშიდაც თავმოყვარეობა არ არის, დაბადებულა მიტომ, რომ სიცოცხლე მონობაში გაატაროს, ბოლოს გაიყინოს და მოკვდეს, ის შედარებით ბევრ ცხოველებზე დაბლა სდგას: ცხენი, მაგალითად, შეურაცხყოფილად თვლის თავს, როცა მათრახს არტყმენ, ის გარბის და სხვებს უსწრებს; ძაღლები და

მაიმუნები პირდაპირ გამოხატვენ ხოლმე თავმოყვარეობის ნიშნებს: იმათ კარგად ესმისთ ქებაც და ძაგებაც. კანონი თავისი თავის გაუმჯობესებისა თანდაყოლილი აქვს ყველა ქმნილებათ.

წაიკითხეთ ჩვენი სიმპატიური მწერლის შემდეგი სტრიქონები.

„მე-XVIII საუკუნის მეცნიერებში ჭეშმარიტების სიყვარული შეკავშირებული იყო ინტელექტუალურ ცხოვრებასთან, პოეტურ და მრისხანესთან და არა ისეთთან, როგორიც არის ჩვენი საუკუნის ცხოვრება—როდესაც გრძნობელობა და ანგარიში ვანაგებენ ადამიანის გულსა და ჭკვას.

ის ადამიანები არა მარტო გრძნობიერებით ცხოვრებდნენ—ისინი ცხოვრებდნენ სახელისათვის. იმათი ცხოვრების ამიცანა და მწვავი კითხვა ის იყო, რომ საზოგადოებისთვის მეტი სარგებელი მოეტანათ.“

გადავავლოთ თვალი იტალიის დიდებულთ: ჩვენ დავინახავთ, რომ გენიოსობა და თავმოყვარეობა, პატივის მოყვარეობა და ძალა თანამგზავრია ერთი მეორისა.

ალბერაკო დაბარბიანო, მე XIV საუკუნის შესანიშნავი ჯარის წინამძღოლი, რომელსაც იტალიის დიდებული განმათავისუფლებელი ეწოდება, ყოველთვის მოწყენილი და აღელვებული იყო, თუ

კი მას ვინმე სამხედრო ვარჯიშობაში, ხმლის ხმარებაში, თუ სირბილში აჯობებდა. ერთხელ ის ეჯიბრებოდა თავის ძმას ჯოვანის, რომელმაც რამოდენიმე ჯერ დაამარცხა იგი. ამ დღეს, ყოველგვარი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად მას სადილი არ უჭამია (ახალგაზრდობაში). შემდეგ ძმამ ხელახლა გამოიწვია იგი სავარჯიშოდ და განგებ დაამარცხებია თავი. „ეგ თვისება, ეგ გრძნობა სასაცილო კურდღლის ბაჭიის არსებაში—ამბობს მისი ბიოგრაფი,—მარა ლომის ბუნებაში მხოლოდ გაკვირვების ღირსია.“ ალბერიკო სულახალგაზრ და შევიდა სამხედრო სამსახურში შესანიშნავი ჯარის წინამძღოლის ჯოვანი აკუტოს უფროსობის ქვეშ. ის მაშინვე შეუდგა სამხედრო დისციპლინის შესწავლას თეორიულად და პრაქტიკულად და დაუღალავად ცდილობდა, რომ მალე კაპიტანი გამხდარიყო. კითხულობდა დიდის ყურადღებით, უკვირდებოდა გმირების მოქმედებას, ათვალიერებდა ადგილებს, რომელნიც უფრო მოხერხებულნი იყვნენ ჩასაფრებისათვის, და საზოგადოდ სამხედრო მოძრაობისათვის; თავდაჭერილი, ზომიერი და მხოლოდ სახელის სურვილით გამსჭვალული ის სიმამაცის სასწაულებს ახდენდა. აკუტო ხშირად ამბობდა მაზე: „სხვებს, დეზი სჭირია და ალბერიკოს კი მხოლოდ მაგარი ალვირი უნდაო“. ლიეიის სიტყვით, ადამიანი ემორჩილებიან გარემოებათ, და არა გარემოებანი ადამიანთ. ეგ შეიძლება

მართალი იყოს „უბრალოთა“ შესახებ, მარა გენიოსები არ ემორჩილებიან ასეთ კანონს. ალმაფრენი აზრებით დაჯილდოებულნი პირები თითონ ამზადებენ გარემოებათ; იგინი არაფრისაგან ქმნიან წრეს, ასწორებენ ნიადაგს, გრძნობენ მოსავალს და წინადვე უმკლავდებიან მას. ალბერიკომ, რომელმაც იტალიის გაცამტვერება სამხედრო დისციპლინის დაცემას მიაწერა, გადაწყვიტა ამ უკანასკნელის აღდგენა.

არმიის მოწყობის საქმე უკვე წავიდა. მოწოდებამ სარწმუნოების მხრივ და კაპიტანის მჭერმეტყველებამ დაბადეს სამშობლოსადმი სიყვარული. საჭირო ფულები შეკრებილ იქმნა თავდადებულ მეგობართა წრეში. ერთის სიტყვით, ალბერიკო რჩება იტალიის გაერთიანების მამოძრავებელ ძალად. იმის სკოლიდგან გამოვიდნენ: პანდოლინო, ბრაჩჩიო, პაოლო, ორსინო, ტარტალია, სფორცა და სხვ. ესენი არიან იტალიელები, რომელნიც სხვისი ბატონობის სიძულვილს სცემდნენ თაყვანს; ისინი ყველა ალბერიკოს ჯარის კაცებია, სხვა ეროვნებიდგან მათ არავინ ეკუთვნის.

როდესაც ვინმე პატივის მოყვარეობას მეცნიერული, ან არტისტული სახელის შეძენას უდებს სარჩულად, მაგრამ ისე კი, რომ არავინ იჩაგრებოდეს, მაშინ ეგ თავმოყვარეობა მხოლოდ მაღალი ზნეობითი ძალაა, რომელიც გარშემო მხოლოდ სიხარულს ავრცელებს.

აი სურათი, სადაც ოჯახური გრძნობანი გადახლართულნი არიან თავმოყვარეობასან.

..... „შესანიშნავი მათემათიკოსის ლაგრანჟის მამა 90 წლის იყო. გარეშე საქმეთა მინისტრმა მისწერა დირექტორიის კომმისარს დემარუს: „მიდით შესანიშნავი ლაგრანჟის პატივცემულ მამასთან და გამოუცხადეთ საფრანგეთის მართველობის მხრივ ჩვენი გულითადი სიმპატია.“ კომმისარი და მრავალნი დიდებულნი მივიდნენ მცხოვანი მოხუცის სახლში და წაუკითხეს აფიციალური დეპეშა. კომმისარმა დაუმატა: „ბედნიერო მამავ! მიიღე სიმართლის მეგობართაგან გულწრფელი მადლობა, რომლის გამომხატველად მე ვარ წარმოგზავნილი. დალოცეთ იღბალი, რომელმაც თქვენ დაგაჯილდოვათ შვილით, რამეთუ ეგ თქვენი შვილი ამშვენიერებს კაცობრიობას თავისი გენიოსობით. პიემონტი ამაყობს მით, როგორც სამშობლო, საფრანგეთი კი ბედნიერია, რომ მას თავის მოქალაქეთ თვლის“. აი მამის პასუხიც: „ეგ დღე უუბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში და მიზეზი კი ჩემი შვილია. გადაეცით მართველობას ჩემი გულითადი მადლობა! ჩემი შვილი კი... ოცდა თორმეტი წელია, რაც მე იგი არ მინახავს“.

მამა და შვილი ღირსნი იყვნენ ერთმანეთისა.

როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ საერო განათლების ინსპექტორებმა ინახულეს პიემონტი, ერთი მათგანი, ინსტიტუტის წევრი, გაემგზავრა

მოხუც ლაგრანჟთან, რომელიც ამ დროს ახალგაზდათ“ გრძნობდა თავს. მთელი მუსიკალური საზოგადოება შეკრებილიყო იქ. ინსპექტორმა ლაპარაკი ჩამოაგდო ლაგრანჟშვილზე. „ჰო,—თქვა მოხუცმა მამამ—ჩემი შვილი დიდებულია ადამიანების თვალში; მე კი მინდა, რომ იგი ღვთის თვალშიაც ისეთი დიდებული იყოს“.

ენეი სილვიუსი პიკოლომინი იყო დიდებული მწერალი და დიდებული პაპა. იმის ამაყი და დამოუკიდებელი ხასიათის დასასურათებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი შემთხვევა. მისი უკანასკნელი ავადმყოფობის დროს, ექიმები არწმუნებღნენ მას—საშიში არაფერი არისო. მან კი, თავის მდგომარეობის კარგად მცოდნემ, წარმოსთქვა შემდეგი ღირს სახსოვარი სიტყვები: „საცოდავია ბედი დიდებულთა, რომელნიც თვით სიკვდილის შესახებაც კი ვერვისგან გაიგონებენ სინამდვილეს.“ ენეი სილვიუსი იყო შვილი ღარიბი ოჯახისა და სუსტი აგებულების პატრონი; მარა მან მაღალი თავმოყვარეობით ასულდგმულებულმა განვლო სამღვდელოების ყველა ხარისხი, ბევრი იმოგზავრა, ბევრი ისტორიული და ფილოსოფიურ თხზულება დაწერა. მას მრავალჯერ გადაუვლია ალპიის მთები და არა ერთხელ ყოფილა საფრანგეთში. რამდენიმე წელი უცხოვრია გერმა-

ნეთში, ყოფილა ვენგრიაში, ბრიტანიაში და დაუ-
ვლია ოკიანის ყველა კუთხეები. „არ არის ისეთი
საქრისტიანო პროვინცია—სწერს კატრანო—რომე-
ლიც მას არ ენახულოს, არ არის ზღვა, რომე-
ლზედაც მას არ ეცუროს, არ არის მდინარე თუ
ქალაქი, სადაც ის არ ყოფილიყოს და სხვა“. და
აქვე ვიტყვით, ვინ არ იცის ისტორია სექსტ მეხუ-
თისა, რომელიც მეღორიდგან პაპა გახდა?

პაოლო სარპი, რომელზედაც კიდევ გვექნება
შემდეგ ბაასი, დაიბადა ვენეციაში, ღარიბ ოჯახში;
მამა ადრე მოუკვდა. დედა მისი ისეთი ღარიბი იყო,
რომ ერთმა მისმა ძმამ წაიყვანა თავის სახლში. ეს
იყო განათლებული და სათნო ადამიანი. როდესაც
მან თავის ძმისწულში შეამჩნია ნიჭი, შესამჩნევი მეხ-
სიერება და მახვილი ჭკვა სჯა-ბაასში, მაშინ დიდის
ზრუნვით დაუწყო მას გრამმატიკისა და რეტორიკის
სწავლება. კეთილშობილური თავმოყვარეობით ამო-
ძრავებულმა სარპიმ ისეთი უნარი გამოიჩინა სწავლა-
მეცადინეობაში, რომ განაცვიფრა ბიძა მისი; მაგრამ
რაც უფრო აკვირვებდა ყველას—ეგ იყო მოწყენი-
ლი დაფიქრებული სახე, აზროვნების ღრმა გამოხა-
ტულება, სიჩუმე და ყოველივე სათამაშოსადმი სი-
ძულვილი. საშველს ისე ცოტასა სჭამდა, რომ ყვე-
ლას უკვირდა, თუ როგორ აკმაყოფილებდა ის ორ-
განიზმის მოთხოვნილებას. ის ფიქრობდა და მუშა-
ობდა.

კეთილმა ბიძამ, რა დაინახა არა ჩვეულებრივი კაცი მის ძმისწულში, საშუალება მისცა, რომ მას მათემათიკა, ბერძნული და ებრაული ენები შეესწავლა ვენეციის საუკეთესო პროფესორებთან. მალე დაიწყო მან მეცადინეობა ჯოვანის მამის მარი კაპელის ხელმძღვანელობით. აქ ის სწავლობდა ლოლიკას, ფილოსოფიას, თეოლოგიას (ღვთის მეტყველებას) და ისე წავიდა წინ, რომ ბოლოს მასწავლებელმა გამოუცხადა, მეტი რა უნდა გასწავლო, რაც თითონ არ ვიცი: ის ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავის მასწავლებელს კითხვებით და გარკვეული აზრებით. ოცი წლის ის მონასტერში შევიდა, სადაც სიჩუმითა და მშვიდობიანობით მალე მიიპყრო წინამძღვარის ყურადღება. ამხანაგები ამბობდნენ: „ყველა მუქთაობაში ვიმყოფებით აქ, პაოლო კი წიგნით სულდგმულობს“. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ბევრს მოზრდილებს სჭარბობდა თავისი ცოდნით.

1572 წელს მას უნდა დაეცვა დისპუტი მანტუაში კონგრესზე—ამ დროს ის მხოლოდ 20 წლის იყო!.. აქ ამ არა ჩვეულებრივმა ახალგაზრდამ ისე ადვილად გაარჩია 318 თეოლოგიური და ბუნებისმეტყველურ-ფილოსოფიური კითხვა, რომ გრაფმა მანუთიმ სთხოვა საეკლესიო მთავრობას, რომ ის მისთვის დაენიშნათ სასახლის ღვთისმეტყველად.

სარპის განუძღომელი მიდრეკილება ჰქონდა

ცოდნისადმი და მთელი თავისი სიცოცხლე თავის გაუმჯობესობაში გაატარა. მას მუდამ ეგონა, რომ ცოტა ვიცი და ნაკლულევანებით ვარ სავსეო.

აი რამოდენიმე სიტყვა მის შრომის მოყვარე ცხოვრებაზე:

. . . ვენეციაში დაბრუნების შემდეგ, მან სრულიად ფიქრებს მიცა თავი და უკვე გაარკვია რამოდენიმე აზრი მეტაფიზიკასა, ბუნებისმეტყველებასა და მათემათიკაზე. ამ დროს ალფონსი ანტონინიმ, ვენეციის მთავარმართებელმა, რომელიც ის იყო გერმანეთიდგან დაბრუნდა, მოინდომა პაოლო სარპის მოლაპარაკებოდა სხვა და სხვა იარაღების ⁄ მაშინების შესახებ და ანტონინი დიდის სიამოვნებით უგდებდა ყურს სარპის აღტაცებულ ლაპარაკს იმ საგანზე, რომელიც მას არას დროს არ შეესწავლა განკუთვნილად, მაგრამ ის მაინც საღად სჯიდა, ხსნიდა და მოჰყავდა დასამტკიცებელი საბუთები.

„მეორეხელ ვენეციაში მოვიდა ერთი სამზღვარგარეთელი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ქალაქი, რომელსაც მოუთავსებია თავის თავში ყოველგვარი მეცნიერება, იმავე დროს უთუოდ უბედურებათა ცენტრი უნდა იყოსო. პირველად, რაღაც ბედად, მას პაოლო სარპი შეხვდა. სამზღვარ გარეთელი ისე გაშტერებული დარჩა მისი სჯა-ბაასით, აზრებით, რომ უცებ დამუნჯდა კაცი, არ იცოდა რა ექნა, თუ რა

ეთქვა. ასეთი ფართო იყო მისი ცოდნა, ასე ნათელი და უსაზღვრო იყვნენ მისი აზრები“.

„იდეების ქვეყნის მცხოვრებს, მას უნდოდა გაცლოდა გაუგებარ საბრალო წრეს, ჩაღრმავებოდა მათემათიკურ აზრებში, მეტაფიზიკისა და ზნეობის განხილვაში.

ექვსი წელი შესწირა მან მეცადინეობას და ამ ექვსი წლის განმავლობაში დაწერა რამოდენიმე წიგნი სულიერი ცოდვების აღმოფხვრისა და კეთილმოქმედების გაძლიერების შესახებ; ამას მიუმატეთ კიდევ სამი ტომი პლუტარხის წიგნების მსგავსი: პირველი სულის მედიცინის შესახებ, მეორეში აღწერილი იყო, თუ როგორ ჩნდებიან და ქრებიან ვნებანი (страсти); მესამეში ამტკიცებდა, რომ ატეიზმი ადამიანის ბუნების წინააღმდეგიაო“.

ბეკკარი ბავშობაში არ იჩენდა დიდ ჭკვას, მხოლოდ შემდეგ, თავისი თავმოყვარეობისა და ცოდნის სურვილის წყალობით, ის შეიქმნა იმ დიდებულ კაცად, როგორადაც მას ქვეყანა იცნობს. ყური დაუგდეთ, რას ამბობს მისი ბიოგრაფი:

„ბავშვობაში ის არ იჩენდა დიდ ჭკვას, ცოტას ლაპარაკობდა; მორცხვი, წყნარი, ის ისეთი ზანტი იყო აზროვნებასა და მეცადინეობაში, რომ ძლივს ისწავლა წერა-კითხვა. შემდეგ გრამმატიკა ისე გა-

უძნელდა მას, რომ მშობლებმა პირდაპირ უნიჭოდ ჩასთვალეს ის. მაგრამ როდესაც წამოიზარდა, უცებ გაიშალა მისი ნიჭი, მოულოდნელად, წარმოუდგენელი სიჩქარით. მან ხელი მოჰკიდა ძველი კლასიკების შესწავლას და ისე მალე შეიგნო თვით ბუნდოვანი ავტორებიც კი, რომ თვითონ დასწერა მათზე რამოდენიმე წერილი. ამ წერილებმა ენის სიწმინდით და აზრის სიღრმით განცვიფრებაში მოიყვანა მკითხველი საზოგადოება. ესა და სხვა მსგავსი მოვლენანი ამტკიცებენ, რომ რამდენად გვიან ვითარდება ადამიანი, იმდენად ეს განვითარება მტკიცე და ხანგრძლივია.

ბეკკარი რომ არ გამხდარიყო შესანიშნავ ადვოკატად და ავტორად უკვდავი თხზულების „De'delitte é delle pene (დანაშაულობა და სასჯელი), ის, უეჭველია, დიდებულ ფიზიკოსად გახდებოდა, ვინაიდგან პატარაობას იგი ისეთს უნარს იჩენდა ფიზიკის სწავლაში, რომ მასწავლებლები მას პატარა ნიუტონს ეძახდნენ.

ახალგაზრდა ბეკკარი, რომელიც ძალიან მაღლა დადგა თანამედროვე უსაქმო თავად-აზნაურებზე, გრძნობდა, რომ რამდენი მეტად უკვირდებოდა ფილოსოფიურ კითხვებს, იმდენი მეტად ილვიძებდა მასში ცოდნის წყურვილი; და როდესაც იგი რომელიმე ახალ ჭეშმარიტებას აღმოაჩენდა, იტყოდა:

„ვგრძნობ, თუ როგორ მევსება გული სიტკბოებითაო“.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მრავალნი დიდებულნი, რომელიც სიღარიბეში დაბადებულან და იმავე სიღარიბეში დალევდნენ სულს, რომ უმაღლესი პატივის მოყვარებით არ ყოფილიყვნენ ამოძრავებულნი.

მთელი ქვეყნის მიერ ცნობილი პოეტი პეტრო ტრაპასსი, მეტასტასიოდ წოდებული, დაიბადა რომში, ღარიბი მშობლებისგან; მამამ დიდის სივიწროვით შეასწავლა შვილს გრამმატიკის პირველი წესები. მაგრამ ბუნებამ ისეთი ნიჭით დაალჯილდოვა ის, რომ რვა წლისამ არა თუ იცოდა ლათინური ენა, მშვენიერ ლექსებსაც კი წერდა. ერთს საღამოს ამ ხელობაში ვარჯიშობდა მეტასტაზიო ქუჩაში, მრავალ რიცხვოვან ხალხში. მის ლექსებს უცებ ყური მოჰკრა ვიჩენტო გრავინმა, რომელიც ფრიად გაკვირვებული დარჩა იშვიათი ტალანტით, და პატარა პოეტს, ნიშნად მადლობისა, ფული შეაძლია. მეტასტაზიომ უარი განაცხადა. ამ საქციელმა კიდევ უფრო მოხიბლა გრავინი. მან მოინდომა რომ ბავშვი სახლში წაეყვანა და აღეზარდა ეგ მშვენიერი ყვავილი, რომელიც მშვენიერსავე ნაყოფს პირდებოდა. მან მოელაპარაკა პეტროს მამას, რომელმაც სიღა-

რიბისა და შვილის სიყვარულის გავლენის ქვეშ მყოფ-
მა, დაეთანხმა მეცენატის წინადადებას.

თოთხმეტი წლის მეტასტაზიომ დასწერა მისი
წლოვანობისათვის განსაცვიფრებელი ტრაგედია
Giustino.

ბარნაბა ოტრიანი, გასრული საუკუნის უშესა-
ნიშნავესი ასტრონომი, ისეთ სიღარიბეში დაიბადა,
რომ ბავშვობიდგან იძულებული შეიქმნა კალატოზო-
ბისათვის მოეკიდა ხელი. შემდეგ, როდესაც ის
თავისი მეგობრებით ინახულებდა თავის სამშობლოს
გარენიანოს, ის ხშირად აჩვენებდა ამხანაგებს ქვის
კედელს, მისი საკუთარი ხელებით აშენებულს. მას
სრულიად არ რცხვენოდა ამ გარემოების; პირ იქით,
მას ამაყობაც კი შეეძლო, რადგან არარაობად დაბა-
დებულმა, მან თავისი კეთილშობილური თავმოყვა-
რეობის წყალობით, შეიძლო უწარჩინებულესი კაცი
ვამხდარიყო თავის დროში.

ღარიბმა კალატოზმა, 1752 წელს დაბადებულ-
მა, 1778 წელს უკვე დაბეჭდა მეცნიერული თხზუ-
ლება მთვარის შესახებ. 1781 წელს გერშელმა
ურანი აღმოაჩინა. მაგრამ ოთხი წელიწადი გავიდა,
და მეცნიერებმა არ იცოდნენ, თუ რას წარმოადგენ-
და ახლად აღმოჩენილი სხეული. აღმომჩენელი ამ-
ბობდა, რომ ის არის მეშვიდე სიდიდის ვარსკვლავი,

რომელსაც თავისი საკუთარი მოძრაობა აქვსო. მასკელინა ამბობდა, რომ კომეტა არისო; მაგრამ 1785 წელს გაჩნდა ორიანი თავისი შრომით, რომელშიაც გამოარკვია ურანის ორბიტა (გზა), გამოიანგარიშა ამ უკანასკნელის ყველა ელემენტები (ნაწილები) და ურანი გამოაცხადა პლანეტად. დამყარდა თეორია. ამ კლასიკური ნაწარმოებით უბრალო კალატოზმა მოიპოვა ადგილი უდიდებულეს ასტრონომთა შორის.

რამოდენიმე წლის შემდეგ ორიანმა მიიღო წერილი ღენერალი ბონაპარტისაგან, სადაც უკანასკნელი უწოდებს მას ლომბარდიის მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელს. აი რამდენიმე სტრიქონი ამ საბუთიდგან, სადაც ნათლად ჩანს მთელი გენიოსობა აუსტერლიცის მომავალი დამპყრობელისა.

„მეცნიერებანი, რომელნიც ამშვენებენ ადამიანის ჭკვას, ხელოვნება, რომელიც აფრთოვანებს ცხოვრებას და გადმოგვცემს მომავლის საუკეთესო მოქმედებას, ყველაზე უფრო უნდა ფასდებოდეს თავისუფალი მართებლობის მიერ. აზრი განთავისუფლდა იტალიაში; არც ინკვიზიცია, არც დესპოტები არ აბრკოლებენ მას...

„ყველა გენიოსებს, ყველა ისეთ ადამიანებს, რომელთაც მეცნიერების რესპუბლიკაში გამოჩენილი ალაგი უჭირავთ, ჩვენ ფრანციელებათ ვთვლით

მიუხედავათ იმ ადგილებისა, სადაც უნდა დაბადებულიყვნენ ისინი. ამიტომ მე ვიწვევ მეცნიერთ, რომ შეიკრიბნენ და გამოსთქვან თავიანთი აზრი იმ საშუალების, იმ საჭიროების შესახებ, რომელნიც აუცილებელნი არიან მეცნიერების და ხელოვნების ახალ გზაზე დასაყენებლად. მსურველნი პატივით იქნებიან მიღებულნი საფრანგეთის მართებლობის მიერ. საფრანგეთის ხალხი უფრო აფასებს ჭკვიან მათემათიკოსს, შესანიშნავ მხატვარს, ერთის სიტყვით გამოჩენილ კაცს,—მეცნიერების რა დარგშიაც უნდა მოქმედებდეს ისა,—ვინემ როჰელიმე მდიდარი ქვეყნის ან ქალაქის შეძენას. ნუ იტყვით უარს, მოქალაქენ, საფრანგეთის ხალხის გრძნობების გამოხატვაზე მეცნიერებისა და შესანიშნავი არტისტების წინაშე, რომელნიც მილანში იქმნებიან თავშეყრილი".—ბონაპარტე.

რამდენიმე სიტყვას კიდევ ვიტყვით ამ კალატოზის შესახებ, რადგან ის იყო არა მარტო დიდებული, არამედ უსრულესი ადამიანი, მაგალითი:

„ცეზალპიის რესპუბლიკის დირექტორიის ბრძანებით, ყველა მოქალაქეთ ფიცი უნდა დაედოთ მართებლობის ერთგულებაში. ორიანმა ურია განაცხადა. მან მისწერა კომმისარს ბალდირონის, რომ ჩემთვის არ შეადგენს აუცილებლობას ასეთი ფიცი. მე ვექვემდებარები კანონს, რომელიც, ამ შემთხვევაში, ყველაფერს მისპობს გარდა ერთის უფლე-

ბისა, რომლის ძალითაც შემიძლია კვლავ გულ-
მხურვალედ ვილოცო სამშობლოს კეთილდღეობი-
სათვისო.

ასეთი საქციელი იშვიათია: ორიანის მსგავს
პირებს არ შეუძლიათ ერთად შეაკავშირონ მეც-
ნიერება და ცხოვრების სარგებლობანი. აი თვით
წერილებიც:

„მილანი. 4 თებერვალი, წელი VI. მოქალა-
ქეს ბალდირონს, აღსრულებითი დირექტორიის კო-
მისარს.

ბარნაბო ორიანი, ბრერის ობსერვატორიის
ვარსკვლავთ მრიცხველი, რომელიც ყოველ კეთი-
ლად მოწყობილ მართებლობისადმი პატივისცემას
გრძნობს, ვერ მიმხვდარა, თუ თავისი ადგილის და-
საკავად პლანეტებთან, რატომ უნდა შეფიცოს
ერთგულებაში ამა თუ იმ მართებლობას.

ამიტომ ის აცხადებს, რომ რა არ შეუძლია
შეფიცოს ერთგულებაში მეფეს, ის ექვემდებარება
კანონს, რომელიც ობსერვატორიაში მეცადინეობას
უსპობს; მიუხედავად ამ სასჯელისა, ის ყოველთვის
მლოცველი იქმნება სამშობლოს კეთილდღეობისა-
თვის“. პატივისცემით ბარნაბო ორიანი.

ამ პირდაპირმა და გაბედულმა საქციელმა თვით
მტრებსაც კი აგრძნობინა მისდამი პატივისცემა.

თვით დირექტორიამაც კი, ჩვეულების წინააღ-
მდეგ, დაუბრუნა კერძოდ მას და მის ორ თანაშემ-

წეს წინანდელი ადგილი, ამასთან მან იძულებულ ჰყო სამივე ფიცი დაედოთ კანონის ერთგულებაში. ეს სიმტკიცე ბოლოს გამოადგა მას: შემდეგში ბევრ საპატიო მინდობილებათ აძლევდნენ მას...

ერთხელ მას ვერჩელლის ეპისკოპოზობა შეაძლიეს, მარა მან გაიღიმა და უპასუხა: „არ შემიძლია, რადგან მე უნდა მუდამ ვარსკვლავებს ვუცქირო ტელესკოპით, და მიტრა ხომ გადამივარდება თავიდგან“.

თუ ორიანი კალატოზი იყო, ბელტონმა, რომელიც საზოგადო აზრით უწარჩინებულესი მოგზაური იყო, თავისი ასპარეზი დალაქობით დაიწყო. ბელტონმა მედალი მიიღო ინგლისისგან ხეფრენის პირამიდაზე ასვლისათვის, და პადუამ ის თავის მოქალაქეთ იცნო.

მოგვყავს მისი ბავშვობიდგან ერთი გარემოება, სადაც მშობლებმა ვერ შენიშნეს თანდაყოლილი მიდრეკილებანი, რომელთაც მათი შვილი დიდებული გახადეს. ბიოგრაფი ამბობს:

„შინაური გარემოებანი ნებას არ აძლევდნენ მშობლებს, რომ შვილისათვის კარგი განათლება მიეღებინებიათ. იყო დრო, როცა ახალგაზრდა ჯოვანი იძულებული იყო მამის ხელობისათვის მოეკიდა ხელი— ე. ი. წვერები ეპარსა. კარგად

არავინ იცის, თუ როდის დაიწყო მან განვითარება, მარა ყოველს შემთხვევაში არა უადრეს ცამეტი წლისა, როცა ერთმა უბრალო შემთხვევამ უცებ გამოაღვიძა მასში ბუნებრივი მისწრაფებანი.

ორნოტეს მთაზე, ცნობილი აბანოს შორი ახლო, დგას მონასტერი, სრულიად განცალკევებული, შემოზღუდული მომაღლო გორაკებით და მშვენიერი მიდამოთი. ეს მიდამო ხშირად იტაცებს თავისკენ მოგზაურთ, რადგან აქაური საღი ჰაერი, ცივი წყლები და თვით ბერების სტუმართ მოყვარეობაც კი განთქმული არის. აქვე წამოვიდა ერთს დღეს მამა ჩვენი ბელცონისა და თან წამოიყვანა თავისი ორი უმცროსი შვილი: ფრანჩესკო და ანტონიო, რომ ისინიც დამტკბარიყვნენ მშვენიერი საუცხოვო სურათებით. არ შეგვიძლია აღწერა იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც ჯოვანის გულში ამ დიადმა სანახაობამ გამოიწვია. მინდვრები, მთები, გამოქვაბულები, წისქვილები—ეგ ყველაფერი უნდა დაეთვალიერებია გაუმაძღარი თვალებით, ყოველგან უნდა შემძრალიყო, გამოეკვლია. აღტაცებული დაბრუნდა ის სახლში. იქ დაეცა ქვეშაგებში და ისეთი ღრმა, ნეტარებიანი ძილით დაიძინა, რომ... ვის ახსოვდა, ძმაო, სადალაქო!

როდესაც მეცადინეობის დრო დადგა, ჯოვანის კიდევ ორნოტეს მთა უტრიალებდა თავში. ბოლოს მან კვლავ გადაწყვიტა იქ წასულიყო და და-

ითანხმა უმცროსი ცხრა წლის ძმა ანტონიო. შეუმ-ჩნევლად გამოვიდნენ სახლიდგან, და მალე უკან დატოვეს პადუა (ადგილის სახელია). გზაზე იგინი ვილაცამ ფურგონზე დაიჯინა. ანტონიო, რომელიც ყველაფერში უთმობდა ძმას, მოშიშრად მისდეკდა უკან, მასაც დავიწყებოდა მოვალეობა და სტკბებო-და ბუნებით. მოგზაურთ იარეს ორი დღე-ღამე და მიაღწიეს ფერრარამდი. მაგრამ აქ ცუდი საქმე მო-უვიდათ: საგზალი სრულიად შემოელიათ, მეფურ-გუნის მისაცემიც არაფერი ქონდათ. ტყვილა იბერ-ტყდნენ ბავშვები ჯიბეებს—არ იყო და არა!

იძულებულმა ბავშვებმა გაიხადეს ზედა ტანსა-ცმელი, მოაძრეს ვეცხლის ფოლაქები ფეხსაცმელს და მისცეს მეფურგონეს; ამ უკანასკნელმა ჩააბარა მათ რამოდენიმე გროში, გზა დაულოცა და გან-შორდა. ჯოვანის უხაროდა ის, რომ მალე ჩავიდო-და ქალაქში, იმ ქალაქში, რომელზედაც ბევრი ულაპარაკნია მამას, რომელშიდაც მას მოქალაქის უფლებაც-კი აქვს. ბავშს ეგონა, რომ უკვე ნახევა-რი ქვეყანა გავიარე, ცოტა კიდევ და რომიც გა-მოჩნდებაო.

—

რა თქმა უნდა, ჯოვანისაც აწუხებდნენ ისეთი აზრები, რომლებიც მუდამ მოსდისთ თავში ჩვენს ბრთხილ გლეხებს—ფიქრი ცუდ გზებზე, ავდრებზე, საეჭვო სასტუმროებზე და საშინელ სიძვირეზე, მით-

უმეტეს, რომ ისინი ასე ღარიბები იყვნენ. ყველაზე უფრო უფულობა აწუხებდა ჩვენს გმირებს. იმათ უნდა მოხმარებოდა ის ბედი, რომელიც, პოეტის სიტყვით, შემწეობას აძლევს გაბედულთ და ზრუნავს სულელებზე.

როდესაც ისინი ბოლონიიდგან გამოვიდნენ, მათ შეხვდათ მგზავრი, რომელიც ფლორენციაში მიდიოდა. ჯოვანის ჭკვიან სახეში მან ამოიკითხა კეთილშობილური სული და ჰკითხა, თუ საით მიემგზავრებოდნენ ისინი.—რომშიო—გულახდით უპასუხეს ჩვენმა მგზავრებმა. ორივე ძმები ჩააჯინეს ეტლში, და მათ რამოდენიმე ხნის შემდეგ თავი ამოყვეს უკვე აპპენინის ფერდოზე. გამოემშვიდობენ თავიანთ მფარველს თუ არა, თავიანთ ხელში რამოდენიმე ოქროს ფული შეამჩნიეს. ამ მოულოდნელმა სანახაობამ გაუოცკეცა ჯოვანის სიმამაცე და აღუძრა სურვილი მთის მწვერვალოზე ასვლისა. მარა ანტონიო ძალიან დასუსტებული იყო და ამასთან მას არ აფრთოვანებდნენ ის რომანტიული სურვილები, რომლებითაც ჯოვანი გამსჭვალული იყო. ის დაეცა ქვაზე და ცრემლებით შესთხოვდა ძმას სახლში დაბრუნებას. მხოლოდ ახლა მოაგონდა ბელკონის თავისი მშობლები, მოაგონდა, რომ სახლიდგან ჩუმად იყო გამოპარული. ამიტომ მხოლოდ ღრმა ამოოხვრა გაგზავნა რომში თავის მაგიერ; მან კი დაუხვია გზას და პირი იბრუნა შინისაკენ. ბოლოს,

როგორც იყო ცოცხლები დაბრუნდნენ შინ მშობლებთან, რომელთაც რამოდენიმე დღის წინათ გამოეტირათ კიდევაც თავიანთი შვილები.

სამი წლის შემდეგ ბელკონს მაინც ეღირსა რომის ნახვა, და ქალაქის თვალიერების დროს მოაგონდა თავისი ბავშვობა. აქ მან დაიწყო წვრილმანი ვაჭრობა: ყიდდა ხატებს, ჯვრებს და სხვ. ამ გვარად მან განვლო მთელი იტალია, მიაღწია საფრანგეთამდის, და ბოლოს ფეხი შეადგა თვით პარიჟშიც.

ბელკონის ცხოვრება—მთელი რომანია, და მის მოთხრობას ბევრი დრო დასჭირდება. მან თვითონ შექმნა თავისი თავი. მისმა ძლიერმა ხასიათმა არ იცოდა დაბრკოლება. მხოლოდ მან გაბედა „შეუსრულებელი“ საქმის შესრულება—მან გადიტანა ფივიდგან ალექსანდრიაში ვეებერთელა ბიუსტი, რომელსაც ყრმა მემნონი ეწოდებოდა. მან აღმოაჩინა იბზამბულა'ში მშვენიერი ტაძარი, სადაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იკრიბებოდნენ ნუბიელები, ბარბაროსები, რომელნიც არ ზოგავდნენ არავითარ ხელოვნების ნაწარმოებს, მარა რომელთაც უკვე იცოდნენ ფულის ხმარება. რამდენი შიში, რა ძლიერი ოპოზიცია უნდა დაემარცხებია ამ დროს ბელკონს, რამდენჯერ ჰკიდებდა ხელს მუშაობას და შეშინებული კვლავ ანებებდა მას თავს. არავითარი შედეგები არ მოყვებოდა მის შრომას, რომ ბელ-

ცონი ასე მტკიცე არ ყოფილიყო მიზნის მიღწევა-
ში. ესევე უნდა ვთქვათ ჩვენ კუნძულის ფილის
ობელისკის შესახებ: მან აღადგინა ის, ამოიყვანა
ნილოსის უფსკრულიდგან, სადაც დამარხულიყო
არაბების უზრუნველობის წყალობით.

მაგრამ ყველაფერს, რაც ბელცონმა გააკეთა,
ვინ ჩამოთვლის. მან გამოიკვლია უედიხალფას წყალ-
ვარდნილი და კარნაკის მიწის-ქვეშეთი. მან იმოგ-
ზაურა წითელი ზღვის ნაპირებზე და დაგვისახელა
ის ადგილი, სადაც ერთს დროს ვერონიკის ქალაქი
იდგა. მან გადათხარა ფივის მიდამოები და აღმოა-
ჩინა შესავალი ძველ პირამიდაში, რომელიც, ძველი
თქმულებით, მიუვალი იყო და რომლის შესახებ
თავს იმტვრევდნენ ევროპის მეცნიერნი. მარა ესეც
არ კმარა. 1823 წ. აპრილის თვეში ის გაემგზავრა
ლონდონიდგან ფეცში თავისი საყვარელი ცოლით,
რომელიც მასთან ერთად იყოფდა მოგზაურობის
სიხარულსაც და სიძნელესაც. მიიღო თუ არა მა-
როკკოს იმპერატორისგან რამოდენიმე ჯარის კაცი,
მან უკანასკნელად აკოცა ცოლს და გაემგზავრა
ტაფილეტში, სადაც უნდა მოეცადა ქარავანისათვის,
რომლითაც ტომბუკტუში აპირებდა წასვლას. მარა
გადაცდა თუ არა ატლანტის მთას, მან შეამჩნია,
რომ ყოველი წინ გადადგმული ბიჯი სიკვდილს
უახლოვებდა მას. მაგრამ მიზნით ასულდგმულებუ-
ლი, ბელცონი დაბრუნდა კვლავ ფეცში, რომ იმპე-

რატორისთვის ეთხოვა უფრო ძლიერი რაზმი ჯარისკაცთა.

აქედგან ის ზღვით წავიდა გიბრალტარისაკენ, სადაც ერთს ფირმას კომერსიული კავშირი ჰქონდა ლონდონის ფირმასთან. მეგობრებმა შეუგროვეს მას 1000 სკუდი, და მან კვლავ მიჰყო ხელი „ხეტიალს“. მადეირიდგან ის გაემგზავრა ტენერიფში, აქედგან კი 1826 წ. 25 სექტემბერს ის მშვიდობიანად მიადგა აფრიკის დასავლეთ ნაპირს. აქ ის წარუდგა ინგლისის გუბერნატორს და თავისი მოგზაურობის მიზანი აუხსნა. მანაც კარგად მიიღო ბელკონი, მარა მძვინვარე სენმა (ფალარაომა) შეაჩერა დაუღლელი მოგზაური და ბოლოც მოუღო მას. მოკვდა ადამიანი, რომელმაც მთლად ვერ მიაღწია მიზანს, მარა რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა საზღვარგარეთლები, მათი მართებლობანი და მეცნიერნი. ჩვენი ბელკონი ხომ მუდამ მარტო იყო!..

ხედავთ, როგორი სახელისა და ცნობის მიღწევა შეუძლია უბრალო დალაქის შვილს!?

—

დაბალი შთამომავლობა და გაჭირვება არასოდეს ხელს არ უშლის გენიოსს, რომ ის წინ წავიდეს. პირიქით კეთილშობილურად თავმოყვარე კაცს ერთიცა და მეორეც ხელს უწყობს, ისინი დეზი არიან და არა აღვირი სახელისა და მაღალი მდგომარეობის მისაღწევად.

ბარინი ლარიბი იყო. როდესაც მილანის ერთ ერთ გიმნაზიაში სწავლა დაასრულა, ის იძულებული შეიქმნა, სხვადასხვა ქალალდების გადაწერისათვის მოეკიდა ხელი, შემდეგ კი კერძო გაკვეთილებს ღებდა, რომ თავისთვინ და დედისათვინ როგორმე სარჩო ეპოვა. ბოლოს მან მამისგან დატოვებული პატარა მამულიც კი გაყიდა, რომ სიმშილით სიკვდილს როგორმე ასცდენოდა. თითონ ამბობს ერთ ლექსში: „საბრალო დედაჩემს არ აქვს პური; მე კი ფული არ მაბადია, რომ როგორმე თუნდა მარტო ხვალ მივაწოდო მას საჭმელი“.

მიუხედავად ამისა, მან დასწერა თავისი შესანიშნავი „დღე“ და თავისი საუკუნის ერთ უდიდებულეს პოეტად ითვლება.

კანოვა დაიბადა უულარიბეს ოჯახში; მამა მისი იყო ქვის მთლელი. მოგვითხრობენ, რომ ერთხელ კანოვამ გააკეთა უბრალო თიხის ლომი ვენეციის ერთ სენატორის სასადილო ოთახის დასამშვენებლად. ამით დაიწყო მან თვისი ხელობა, და უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა ის, როდესაც შექმნა ისეთი „რამე“, როგორიც არის ქანდაკება „გულკეთილობისა“.

—

სილარიბეში დაიბადა აგრეთვე გალვანი, ის

დიდებული ადამიანი, რომელზედაც ნიუტონმა სთქვა, რომ სწორედ მან აღძრა ჩემში პატივისცემა და სიყვარული იტალიელ ხალხისადმიო. მამა გალილეისა ისეთი ღარიბი და შევიწროებული იყო დიდი ოჯახით, რომ მას არ ქონდა საშუალება რაიმე სასწავლებელში მიეცა შვილი; და ამ ნაირად იძულებული შეიქნა, რომ უბრალო ფროორენტინელი მასწავლებელი დაექირავებინა მისთვის. მაგრამ ბავშვი, ასულდგმულებული სურვილით, რომ როგორმე მაღლა დამდგარიყო თავის წრეზე, არ ზოგავდა ძალღონეს, უნდოდა თითონვე დახმარებოდა თავის თავს, ასე რომ როგორც ერთი მისი ბიოგრაფი ამბობს, იტალიელი კლასიკების შესწავლაში ის უცებ წავიდა ძალიან შორს და განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა თავის უნარით.

ეს ბავშვი, რომელმაც შემდეგში შეიგნო დედამიწა, წინააღმდეგ თანამედროვე მეცნიერთა შორის დამყარებული აზრისა, და წარმოსთქვა თავის უკვდავი „Eppur si muowe“ („მაინც ბრუნავსო“), ეგ ბავშვი პატარაობიდანვე ეჩვეოდა საკუთარი მაშინებისა და იარაღების ფაბრიკაციას, ბაძავდა რა ყოველივე იმას რაც ჭკვიანურად ეჩვენებოდა. ამის წყალობით, ის ძალიან უყვარდათ ამხანაგებს.

არაფერი არ აბრკოლებდა ამ საუცხოვო ახალგაზრდის მოქმედებას. თავისუფალ დროს ის ანდომებდა მუზიკის შესწავლას, და იმდენად განვითარდა

მაში, რომ დაბოლოს ჯიბრსაც კი უწევდა ფლორენციის გამოჩენილ პროფესორებს. შემდეგ ხატვაც შეისწავლა, და ისე განვითარდა ამაშიაც, რომ ხშირათ ეტყოდა მეგობრებს: „ჩემს უფლებაში რომ იყოს პროფესიის ამორჩევა მე მხატვრობას ვირჩევდიო“. და მართლაც მან გამოიჩინა იმდენი ძალა ამ ხელოვნებაში, რომ ფლორენციის ცნობილნი მხატვარნიც კი მიდიოდნენ მასთან, რომ მისგან რჩევა მიეღოთ ხატვის სხვადასხვა წესების შესახებ. ჯიგულა მუდამ იმეორებდა, რომ მის მიერ შექმნილ შრომაში დიდი წილი უდევს გალილეის, რომლისგანაც მან შეისწავლა ხატვის წესები. სწორეთ მოგახსენოთ ეს გულწრფელი აღსარება პატივს დებს როგორც თითონ გალილეის, აგრეთვე ჯინგულასაც,—გულახდილობისათვის.

გალილეის მამას უნდოდა, რომ მის შვილს უთუოდ მედიცინა შეესწავლა; თითონ გალილეის კი მათემათიკა უყვარდა. მან მამისგან ფარულად მიმართა ერთს მეცნიერს და სთხოვა, რომ მისთვინ ესწავლებია ევკლიდის თეორიის რამდენიმე მუხლი. რიჩი (ამ მეცნიერის სახელია) სიამოვნებით მიეგება ყმაწვილის სურვილს, მაგრამ ზრდილობის დასაცველად, მან მაინც შეატყობია ეგ ამბავი გალილეის მამას და მისს დიდ მეგობარს, რომელსაც ურჩევდა წინ არ გადაღობებოდა შვილის მიერ არჩეულ გზას. მამამ ვერაფერი სთქვა რიჩის წინააღმდეგ; ყოველს-

შემთხვევაში, სთხოვდა რიჩს, ამ ჩემს თანხმობას ნუ გაუცხადებ შვილს, რომ მთლათ არ აიკრუოს გული მედიცინის შესწავლაზეო. გალილეი ისე გაიტაცა მათემატიკამ, რომ მას სრულიად გადაავიწყდა მედიცინა და თავისი ძალღონე კუთხების და „სამკუთხიანების“ შესწავლას მოანდომა; და კიდეც თავისი გაიტანა.

გაიგო თუარა ეს მამამ (ამბობს ბიოგრაფი), რომელსაც უნდოდა, რომ იმისი შვილი ყოფილიყო მიმდევარი გიპროკრატესი და არა ევკლიდისა, მოინდომა შვილის მოცილება ამ მეცადინეობიდან, მაგრამ ამ გზით რომ ვერას გახდა, მან სთხოვა რიჩის, რომ უკანასკნელს შეეწყვიტა მის შვილთან მეცადინეობა. ბავშვი უმასწავლებლოთ დარჩა. მიუხედავათ ამისა, მას არ გადაუხვევია ერთხელ არჩეულ გზიდან, რადგანაც მას სწამდა თავისი ძალა, და ასულდგმულებდა მას სახელის მოპოვების სურვილი.

ეს საკვირველი ჯიუტი ახალგაზდა შემდეგში გახდა ისეთი დიდებული ადამიანი, რომ მისი ცხოვრება მთელ ეპოქას ჰქმნის ფიზიკური მეცნიერების ისტორიაში, და განათლებულ ქვეყნიერობას არ მოეპოვება ისეთი კუთხე, სადაც მისი სახელი პატივისცემით და დიდებით არ იხსენიებოდეს.

—

ამ დიდებულ იტალიელთა ცხოვრების მოკლე მიმოხილვით მე არ გამითავებია მთელი მასალა. მო-

ვიგონოთ მაგალითად, რომ მამა ბოკაჩიოსი იყო. ღარიბი ვაჭარი. დიდებული მეომარი მუცი სფორცა წინეთ უბრალო მიწის მუშა. იყო. ტასტორენტო იყო უბრალო მღებვარის შვილი. სარბი თანაც ღარიბი იყო და ადრეც დაობლდა. ბიქელ-ანჯელოს მამა კალატოზი იყო, ხოლო მამა დომენიკინოსი მეწაღე; სალვატორა როზსა დასტოვა მამამ სრულიად მცირე წლოვანი უგრო-კაპეიკოთ; ვიკო იყო შვილი უბრალო წიგნით ვაჭრისა; მურატორი ღარიბ ოჯახში დაიბადა. შესანიშნავი ქვაზედ ამომჭრელი სანტარელის აღზრდაზედ ფიქრიც არ შეეძლოთ მის ღატაკ მშობლებს. დიადი სკულპტორი ბარტოლინი მჭედლის შვილი იყო. მოთამაშე გვადანიოლი „ხშირად უვახშმოთ წვებოდა“. როსინი და ბელლინიც იყვნენ ღარიბები.

მაგრამ კმარა!—შიშველად დაბადებულნო, იზრუნეთ ტანისამოსზე; ს ე ს ტ ნ ო, ეცადეთ, რომ ლონიერ იქმნეთ; დაბადებულნო „მცირედ“, ეცადეთ რომ „დიდ იქმნეთ“:—ქვეყანას დიდები და ძლიერები პატრონობენ.

თავი VI.

შრომა სიმდიდრეა.

შრომა ერთად ერთი წყაროა სიმდიდრისა.—ისპანია და ინგლისი.—ტვირთის მზიდველი და პროფესორი.—მედიცეის ვენერა და ატამი.—სიცრუე—ორეზირობა—გაუსათლებლობის შედეგია.—ორი სხვა და სხვა საშუალება სიმდიდრის უარის საყოფად.—სიზარმაცის თეოლოგიონი.—ზარმაცი და ბარბაროსი.—საშუალო წოდების პროლეტარი.—ძალა სიმდიდრისა.—ფეოდალიზმი.—ოქროთ შეძენილი სიმდიდრე საუკეთესოა.—ყოველ კაცს თავის თავში აქვს სიმდიდრის წყარო.

> ვაი იმ ხალხს, რომელიც დროს მუქთად ატარებს, იმის მაგიერ, რომ იმუშაოს. ჯობერტი.
>
> მოდი შენ ცნებავ, აღბრწყინდი სიმართლის ნათელი სხივით; აღბრწყინდი და განფანტე უზრდელობა და ცრუმორწმუნებანი, რომელნიც ადამიანის ჭკვასა და გულს აბნელებენ. პოეტი.

იმ დროს, როდესაც ევროპის ცენტრი იარაღების ჩხარა-ჩხურით და ჯარის ყვირილით იყო მოცული, მრავალნი ადამიანები უარს ყოფდნენ ამას

და მშვიდობიანობას მონასტრების ფარდულებს ქვეშ ეძებდნენ.

აგრე იკერძებოდნენ არა მარტო ზარმაცები, არამედ მრავალნი პატიოსანი მშრომელი ადამიანნიც, რადგანაც მათ არ უნდოდათ ფარისა და ისარის ტარება, არ უნდოდა მართებლობის ძალდატანებულ მოქმედებათა ქვეშ თრთოლა.

ჩვენს დროში-კი მხოლოდ ერთად ერთი საშვალება არის ცხოვრებისათვის, და ის მდგომარეობს შრომაში; თვით ცივილიზაციას უმაღლეს მიზნად აქვს, რომ ყოველ ადამიანს, ცის ქვეშ დაბადებულს, მიაწოდოს პური, მისივე „ოფლით შეძენილი“.

გაუნათლებლობისა და მონობის დროს, პლებსი ჩვეულებრივად ფანჯრებს ქვეშ დაცოცავდა და „პური, პურიო!“—შელაღადებდა ყველას. ეგ იყო მოწყალება, რომელიც ამცირებდა როგორც მთხოვნელს, ისე მიმცემელსაც. მაგრამ ეგ დრო წავიდა, და ეხლა განათლებულს ქვეყნებში იგივე საწყალი ადამიანი „სამუშაოს, შრომას“ თხოულობს. ეგ თხოვნა არვის არ ამცირებს; იგი არის გამომხატველი ადამიანის უწმინდესი უფლებისა და ბუნების აუცილებელი მოთხოვნილებისა. ადამიანთა საზოგადოება ადამიანთა ოჯახათ გარდიქცევა, როდესაც ყველა ადამიანები მუშებად გარდიქცევიან, როდესაც ბედნიერება და დიდება შეუძლებელი შეიქმნება უშრომლად. ვინც ამ პირობებში დარიბად დაიბადება,

ის თვით სიღარიბეში ჰპოვებს შრომისადმი ლტო-
ვილებას; ვინც მდიდრად დაიბადება, ის ეცდე-
მოქალაქობრივი მოქმედების წრე გააფართოვოს, ვინ
მინდორში, ვინ ბიბლიოთეკაში, ვინ სახელოსნო-
და ვინ ჯარში; ვინ კალმით და ვინ ზღვაზე—მა-
ყველანი კი იმუშავებენ! თუ „პარაზიტები“ არ იქ-
მნებიან, არც მათხოვრები დაიბადებიან. აი იდეა-
ლი, რომლისკენაც ბრძოლით მიეშურება კაცობრი-
ობა. ყოველი პატიოსანი ადამიანი ვალდებულია ხე-
ლი შეუწყოს ამ მიზნის მიღწევას.

შრომა ერთად-ერთი კანონიერი წყაროა სიმ-
დიდრისა. თვით ძველ მდგომარეობაშიც კი შეძლე-
ბა, რომელიც მამიდგან შვილზე გადადიოდა, იყ-
ომის უფლებით შეძენილი,—მარა მაშინ ეგ ბო-
ლებოდა შრომად: იშვიათად მოხდებოდა, რომ ნა-
მული მამისგან შვილზე უკლებად გადასულიყო, თ
თვითონ შვილიც არ იზრუნებდა და გმირული სა-
მებით არ აღიდგენდა უფლებას: სიმდიდრე ცეცხ-
ლივით ქრება, თუ მას მუგუზალს არ უმატებ. ეს
მუგუზალი კი მხოლოდ და მხოლოდ შრომაა. შ
ხედეთ, როგორ ქრება ძველი არისტოკრატიის ვ
ებერთელა მამულები, და დაძველებული სქესიდგა
იზრდებიან სვეტები, რომელნიც ვაჭრობითა და
ინდუსტრიით მდიდრდებიან. ისინი არ წარმოადგენ
რკინაში ჩამჯდარ ბარონებს. მათ ბამბის ან შალი
ტანისამოსი აცვიათ; ესენი ან ფაბრიკანტები ან ინ-

ჟინერები და სხვები არიან, იარაღი საბრძოლი იარაღ-სამუშაოდ შეუცვლიათ მათ, და შრომა გაძღარა ბატონი.

არა ის ხალხია მდიდარი, რომელიც მშვენიერი ცით, ნაყოფიერი მინდვრებით, ძვირფასი ქვებით და ლითონებით ამაყობს, არამედ იგი, რომელიც მეტს შრომობს. ისპანია ერთხელ ისეთი მდიდარი იყო, რომ მის მეფეს თავისუფლად შეეძლო ეთქვა: ისპანიაში მზე არასოდეს არ ჩადისო. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამ ქვეყანას ეჭირა ოქროსა და ვეცხლის უუმდიდრესი მადნები, და ესეეე ისპანია ეხლა გვერდში უნდა ამოუდგეს სხვა უღარიბეს ქვეყნებს, რადგან ის სუსტი და ზარმაცია. ინგლისს არ უჭერია არც მდიდარი მადნები, არ აქვს არც ნაყოფიერი ნიადაგი, არც მოციმციმე ცა, არც ალმასები, მარა ის მაინც უუმდიდრესი ქვეყანა არის ევროპაში. ეგ იმიტომ, რომ ინგლისი მუშაობს: ის წარმოადგენს ერთს სახელოსნოს, სადაც მდიდარი და ღარიბი, „დიდი“ და „მცირე“ მუშაობენ, მუშაობენ მუდამ, დაუსვენებლივ.

ბუნებამ ინგლისელს უნაყოფო ნიადაგი მისცა, მარა მან გაანაყოფიერა იგი ისე, რომ რუსეთის არც ერთი გუბერნია არ იძლევა იმოდენა მოსავალს. ბუნებას არ მიუცია ინგლისელისათვის ოქროს მადნები, მარა ყოველდღე მიდის ინგლისში ოქრო მილიონობით ავსტრალიისა და ამერიკიდგან. ყოველი

ერი უგზავნის ამ კუნძულს თავის ოქროს, რომ სამაგიეროდ მისგან მიიღოს ფაბრიკის საუკეთესო ნაწარმოები. ოქრო ეკუთვნის არა მას, ვინც მას პოულობს, არამედ იმას ვინც მეტს მუშაობს.

ოქროს ფულს რომ შეეძლოს თავისი ისტორიის მოთხრობა, რამდენ საგულისხმოს იტყოდა, როგორც თითოეული ადამიანისათვის, ისე მთელი ნაციისათვის! ეგ ბრეკეიალა ლითონი გვიამბობდა ჩვენ, რომ ის დაიბადა სან-ფრანცისკოს (ამერიკაში) ქვიშაში ან ციმბირის მადნებში, მარა ის მუდამ მისკენ ილტვოდა, ვინც მეტს მუშაობდა, გაუსხლტებოდა ხელიდგან ზარმაცს და მუდამ მშრომელს ეძებდა. სულ ცოტა ხანს კი ჩერდებოდა მის ხელში, ვინც სულ არაფერს არ აკეთებდა.

ოქროც ექვემდებარება მიმზიდველობითი ძალას, ისწრაფის შრომის პოლიუსისაკენ და მხოლოდ იქ პოულობს თავისი სიმძიმის ცენტრს.

თუ დღიური მუშა მანეთს იღებს და პროფესორი კი ათ მანეთს, ეგ იმიტომ წარმოსდგება, რომ უკანასკნელს იმდენი კეთილშობილური შრომა აქვს შეკავშირებულ-შეკრებილი ერთს ლექციაში, რომ დღის მუშას ერთს წელიწადსაც კი არ შეუძლია იმოდენა იშრომოს. განა არ იცით, თუ რამდენი ცოდნა, ფიქრი, გამოცდილება არის საჭირო, რომ

ადამიანმა ყველა ეს ერთს მჭევრმეტყველურ ლექციაში შეკრიბოს? განა არ იცით, რომ იმ არტისტებმა, რომელთაც მეტი მიულიათ ბუნებისგან, უფრო მეტი უნდა იშრომონ, რომ შეიძლონ თქვენი აღელვებაში მოყვანა თავისი მელოდიური ხმითა და მიხვრა-მოხვრით? განა არ იცით, რომ მადენა 15 წელიწადს სწავლობდა როლს სარკის წინ, და მხოლოდ შემდეგ გამოვიდა სცენაზე და ისე დახატა ლიუდოვიკო XI, რომ თმა ყალზე დაუყენა მილიონ ხალხს?! განა არ იცით, რომ წინედ ენა ბლუ იყო ის დემოსფენი, რომელიც შემდეგ პირველი ორატორი გახდა საბერძნეთში? განა არ ვიცით, რომ მიქელ-ანჯელო 80 წლის იყო, რომ კიდევ სწავლობდა ხატვის წესებს?..

გამოურკვევლობა, გაუგებრობა შრომასა და ჯილდოს შუა თანამედროვე გაუნათლებელი წამხდარი საზოგადოების გაუგებრობის ნაყოფია. მომავალი გააქრობს მას. მარა არიან მრავალნი „უსამართლოებანი“, რომელნიც ჩვენ გვანცვიფრებენ მხოლოდ მიტომ; რომ ჩვენ არ ვიცით ნამდვილი ფაქტის გასინჯვა, არ ვიცით გამოკვლევა ნამდვილი ფასისა. ბევრს, უეჭველია, უსამართლობა ჰგონია, რომ რომელიმე წიგნი (ჩვენი „დედა ენა“ მაგალითად) თავის ავტორს ათასს და მეტს მანეთს აძლევს, მაშინ, როდესაც დამბეჭდავი მუშა ძლივს ასს მანეთს იღებს. მაგრამ თუ თქვენ ასწონით და დააფასებთ

ამ ორ შრომას ეკონომიური და ფილოსოფიური მხრიდგან, თქვენ დაინახავთ, რომ არც ისე დიდია ეგ „უსამართლობა“; თუ თქვენ უფრო დაწვრილებით გასჭვრიტავთ საქმეს, მაშინ დარწმუნდებით, რომ ჯილდო საზოგადოდ ეთანასწორება შრომას. წიგნი ათასი შრომის ჯამი არის: აქ შედის ალზრდა, რომელიც ავტორს მიუღია; იქავე შედის ხშირად შრომა მთელი მოდგმისა, ან მთელი ქვეყნისა, რომელსაც ავტორი წარმოუშობია; იქ შედის აზროვნება გენიოსისა, თავისი თავის კრიტიკა, რომელიც ყველა ჟურნალისტის კრიტიკაზე უფრო მწვავეა; იქვე შედის მოქმედება ადამიანის ყველა ძალებისა და სხვ.

მედიცეის ვენერა მარმარილოს ნატეხისგან არის გაკეთებული, ეს ნატეხი იმ სახით, როგორადაც ის ბუნებამ გააჩინა, რამოდენიმე მანეთი ეღირებოდა. ადამიანის გენიოსობამ შეიმუშავა ისა, და ახლა ის ღირს ასი ათასი, მილიონი მანეთი.

განა თქვენ შეგიძლიათ გაზომოთ ის ინტელექტუალური შრომა, რომლის წყალობითაც ქვის ნატეხი ვენერად იქცა? განა შეგიძლიათ თქვათ, თუ რამდენი კეთილშობილური ძალა დასჭირდა, რომ ეგ ნატეხი ხელოვნების სასწაულად ექცია, იმ სასწაულად, რომელიც აღმტაცებელი იქმნება ყველასი, ვიდრე სიტყვა „მშვენიერება“ არ წაიშლება მსოფლიურ ლექსიკონიდგან? ამ ვენერაში შეკრე-

ბილია შრომა მთელი ჩამომავლობისა, რომელიც აფასებდა ხელოვნებას, აუმჯობესებდა მას. მასში იმყოფება შრომა მთელი სკოლისა, ხელოვნების მთელი ქვეყნისა. მასში ხორცი შეისხა მთელი ძველი საბერძნეთის შემოქმედებითმა ძალამ.

ამ გვარადვე, ჩვენ ხშირად ვგემოვნობთ გემრიელ ატამს, რომელიც მხოლოდ ბუნების სასწაულთ-მოქმედება გვგონია; ჩვენ არ ვზომავთ იმ ძალებს, რომელთაც თავი შეუყრიათ ამ ნაყოფში, არ ვზომავთ შრომას, რომელიც მასში ბუნებას და ადამიანს ჩაულევია. ადამიანმა პატარა კურკიდგან ეგ შშვენიერი ატამი მიიღო; მარა რამდენი სხივი, რამდენი წვენი შეუნთქავს მის ნაწილებს, რამდენი გაზები გამოუკლია ჰაერიდგან მის ფოთლებს! რამდენი შრომა წასულა მის ზრდაზე, სუნთქვაზე; რამდენი ქიმია არის ამ პატარა ნაყოფში, რომელიც ჩვენ „უბრალოდ“ აღმოცენებული გვგონია! სითბოს, სინათლეს, ელექტრონულ ძალას—ყველას უმუშავია ამ ატმის შექმნაზე; ადამიანმა-კი ნელ-ნელა აღზარდა ისა, უცვალა სახე, გააუმჯობესა და გააკეთა. ჩამომავლობიდან-ჩამომავლობაში ის გადადიოდა გაუმჯობესებული ადამიანის შრომის წყალობით და ეხლა შეიქმნა მაგალითი შრომისა, რომელიც უკვე დაფასებულია.

უსამართლობას სჩადის ადამიანი გაუგებრობისა გამო, მარა ბუნება ყოველთვის უფრო მართალია,

ვინემ ჩვენ გვეჩვენება, ჩვენი სიბრმავისა გამო. ბუ-ნებაში ყველაფერი ისეა გაზომილი, რომ რაოდენობა შრომისა ყოველთვის ეთანასწორება „ჯილ-დოს“ რაოდენობას. ზნეობრივი და ფიზიკური კა-ნონის ძალით, რაოდენობა დახარჯული ძალისა ეთანასწორება შედეგს. ბუნება ბევრს ქმნის, კარგ-ვით კი არაფერს არ კარგავს.

არის სიძულვილი სიმდიდრისადმი, რომელიც ადამიანის ხასიათის კეთილშობილურ დამოუკიდებ-ლობას ამტკიცებს; არის მეორე გვარი სიძულვილი, რომელიც მაჩვენებელია სიზარმაცისა და ვიწროდ შემოფარგლული ჭკვისა.

ვინც ღარიბად და პატიოსნად ცხოვრებას არ-ჩევს თავისი დამოუკიდებლობისა და კალმის გაყი-დვას; ვინც პირში ქებას უარყოფს თავისი მდიდარი ნათესავის წინ მემკვიდრეობის მისაღებად; ვინც უარ ყოფს ყოველ უზნეო საქმეებს, რომელთაც თუნდა დიდი სიმდიდრე მოსდევდეს; ვინც, დასასრულ, თა-ვის ღირსებას და თავის პატიოსნებას ოქროზე მაღ-ლა აყენებს,—ის კეთილშობილურად უარს ყოფს სიმდიდრეს (ფულებს).

მარა ვისაც შრომა სძულს, და ამის გამო ცხო-ვრებას ათასნაირ სიღარიბესა და წვალებაში ატა-რებს, ან ვინც გულგრილად უყურებს თავისი ოჯა-ხის სიღარიბეს, რომელიც მისი უმეცადინეობისაგან არის გამოწვეული,—ის „მუქთა-ხორაა“ და ღირსია საკრთო სიძულვილისა.

ადამიანი, გაჟივრებული მხოლოდ იმიტომ, რომ მას მუშაობა ეჯავრება; ადამიანი, რომელსაც საშუალება აქვს, რომ ოჯახი უზრუნველ ყოფილი ქნას და კი გულგრილად შესცქერის ამას—ზარმაცზე მეტია; საძაგელია ის. რცხვენოდეს, ვისაც ღონე აქვს და კი არ ხმარობს მას; რცხვენოდეს, ვინც იყინება, თუ კი მას საშუალება აქვს ასცდეს ამას; რცხვენოდეს ღარიბს, თუ კი მას შეუძლია მდიდარი შეიქმნეს.

დერვიშის ფილოსოფია, რომელიც ქვეყანაზე მხოლოდ უსაქმობას ქადაგებს, არის ისეთი კაცის ფილოსოფია, რომელსაც უნდა, რომ რომელიმე ასოს მოშორდეს, რადგან მისი რჩენა აღარ შეუძლია.

რამდენად ფართოვდება მოქმედების მინდორი, იმდენად სრულდება ცხოვრება. მშრომელის გარშემო ძმობის ატმოსფერა არის შემორტყმული, და ის მას ისუნთქავს. შრომა აძლევს მას კომფორტს. და ის თავისთავს გრძნობს, თითქოს ელექტრონული ძალით არის გაჟღენთილიო.

ნუ გგონიათ, რომ უსაქმოების ფილოსოფოსნი ბედნიერი ხალხი იყოს. ყოველი გავლილი დღე სჭრის მისი ცხოვრების ხეს, მშვენიერი ყვავილებით თუ ნაყოფის დატვირთულს. ყოველ დღე მცირდება მათი ძალა, რადგან მათ არ ესმისთ მოძრაობა და მოქმედების თავისუფლება. მათ ცხოვრებას შეადგენს

სუნთქვა, ძილი და ცოტაოდენი საჭმელი. ისინი ვერაფერს ვერ დააკლებენ თავის თავს უტანჯველად; და მთელი მათი სიცოცხლე არის ერთი ძილი, რომელშიდაც მოისმის დაუსრულებელი კვნესა. როდესაც ასეთნი პირნი ჰაერს და სინათლეს აკლდებიან და სატუსაღოში ცვივიან, მაშინ მიჰყობენ ხელს ბედის წყევლას, და მთელი მათი ენერგია გადის ამ წყევლა—ჩივილში, რომელიც პირველი და უკანასკნელი იარაღია ყოველი ზარმაცისა. „რატომ უნდა ვიცხოვროთ,—კითხულობენ ისინი—„თუ კი ცხოვრება წვალებით, უბედურებით არის სავსე?“—ცხოვრება არის სიმძიმე, შრომა, წვალება: უნდა იშრომო, რომ საჭმელი პური დაგირჩეს.

ადამიანი, რომელიც არ შრომობს და ამიტომ არაფერი არ აქვს, არის ბარბაროსი, რომელიც განათლებულ ქვეყანაში პროტესტს აცხადებს ცივილიზაციის წინააღმდეგ, რადგან ეგ ცივილიზაცია არის ერთი კოლექტიური შრომა, რომელსაც მიზნად აქვს, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მისცეს კეთილშობილური კმაყოფილება—სიტკბოება. კაცობრიობა მიდის წინ მხოლოდ მიტომ რომ დღეს მეტს მუშაობენ, ვინემ გუშინ იმუშავეს, და ხვალ მეტს იმუშავებენ, ვინემ დღეს. განათლება შეძლებას გვაძლევს, რომ დრო მოვიგოთ, რკინის გზებისა და

ტელეგრაფის წყალობით; და ძალა მოვიგოთ მექანიკური ძალით. და როდესაც ეგ ორი კაპიტალი ე. ი. დრო და ძალა მრავლდება, მაშინ ძლიერდება თვით შრომაც, რომელიც სიმდიდრისა და სიხარულის წყაროა.

ჩვენს დროში ლოკომოტივის წყალობით ერთი კაცი ასრულებს იმ შრომას, რომლის შესრულება წინედ ათას კაცს და ასს ცხენსაც კი არ შეეძლო. ჩვენ, განათლებული კაცები ვსარგებლობთ ჩვენი მამების შრომის ნაყოფით, მარა ამ ნაყოფს უნდა მივუმატოთ ჩვენი საკუთარი შრომის ნაყოფიც. ეგ ერთად ერთი გზაა, რომ ჩვენს წინაპრებს ვალი გარდავუხადოთ, და ვინც მის გადახდაზე არ ზრუნავს, ის „პარაზიტია“, რომელსაც არაფერი შეაქვს საერთო ოჯახში.

მე, პირადად, უფრო მებრალება „მფლანგავი“ ბრბო, ვინემ თავისი საკუთარი სურვილით დაქირავებული მუშა: ეგ უკანასკნელი დღითი დღე ამრავლებს შეძლებას, ეჩვევა ხელობაში, და უქმე დღეობით ოჯახის სიხარულს ეძლევა.

მე მეცოდება, თითქმის მეზიზღება, ის ადამიანი, რომელიც არ ირთავს ცოლს მხოლოდ მიტომ, რომ მისი შენახვა არ შეუძლია. ეს აზრი მე რამოდენიმე ჯერ გამომითქვამს და ეხლაც სიამოვნებით ვამბობ. მე სწორედ ადამიანის ბუნების დამამდაბლებელი მგონია ოჯახური კმაყოფილების უარის ყოფა მიტომ,

ნომ შრომას დაემალოს ადამიანი. და რავდენნი არ ირთავს ცოლს სიზარმაცის წყალობით!

ყოველი პატიოსანი მშრომელის მიზანი უნდა იყოს კმაყოფილება. ბედნიერებაა, თუ თქვენ იმდენი ძალა გაქვთ, რომ სიმდიდრეს იძენთ; მარა ნუ გაგავიწყდებათ ძველი ბრძნული თქმულება: „დაეპატრონეთ სიმდიდრეს, მარა მას ნუ გაიხდი ბატონადო“. ფულები—ბედნიერების იარაღია, და არა თვითონ ბედნიერება. შრომა ცხოველ-მყოფელია: არსებითი პურს გარდა, ის ხვალისთვისაც გვაძლევს რასმეს. და ეს „რამე“ ხშირად ძალას შეადგენს; ეგ ძალა-კი იარაღად გაქვთ ხელში და არა ბატონად. შეძენილი საშუალება აძლიერებს თქვენი მოქმედების თავისუფლებას. ერთი უდიდესი სიკეთე სიმდიდრისა—ეგ არის საშუალება, რომ სხვებსაც რაიმე გაუნაწილო, ცრემლები შეაშრო ათას თვალს და შენი კეთილმომქმედი გავლენა გააძლიერო.

სიმდიდრე არის ძალა, რომელიც ნაკადულივით გადმოსჩქეფს. ის ვრცელდება და ყოველგან სითბო და სიცხოველე მიაქვს. სიმდიდრე შეძლებას გაძლევს, რომ მოძმეს ხელი გაუწვდინო, შეძლებას გაძლევს „საქმეს“ მოკიდო ხელი: მას შეუძლია მთაში მადანი აღმოაჩინოს, ან გამოიკვლიოს უკვე აღმოჩენილი, ხელი შეუწყოს აღებ-მიცემობას და ვაჭრობას, დაეხმაროს ხელოვნებას და მეცნიერებას. თქვენ ჯერ ახალგაზრდა და ღონიერი ხართ,—და

ნუ თუ სიზარმაცე უარს გათქმევინებს სიმდიდრეზე? მიიხედ-მოიხედეთ: რამდენი დაუმუშავებელი მინდორი, რავდენი ხელუხლებელი ტყეებია თქვენს გარშემო! თქვენ შეგიძლიათ წარმოების ახალი დარგი შექმნათ, გააუმჯობესოთ მისი ტეხნიკა, „სრულჰყოთ“ მეურნეობა, შეადგინოთ ხალხისათვის სასარგებლო წიგნები, ააშენოთ ქარხანა-ზავოდები, და ამგვარად თქვენი ქვეყანა საზღვარგარეთთან ჯიბრიდგან გაანთავისუფლოთ. ხომ ხედავთ, რომ ყოველგვარ ინტელიგენციისათვის მოიპოება სამუშაო. გაიკეთეთ რაც შეგიძლიათ, იმუშავეთ, როგორც უბრალო მუშებმა, ან როგორც მოწინავე ნაწილმა; თქვენი სამშობლო ერთ ვეებერთელა სახელოსნოდ აქციეთ, სადაც ლაზღანდარობას არ ქონდეს ადგილი. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, მაშვინ გაიფანტება ის შავი ღრუბელი, რომელიც თავს დაგვტრიალებს და გვბურავს: შრომა ასახელებს და გაამდიდრებს ჩვენს მხარეს. თვითეული ჩვენგანი ხომ მისი ცოცხალი ნაწილია, მისი სირცხვილი ხომ ჩვენც გაგვაწითლებს; სიმდიდრე და დიდება კი, პირიქით, გულს აგვითრთოლებს და ბედნიერების მორევში შეგვაცურებს. ზღვიდამ ზღვამდე ერთი საზოგადო თავმოყვარეობა ასულდგმულებს ყველას, ვინც კი ერთ ბრწყინვალე წერტილს შესჩერებია; ეგ წერტილი არის კოლექტიური შრომა, რომელიც ჩვენს-

სულს წვდება, ერთად-ერთ წყაროს შეადგენს ჩვენი ზნეობრივი და ნივთიერი სიმდიდრისა.

არავითარი სიმდიდრე არ შეედრება მას, რომელიც ოფლით არის შეძენილი. ეგ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეალური ფორმაა სიმდიდრის შეძენისა, და ბევრად უძვირფასესი თვით სიმდიდრეზე.

როდესაც გრძნობ, რომ შენ ძლიერი, მდიდარი ხარ—და ეგ მხოლოდ საკუთარი ღონის წყალობით—მაშინ ერთ უდიდეს კმაყოფილებას გრძნობ და უმაღლეს კანონიერ სიხარულში ეხვევი. უბედნიერესია მომაკვდავთა შორის ის ადამიანი, რომელიც საკუთარი ღონის წყალობით გამდიდრდა.

ის უფრო აფასებს დასვენების მნიშვნელობას ვინემ სხვა ვინმე, რომელიც სიმდიდრეში დაბადებულა. შეძენის ცოდნამ მას მობრთხილების ნიჭიც მისცა. ის ყოველივე წვრილმანს აფასებს, რადგან უშრომლად არაფერი შეუძენია ადამიანს, რომელიც სიმდიდრეში დაბადებულა, აქვს, ვთქვათ, ძვირფასი ფარჩეულობა; იმას კი, ვინც თავის-თავად გამდიდრებულა, ფარჩეულობას გარდა ის მაშინაც აქვს, რომელზედაც ის მოუქსოვია.

შემდეგ... მარა რაღა შემდეგ? თუ შრომისგან გამოწვეული ყველა კმაყოფილებათა ჩამოთვლა დავიწყე, მე ვერასოდეს ვერ დავასრულებ იმათ დასახელებას, რომელნიც სიღარიბეში დაბადებულან და

თავის შრომით გაუფართოებიათ საზოგადოებრივი ჰორიზონტი. საკმარისია მხოლოდ ვთქვა, რომ ასეთი კაცი უუბედნიერესია მომაკვდავთა შორის. მისი უფლებანი უკანონიერესნია. შეასრულა რა ყოველივე, რასაც გულით შეუდგა, მას თავისუფლად შეუძლია თვალები დახუჭოს და ჩამომავლობას კეთილშობილური მაგალითი უანდერძოს.

ნაპოლეონი ეუბნებოდა სალდათებს გასამხნევებლად: „თითეული თქვენგანი მარშლის კვერთხს ატარებს თავის ჩანთაშიო“. ჩვენ ვამბობთ: ყოველ თქვენგანს აქვსთ ხელთ სიმდიდრის წყარო, ანაყოფიერეთ შრომა და საუნჯე შევა თქვენს ოჯახში“.

თავი VII.

შრომის წეს-რიგი.

ძრავალნი სთესენ, მარა ცოტანი მკიან.—ლაგრანჟი.—
მიჭელ ანჯელოს დიდება.—ფიქრი, რომელიც წინაუძღვის
მუშაობას.—სიჩქარე მუშაობაში, რომელსაც ვიძენთ კარგი
წესრიგის დრო.—ლოპე დე ვეგა.—ეგელას თავისი
წესრიგი უნდა ქონდეს მუშაობაში.—საკვირველებანი
დიდებულთა.—რამდენიმე სიტყვა ღონის ეკონომიის
შესახებ.—ძალა ჩვეულებისა.—აზრი არ ძველდება.—
უადრესობა უცებ არავის შეუძენია.—შრომა და წესრიგი
მჯიდროდ შეკავშირებულნი არიან ერთმანეთთან.

პირველი საკითხი ყოველთვის არის
საკითხი წესრიგის შესახებ.
ფლურანსი.

ვინც თავისთვის მუშაობს, ის სა-
მისთვის მუშაობს. ტოსკანური ანდაზა.

ნუ კარგავთ დროსა! დანტე.

უწესრიგო, „უთავბოლო“ შრომის
უარესი არაფერი არ არის.
ვიქტორ ჰიუგო.

ბევრი მუშაობს ჩვენს საზოგადოებაში, მარა
ყველას ერთნაირი სარგებელი არ გამოაქვსთ თავი-
სი შრომიდან. ზოგი ბევრს შრომობს და ცოტას
იღებს, სხვები კი პირიქით, ცოტას მუშაობენ და

მეტი სარგებელი გამოაქვთ. ბევრად უკეთესია, რომ ადამიანმა დაისვენოს, ან სასეირნოდ წავიდეს, ვინემ ცუდათ იმუშაოს: სეირნობის დროს თქვენ ჯანმრთელობას და მხიარულებას მაინც იძენთ, და მომავალი შრომისათვის ღონეს იკრებთ. მაგრამ ისეთს შრომაში, რომელსაც უხასიათოდ, უწესრიგოდ ასრულებთ, თქვენ არაფერს არ პოებთ გარდა ამავე შრომის სიძულვილისა; და შრომის ბოლოს მაინც დარჩებით ხელცარიელი და გაბოროტებული.

ყველაზე უწინ თქვენ უნდა აფასებდებთ დროს, იმ საუნჯეს, რომელიც ერთნაირად ეძლევის ყველას და რომელიც კაპეიკი არ ღირს; მარა თუ ის დაჰკარგე, მერე ვერ შეიძენ, მას როტშილდის მთელი სიმდიდრით. ხალხის სხვადასხვა ანდაზათა შორის არიან მრავალნი, რომელნიც გვეუბნებიან, რომ—„დრო—ფულია“, „დილას პირში უჭერია ოქროები“, „ვინც ჩქაროს, ის მხოლოდ სიცილს იწვევსო“ და სხ. ერთმა სარწმუნოებრივი სექტის დამაარსებელმა ჯესტლიმ, ადრე ადგომა ზნეობრივ და სარწმუნოებრივ კანონად დააწესა. იმისი აზრით, „ადრე ადგომა საუკეთესო საშუალებაა ჯანმრთელობის, სიმდიდრის და სიბრძნის შესაძენად“. გუფლანდი ამბობდა: „არასოდეს არ გრძნობს ადამიანი ისეთს ნათელ ანკარა კმაყოფილებას, როგორც დილით. ვინც ამ საუცხოვო მომენტით არ სარგებლობს, ის ცხოვრების განთიადს კარგავს.“

დილით მუშაობა ნაკლებად ღალავს ადამიანს. ყოველ დილას რომ ჩვეულებრივზე ორი საათით ადრე ადგე, მაშინ 40 წლის განმავლობაში იცოცხლებ 20000 საათს მეტს, ე. ი. თითქმის სამ წელიწად ნახევარს.

საქმე იმაში კი არ არის, რომ დიდხანს იმუშაო, არა! ეკონომიურად უნდა სარგებლობდე დროთი. ეგ ჩვეულება "ემდეგ ბუნებად გადიქცევა.

მთავარი პრინციპი ხელოვნებისა ის არის, რომ ერთი წუთიც კი არ დაკარგო; ტისოს სიტყვით, „საათებს კი არა, წუთებს უნდა უბრთხილდებოდეს ადამიანი“. სხვადასხვაფერო უნდა შრომა; ძალას ისე უნდა განაგებდე, რომ თანასწორად იყო მოშორებული როგორც სიზარმაცეზე, ისე გადამეტებულ დაღლილობაზე. დროს გაწესრიგების ცოდნა დიდი ცოდნაა, რომელიც მილიონებითაც კი არ შეიძინება. კიუვიეს დღედაღამეში ყოველთვინ ცხრა საათი ეძინა, მუდამ ღებულობდა სახლში მეგობრებს და ნაცნობებს, მარა მან მაინც უკვდავი აღმოჩენები მოახდინა და ახალი მეცნიერება შექმნა.

გიოტემ უთვალავი ნაწარმოებნი დასწერა და უდიდებულესი პოეტი შეიქმნა გერმანეთში; მაგრამ მიუხედავად წარმოუდგენელი შრომისა, ის ყოველთვინ პოულობდა დროს საბაასოდ, სამოგზაუროდ და სხვ. ჩვენი საუკუნის უდიდებულესი მეცნიერი, გუმბოლდი, 90 წლის მოხუცი იყო, რომ ჯერ კიდევ

სიხალისით მუშაობდა, მარა მაინც შოულობდა დროს, რომ ხშირად მეგობრული მასლაათი გაემართა და პასუხი მიეცა იმ წერილებზე, რომელნიც მას ევროპისა და ამერიკის ყოველი კუთხიდამ მოსდიოდა.

აი რას გვეუბნება ლაგრანჟი შრომის შესახებ:

„ერწმუნეთ, რამდენადაც კი რწმენა შეგიძლიათ, რომ კანონიერი ცხოვრება და შეძენილი ჩვეულებანი ხელს უწყობენ სულისა და სხეულის ჯანმრთელობას. თუ თქვენ სუსტად დაბადებულხართ, შეიძინეთ ღონე წმინდა ჰაერზე მუშაობით და საზრდოთ მცენარეული საჭმელი იხმარეთ. თუ თქვენ თვით ბუნებით მომქმედნი ხართ, მაშინ „ხვალისთვინაც“ იმუშავეთ: ვინ იცის, შეიძლება შემდეგ დაუძლურდეს თქვენი ძალა, რადგან ის ბუნებრივად უმოძრაობას ელტვის.—განაძლიერეთ ვარჯიშობით ის ძალა, რომელიც უკვე გაქვთ.

თუ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ჩვენ ბევრს რასმე წავიკითხავთ მეცნიერების სხვა და სხვა დარგში, შევიძენთ ღრმა ცოდნას, რომლის წყალობითაც გავხდებით სწორი დამაფასებელი ჩვენი წინაპრების და თანამედროვეთა შრომისა და მივცემთ მათ ღირსეულს ადგილს“.

მიქელ ანჯელომ სთქვა ერთხელ: „ერთი ხაზი არ უნდა გაიყვანო ქაღალდზე, თუ წინედ ის თავ-

ში არ გაქვს გაყვანილიო“. ეს აზრი ეკუთვნის შრომის ყოველგვარ ფორმას. ბევრნი ემორჩილებიან ქარს—მეზობლის სიტყვას, შემთხვევას, ლაქიურ მიბაძვას, სიტყვით ყველაფერს, გარდა საკუთარი აზროვნებისა. ბევრს გაჰყავს ხაზი არა ისე, როგორც მიქელ ანჯელოს უნდოდა, არამედ ავტომატიურად, როგორც „ერთმა ცხვარმა დაიბღავლა, სხვებიც აყვენ, მისცეს ბანი“... ასეთი ადამიანები ნუ ელიან ნაყოფს. მთელი დღის შრომის შემდეგ მათ შეუძლიათ თქვან: „ჩვენ მთელი დღე ვიშრომეთ, მარა ამაოდ“.

ადამიანმა რომ მინდორი დაიმუშაოს, წიგნი დასწეროს, ეკლესია ააგოს ან სხვა რამე ქმნას, მან ყოველთვინ უნდა გაითვალისწინოს ამ შრომის წესი, რომ შემდეგ ყველა ძალები ერთად შეერთდენ და შრომა სიმმეტრიულად მიიყვანონ ბოლომდის. ვინც უკვე მოფიქრებულად მიადგება რაიმე სამუშაოს, ის იშვიათად დაჰკარგავს არჩეულ გზას; ის არ დაშლის ერთხელ გაკეთებულს, რომ შემდეგ მის ნანგრევებზე ახალი ააგოს. ჩვენ ხშირად გვიკვირს, თუ როგორ შეიძლო რომელიმე პირმა მოკლე დროში ვეებერთელა შრომის შესრულება. მაგალითად, როგორ შეიძლო ტიციანემ ათასი სურათის დახატვა? როგორ შეიძლეს ბლუტარხმა, ვოლტერმა და სხ. მრავალმა ასი და მეტი ტომის დაწერა? როგორ შეიძლო კარდინალმა მეცეფანტიმ

ურიცხვი ენების შესწავლა? როგორ შეიძლო გალილეომ იმოდენა ალმოჩენების შესრულება? ამ სასწაულების საიდუმლოება იმალება დროის ბრძნულ ეკონომიაში: ეგ ადამიანები წუთსაც კი არ კარგავდნენ.

ასეთი ჩვეულება (საქმის წეს-რიგის წინ-და-წინ აწონ-დაწონვა) იმდენად აჩქარებს საქმის მსვლელობას, რომ ბოლოს ის სასწაულად მოგვეჩვენება. ეს არის ყველაზე უწინ, განხორციელება პრინციპისა: იმუშავე, იმოქმედე აუჩქარებლივ.

„მეტყველი ცხოველების“ ავტორმა, თავისი წეს-რიგის წყალობით, ღრმა სიბერემდის დაიცვა წერის ნიჭი. ის ქვეშაგებშიაც მუშაობდა და სასთუმალს ყოველთვინ სათამაშო ქაღალდი ედო. როცა დაიღლებოდა, იწყებდა თამაშს, სიცილს, ცელქობას ბავშვივით მარტოდ-მარტო და შემდეგ ისევ მუშაობას უბრუნდებოდა.

როდესაც მატტეუჩი, შრომის დროს სიხარულის თავდავიწყებამდინ მიდიოდა, ის მიაშურებდა თავის თუთიყუშს და ელაზღანდარებოდა გაუგებარ ენაზე, სანამ კვლავ არ დამშვიდდებოდა და არ დაუბრუნდებოდა საქმეს.

ლოპე დე ვეგა, შესანიშნავი დრამატურგი ისპანიისა, ადვილად წერდა დღეში ათასს ლექს. ერთხელ მან და მისმა მოსწავლემ მონტალვანმა დასწერეს კომედიის თითო მოქმედება მესამე მოქმედე-

ბა კი შუაზე გაიყვეს. ყრმა პოეტმა, რომელსაც უნდა ეჯობნა თავისი მასწავლებლისათვის, ადგა შუალამის ორ საათზე, დასწერა თავისი ხვედრი წილი თხზულებისა და გაემართა ლოპესაკენ. როდესაც თავისი მასწავლებელი ბაღში დაინახა უკვე გამოსული სამუშაოდ, მიაძახა: „მე გავათავე ჩემი წილი“.—მეც —უპასუხა ლოპემ.—„როდის?—„მე ხუთ საათზე ვადექი და კომედია დავასრულე. რა დავინახე, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო, მე დავწერე ერთი ორმოცდა-ათ-კუპლეტიანი ლექსი, ვისაუზმე და მერე აქ მოვედი. ეხლა ესეც გავათავე, მარა გარწმუნებ, რომ ძალიან დავიღალე“.

ასეთი ნაყოფიერი და ჩქარი შრომა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მშრომელი მტკიცედ იცავს ერთს განსაკუთრებულ წეს-რიგს. და ყოველს ადამიანს თავისი საკუთარი წესრიგი უნდა ქონდეს მუშაობის დროს, ისეთი წეს-რიგი, რომელიც უფრო შეეფერება მისი ჭკუისა და ბუნების (темпераментъ) მოთხოვნილებას. ცუდი საქმე მოგვივა, თუ ჩვენ სხვის ბაძვას დავიწყებთ და თავის თავს კი არ გავიგებთ კარგათ.

ტიციანესა და რუბენსისთან ერთად, რომელნიც წარმოუდგენელი სიჩქარით ქმნიდნენ ნაწარმოებს, ჩვენ ვხედავთ ლეონარდო და ვინჩის, რომელიც სულ ნელ-ნელა ხატავდა თავის სურათებს, თუმცა ესეც ისეთივე გენიოსი იყო.

რაც შეეხება დიდებულ ჭკუით მუშაკებს, ერთმა ცნობილმა გიგიენისტმა გამოთქვა მათ შესახებ, რომ ყოველივე მათგანს აქვს თავისი საკუთარი წესრიგი, რომელიც შეფარდებულია მათ გემოსთან, ჭკვასთან, ტვინისა და კუჭის მდგომარეობასთან და სხ. ამ მხრით დიდი განსხვავებაა სხვა და სხვა მოაზრეთა შორის. ზოგი მათგანი ხასიათის მთელი სიმტკიცით მისდევს აზრს, სხვები მხოლოდ იჭერენ მას, როცა ის თვითონ მოდის; ყველანი კი რაღაც „საკვირველნი“ არიან მუშაობის დროს.

ჩვენი საუკუნის დიდებული ქირურგის ველპოს წეს-რიგი უკვე დიდათ ცნობილია ყოველგან. აი რას ამბობს ამ დიდებული კაცის სიმტკიცის შესახებ პარიჟის საავადმყოფოთა დირექტორი გიუსსონი:

„მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ იმ ადამიანთა შორის, რომელნიც კაცობრიობის ტანჯვის შემსუბუქებას ცდილობდნენ, არც ერთი არ ეძლეოდა ამ საქმეს ისეთი თავდადებით, როგორც ველპო. ორმოცი წლის განმავლობაში მას მუდამ საავადმყოფოში ვხედავთ: ის არსად არ წავიდოდა, სანამ პირდაპირ მოვალეობას ჯერ არ აასრულებდა. საზოგადოების ან კომმისიის სხდომაზე ის ყოველთვის პირველად მოდიოდა. მე მხოლოდ ერთს კაცს ვიცნობდი, რომელსაც იგი ამ მხრივ წააგავდა, თუმცა მათ შორის განსხვავებაც დიდი იყო. ერთხელ

შედიცინის სკოლის ეზოში ორფილასთან მივიდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სიჩქარისა გამო ოფლი სდიოდა, და აღელვებული გაჩერდა მის წინ. ორფილა შეჩერდა, ამოიღო საათი, დახედა ზედ და სთქვა: „მე თქვენ თორმეტ საათზედ უნდა მენახე; ეხლა კი პირველის ხუთი წუთი არის; მაშასადამე, წავიდა ის დრო, რომელიც მე თქვენთვის უნდა შემომეწირა. ხვალ მობრძანდით იმავე ღროს“. ეტლი ბეის-კართან უცდიდა მას, ისიც უცებ ჩაჯდა შიგ და თვალთაგან მიეფარა. მხოლოდ ჩვეულების ასეთი სიმტკიცით აიხსნება ის გარემოება, თუ როგორ შეიძლო ველპომ იმოდენა შრომა საავადმყოფოში, კლინიკური მეცადინეობა, აუარებელი კლიენტების ყოლა და ბოლოს კიდევ ურიცხვი წერილების დაწერა. ყველაფერი მის მიერ გამოქვეყნებული მისი საკუთარი ხელით არის დაწერილი. როდესაც მას ეტყოდნენ, რომ ესა და ეს ექიმი ძალიან გართულია საქმეში და საწერად ვერ მოიცალაო, ის მხოლოდ ირონიულად გაიღიმებდა.

პაოლო მანუციო ყოველ ალაგას წერდა. სტრიქონებს შუა ის ოთხ დიუმ ალაგს სტოვებდა, რომ შემდეგ კარგად გაესწორებია. ლამარტინი ყოველთვის წითელი კარანდაშით სწერდა, რომ მელანში ჩაწებაზე ბევრი დრო არ დაკარგოდა. ბენჯამი და შატობრიანი სწერდნენ ქალალდის პატარ-პატარა „ნახევებზე“ და შემდეგ ერთად აგროვებდნენ მათ,

როგორც აფთიაქრები აგროვებენ ხოლმე „რეცეპ-ტებს“. ასევე იქცეოდა დიდებული ლინეიც, რო-დესაც თავის უკვდავ ნაწარმოებს ქმნიდა. მონ-ტენი ჩაიკეტებოდა ციხეში და იქ თავისუფლად იმუ-შავებდა თავის იდეებს. რუსსო თხზავდა მინდორში, სხვა და სხვა ბალახების გროვების დროს, ასე რომ, როგორც თვითონ თქვა, მან თავისი ნაწარმოები შექმნა მაშინ, როცა თავი თივით ქონდა გატენი-ლი. მონტესკიეს თავისი თხზულების „კანონების“ დასაწყისი ეტლში დაწერა. მილტონი მუშაობდა ყოველთვის ღამით; სავარძელში იჯდა და თავი უკან ქონდა გადაწეული. ბოსსიუეტი წერდა ყოველთვის ცივ ოთახში და თავზე „გამაცხელებელი“ კომპრე-სებით. ფოქსი სადილს შემდეგ ჩაიკეტებოდა თავის ოთახში, დაიდებდა თავზე ძმარში დასველებულს ტილოს, და ამ გვარად ათ საათამდე შეეძლო წე-რა. როდესაც მატიურენს მუშაობის მუზა მოუფ-რინდებოდა, ის მაშინვე ქაღალდს დაიწებებდა შუ-ბლზე, რომ მოსამსახურებს დაენახათ ეგ და მისთვის ხელი არ შეეშალათ.

ნაპოლეონსაც აზროვნების საკუთარი წეს-რიგი ქონდა; როდესაც ის რჩევაში არ იყო, გავიდოდა ბალში, წაიყვანდა თან თავისს „კამერდინერს“, მო-ყვებოდა რაღაც „სისულელეს“, ან მღეროდა დაბა-ლის ხმით, ან და კიდევ—თავისი სავარძელის ზედა-პირს ჭრიდა ჯიბის დანით. მაშინ ის მოგაგონებდათ

უზრუნველ ბავშს, მარა იგივე ნაპოლეონი უცებ გამოიცვლებოდა და არდგენდა პროექტებს, რომელთაც გაკვირვებაში მოჰყავდა მთელი მსოფლიო.

ნიუტონი ასე ასურათებდა თავის წეს-რიგს: „მე ყოველთვის წინ მიდევს გამოკვლევის საგანი და მხოლოდ ვუცდი, თუ როდის გარდიქცევა პირველი სიბნელე სრულ ანკარა სინათლედ“. ამას იგი „აუჩქარებელ აზროვნებას“ უწოდებდა.

ვალტერ სკოტის აზრით, ადამიანმა უნდა იმუშაოს დღეში ხუთი-ექვსი საათი, რომ რაიმე ორიგინალური შრომა შექმნას; მეტი კი—ძალდატანებული არის, და არც ეღირება დიდ ფასად. ეს დიდებული ადამიანი მოკვდა ერთი სენისაგან, რომელიც მისი უზომო შრომის შედეგი იყო. ამ შრომას კი მას აიძულებდა შევიწროებული ეკონომიური მდგომარეობა.

მხატვართა შორის აქ დავასახელებთ ლეონარდო და ვინჩის, რომელიც თავისს „სერობას“ ხან ისე ჩქარა ხატავდა, რომ საჭმელიც კი ავიწყდებოდა, ხან კი რამოდენიმე დღით სულ ანებებდა თავს სურათს, და დღეში მხოლოდ ერთ-ორ ხაზს გაუსვამდა რომელიმე მოციქულს. გვიდო რენი ხატვის დროს მდიდრულად ირთვებოდა, ოთახსაც კარგად აწყობდა, შემოიხვევდა გარს მოსწავლეებს, რომელნიც ხმასაც კი ვერ იღებდნენ ამ დროს, და ისე ეძლეოდა მუშაობას. ამ მხრივ მას ძალიან წააგავს ბიუფ-

ფონი, რომელიც ხატვის დროს ძვირფასს ხელთათ-მნებს და მშვენიერ ტანისამოსს იცვამდა. ტენიერი შემოიწყობდა გარშემო სურათებს, რომელთაც „Dopo cena“-ს („ვახშმის შემდეგ“) უწოდებდა.

მუზიკანტებიც—ორიგინალური მუშაკები არიან. სარტი თხზავდა სრულს სიბნელესა და სიჩუმეში; ჩიმაროზა, პირიქით, სინათლესა და ხმაურობაში; პაესიელოს მოუფრინდებოდა მუზა მხოლოდ მაშინ, როცა ის საბანში გაეხვევოდა; საკკინი სტკბებოდა, როცა კატების თამაშს ადევნებდა თვალყურს; როსსინმა თავისი უკეთესი თხზულებანი სადილის დროს დასწერა და სხ.

მე ჩამოვთვალე „ახირებულებანი“ დიდებული მუშაკებისა, არა იმიტომ, რომ მათ შეეძლოთ შრომის ნამდვილი წეს-რიგის ჩვენება, არამედ იმიტომ, რომ თუნდა მარტო ამით დავამტკიცოთ, რომ ყოველს ადამიანს უნდა ქონდეს თავისი საკუთარი წეს-რიგი, ყოველი ადამიანი უნდა მიდიოდეს თავისი საკუთარი გზით, რომ სიმდიდრე და სახელი შეიძინოს და განაძლიეროს ის ძალები, რომლებიც მას ბუნებამ მიანიჭა.

ძალა—ეგ არის ჩვენი უდიდესი და უსაჭიროესი სიმდიდრე. ის უნდა მოხმარდეს საქმეს; უამისოდ ყოველი ნაწილი ამ ძალისა იქმნება მკვდარი, „უსიცოცხლო“ სიცოცხლის ნაწილი. დაუკვირდით თავის თავს, შეაგროვეთ ჯერ ერთად თქვენი ძალები,

მერე დაყავით ის ნაწილებათ, და ყოველს ნაწილს მიეცით თავისი საქმე—ეგ იქმნება დიდი ხელობის საფუძველი. ეგ ნიჭი ქონდა ფრანკლინს და სხვა მსოფლიო მუშაკებს.

როდესაც თქვენ ისწავლით ყოველივე შრომის დაკვირვებას, როდესაც თქვენ თქვენი სახელოსნოს ყველა იარაღებს წეს-რიგში მოიყვანთ, როდესაც თქვენ მომავალი შენობის ყველა ხაზებს წარმოიდგენთ, მაშინ ეცადეთ, რომ ეგ თქვენი წეს-რიგი, თუ იგი ბოლოს სასარგებლო გამოდგეს, ჩვეულებად გარდაგექცესთ. ჩვეულება აადვილებს ძნელს, ძვირფასად ხდის მას, რაც „სულ ერთია“—ერთი სიტყვით—მეორე ბუნებად იქცევა. გაგვიადვილებს რა დღითი-დღე შრომას, ის შეგვიმსუბუქებს აგრეთვე სიმძიმეს, რომელიც ხნოვანობას და წლებს თან მოყვება. თქვენ უკვე იცით, თუ რამდენი შესანიშნავი შრომა შეუქმნიათ 70 წლის მოხუცებს.

განა ღირს წუხილი იმაზე, რომ ხნოვანებით ჩვენი კუნთები მოდუნდებიან, რომ გაგვერევა თუ არა თავში თეთრი თმა—აღარ გაგვიღიმებენ ქალები, რომ სათვალეები და ხშირად ყავარჯენი უნდა ვეძებოთ? რად უნდა ვიოხვროთ, თუ კი გონება მაინც ანთებული გვექმნება? თუ კი ჭკვა წინანდებურად განაგრძობს მუშაობას, და თუ კი ჩვენ შეგვრჩება ძვირფასი და ერთად ერთი ნიჭი შრომისა? ადამიანი, შრომის ნიჭით დაჯილდოებული, მუდამ

ახალგაზრდაა, მუდამ აქვს უფლება თავი მაღლა ეჭიროს და აცხადებდეს, რომ ის არ არის საზოგადოების ხარკი.

ბედნიერნი არიან ის ადამიანები, რომელთაც ჩვეულება შრომისადმი საჭიროებათ გარდაქცევია. იმათთვის სიბერეშიაც კი ადვილი და სასიამოვნო არის შრომა, რომელსაც ხშირად ახალგაზრდებიც კი გაურბიან. არაფერი არ არის უფრო ცუდი იმისა, როცა მუშაობას წყვეტავთ და დიდ-ხნობით ისვენებთ. მოიგონეთ ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: „უსაშიშროესია უწეს-რიგო, „ნაწყვეტ-ნაწყვეტი“ შრომა“.

შეუძლებელია ნაყოფიერი შრომა, თუ მას ორი თანამგზავრი არა ჰყავს: სიბეჯითე და „ხალისი“. პირველი არ გადაგვახვევინებს ერთხელ არჩეული გზიდგან, მეორე კი—ცეცხლია, რომელიც ჩვენ გვათბობს. ასეთ მოკავშირეებთან ერთად შრომა ყოველთვის ბედნიერების, კეთილმდგომარეობის და სახელის სინონიმი არის. ვერც ერთს დიდებულს საქმეს ვერ შეასრულებთ, თუ მოთმინება, სიმტკიცე, სიბეჯითე და „ხალისი“ არ მიგიძღვება წინ.

ყველამ იცის, თუ რამდენჯერ გადააკეთა არისტომ თავისი ლექსი: „ქალწული ვარდს გავს“. ჯირგილიოსი ხშირად მთელს დღეს ანდომებდა რამოდენიმე ლექსის გასწორებას, და ალფიერი თავს ევლებოდა თავის ტრაგედიებს.

ანტონიო დე ლასსალმა სთქვა: „იმუშავეთ ყოველთვის ენერგიითა და მზრუნველობით; ვინც „შრომას იწყებს, ის მხოლოდ მოწაფეა იმისი, ვინც მას უკვე ათავებს“.

ერთხელ ნიუტონს კითხეს, თუ როგორ შეიძლო მან ამოდენა აღმოჩენების შესრულებაო, და მან გულახდით უპასუხა: „მე მხოლოდ და მუდამ მათზედ ვფიქრობდიო“. ეს ჩვენ გვაგონებს პუსსენის პასუხს. როდესაც მას კითხეს—„როგორ მიაღწიე შენ ასეთს სისრულეს სურათების ხატვაშიო“—მან უპასუხა: „მე ერთი ხაზიც არასოდეს არ გამიშვია მხედველობიდგანო“.

დეტუმ თავისი ისტორიის პირველი ოთხმოცი ტომი დაბეჭდა მხოლოდ 15 წლის გამოკვლევის და 12 წლის სწორების შემდეგ. ლაფონტენმა პირველი ტომი თავისი არაკებისა გამოაქვეყნა მხოლოდ მაშინ, როცა ის 46 წლის იყო; მეორე ტომი კი 10 წლის შემდ. მოლიერი 42 წლის იყო, როცა პირველი ღირსეული კომედია „ქალების სკოლა“, დაბეჭდა. თვით გოლტერმაც კი, რომელსაც ცოტა მოჯიბრენი ყავდა ჭკვით მოქმედებაში, უთხრა ერთხელ არჟანტალოს: „მე გავათავე ტრაგედია, მარა თქვენ კარგად იცით, რომ ის არ არის ჯერ მზად. —ჩემი ექვსი დღის დათვი ექვს თვეს თხოულობს მოსაშინაურებლად“.

ფრანკლინმა თქვა: „დრო—ფულია“, ხოლო მეორე დიდებულმა მწერალმა დაუმატა: „და დიდება“ (სახელი).

ჩვენი საუკუნის სენი, რომელიც უთვალავ ნაწარმოებთა ჩქარა შექმნაში მდგომარეობს, აძლევს ქვეყანას მხოლოდ „უსუსურს“, შრომებს, რომელთაც არ უწერიათ ხანგრძლივი სიცოცხლე. ეგ სენი თავის-თავად გაივლის, როცა პროგრესიულ კულტურასთან ერთად მკითხველის გემოვნებაც განვითარდება.

მაშ ვიმუშაოთ, რადგან შრომაში იმყოფება სიმდიდრე და სიხარული. მარა ვიმუშაოთ განსაზღვრული წეს-რიგით. განსაზღვრულ სიმმეტრაში გვეპყრას საუნჯე, რომელსაც მოთმინება, „ხალისი“, წესი და სიმტკიცე ეწოდება. ჩვენ დავინახავთ, რომ გაორკეცდება ჩვენი შრომის ფასი. ბედნიერება—ჩვენი საკუთარი ხელების საქმეა; ჩვენში იმალება ჩვენივე ბედის საიდუმლოება, ბედის, რომელიც სულ სხვა და სხვანაირია. ქარი ყოველი მხრიდან ქრის, მარა ადამიანი ყოველს მხარეს უმკლავდება ქარიშხალს. ბუნება ადამიანის ღარიბი ქოხისაკენ გზავნის მეხს, მარა ადამიანმა „მეხის ამცდენი“ მოიგონა. ბუნება ტიტვლებად და სუსტებად გვქმნის ჩვენ, მარა ადამიანი მთელი საუკუნე სცხოვრობს,

სცხოვრობს სენეგალზე და ესკიმოსებს შორის; ლონ-
დონში ის საუბრობს თავის მეგობარზე, რომელიც
ციმბირში ან კალკუტაში იმყოფება; ის ქმნის მუ-
სიკას და იკვლოვს ლითონებს თვით მზეზედაც. და
ყოველივე ეგ შესაძლო შეიქმნა მხოლოდ სისტემა-
ტიური შრომის წყალობით.

თავი VIII.

მათხოვრები და პარაზიტები.

მათხოვრობა—უსინდისობის სკოლაა ყველასათვის.—არ იყოს მათხოვრები!—დიდებული კანონების აზრი მათხოვრობაზე.—მათხოვრები ძოსქებში და მათხოვრები სულით.—სასაგადო დაგმობა მათხოვრობისა.—მომავლის განთიადი.

შეხვდებით ადამიანს, რომელიც ნაყოფიერ ნიადაგზე ცხოვრობს და სამოწყალოს კი თხოულობს.

ჰომეროსი.

თუ გინდათ, რომ მათხოვარი არ მათხოვრობდეს ,,გააადამიანეთ'' იგი.

ვიქტორ მოდესტი.

როდესაც მდიდარის და ძვირფასად მორთულის ქალაქის ქუჩაში დავდივარ, მე შევყურებ მხიარულ, მომლიმარე ცას; და უკვე ვეფეთები ადამიანს, ძონძში გახვეულს,—ის მიშვერს ხელს და მიწყალებას მთხოვს. მაშინ მე ძლიერს ტკივილს ვგრძნობ გულში და სიმწარე მივსებს სულს; მე ძალა-უნებურად ვიხედები გარშემო და ყოველი ადამიანი უცხო, უცნობი მგონია.

მათხოვართან შეხვედრის დროს ზოგნი კაპეიკით

ინთავისუფლებენ თავს, ზოგნი მხოლოდ მხრებს აიჩეჩენ და განაგრძობენ გზას. მე კი არც ერთისა და არც მეორის ქმნა არ შემიძლია. კაპეიკის მიწოდება მე მეჩვენება დანაშაულობად, ან ძვირფასნივთად, რომელიც სილარიბის ოკეანეში დაღუპულა, ან ძვლად, რომელსაც მშიერს აწოდებენ, ან კიდევ განუკურნავი სენის ექიმობად. მეორეს მხრით, უარის თქმა სამოწყალოს მიცემაში—ეგ არის შეგინება სილარიბისა და შეურახყოფა ტანჯვისა. უდიდესი გრძნობა ამ დროს კი—ეგ არის სირცხვილი ჩემი ქვეყნისა, ჩემი დროისა და თვით ჩემი თავისათვინ, რადგან მე ვარ წევრი საზოგადოებისა, რომელიც ხედავს და ითმენს ადამიანის ბუნების ასეთ დამახინჯება—დაქვეითება-დაცემას.

თუ პაუპერიზმი ერთი უძნელესი საზოგადო კითხვათაგანია, რომლის გამოკვლევაზე ყველა გულშემატკივარნი ზრუნავენ, იმ შემთხვევაში მათხოვრობა სამწუხარო გამოხატულებაა ამ პაუპერიზმისა. ეს არის დამპალი მყრალი ჭრილობა, განგებ თვალსაჩინოდ გამოფენილი საზოგადოების წინ. ეს არის უბედურება,—ყოველივე ზნეობრივ აზრს მოკლებული; ეგ არის უსირცხვილო სატანჯველი. ადამიანი, რომელიც მათხოვრობს, მოკლებულია თავისი საკუთარი ღირსების ცოდნას. სამზღვარ-გარეთელს, რომელიც ქალაქის მდიდარ ქუჩებში ათობით და ასობით შეხვდება მათხოვრებს, უსირცხვილოდ ხელ

გამოშვერილებს, უფლება აქვს სთქვას: „ეს ქვეყანა არ გამოსულა ჯერ კიდევ საშვალო საუკუნოების მდგომარეობიდან; ამ ნაციას ვერ ეწოდება ჯერ დიდებული ნაციაო“.

ველურ ხალხებს ქუჩებში გამოყავთ თავიანთი ავადმყოფნი, რომ გამვლელმა რითიმე დაეხმაროს, ან რაიმე კეთილი რჩევა მისცეს. და განა თქვენ სხვა რიგად იქცევით? თქვენ ველური არ ხართ, მაგრამ მაინც გამოგაქვთ ქუჩაში თავისი ჭრილობა— პაუპერიზმი. თქვენ გამოგყავთ თქვენი გლახაკები ქუჩებში, მოედნებზე, ეკკლესიებში და გამვლელ-გამოვლელის ხარჯით არჩენთ (კვებავთ) მათ. მაშასადამე, თქვენ ჰგევხართ ველურებს: თქვენ ნებას აძლევთ სხვებს, რომ მათ დასცინონ ღირსებას იმ ნაციისას, რომელსაც თითონ ეკუთვნით.

ზნეობრივად გათახსირებულია ის ადამიანი, რომელსაც მუშაობა კი შეუძლია, და მაინც სხვას უშვერს ხელს უსირცხვილოდ და უსინიდისოდ; ის პატიოსნების, დანაშაულობის და ცოდვების საზღვარზე სდგას. თუ კი მან მათხოვრობა ხელობად (პროფესიად) გაიხადა, იგი ყოფილა ზნეობრივად ვად გახრწნილი და მავნე წევრი საზოგადოებისა, რომელიც მას ითმენს. საზოგადოებამ უნდა განკურნოს იგი, ან აღზარდოს, ან და მთლად მოიკვეთოს და განაძევოს, ვითარცა პარაზიტი. საზოგადოება, რომელიც ითმენს მათხოვრობას, პასუხის

მგებელია ყველა იმ დანაშაულობათა და უბედურებათათვის, რომელნიც წარმოუშობია უსაქმო ხალხს, იმ ხალხს, რომელიც ბუნების მთავარ კანონს არღვევს, იმ ხალხს, რომელიც თავისი პირადი ღირსების დამცირებით ცხოვრობს...

როდესაც ზოგჯერ ჩემში ლოღიკა ადგილს უთმობს გულმტკივნეულებას, და მე მათხოვარს თავისს წვლილს ვაწოდებ, მაშინ არ ვიცი, ვინ უფრო იმცირებს თავს: მე თუ მათხოვარი, რომელიც მას ღებულობს. თუ რომ ჩვენი თანამედროვე საზოგადოების დაკნინებულმა ორგანიზმმა შექმნა პარაზიტი, რომელსაც მათხოვარი ეწოდება, იმ შემთხვევაში მე, განათლებული კაცი, რომელიც ჩემი საკუთარისა და ჩემი წინაპრების შრომის ნაყოფით ვსარგებლობ, ვერ უნდა ვითმენდე მას, ამ პარაზიტს. და თუ მე მას ცხოვრებისა და გამრავლების საშუალებას ვაძლევ, მეც მონაწილეობას ვილებ საზოგადოების დანაშავლობაში. როდესაც თქვენ რომელიმე მყრალ სახლში შედიხართ, განა თქვენ მარტო მოსამსახურეებს სდებთ ბრალს უსოფთაობაში და არა მასპინძელს? რადესაც თქვენ ტალახიან გზაზე მიდიხართ, განა თქვენ გზას სდებთ ბრალს და არა ადამიანებს, რომელთაც ის არ გაუმშრალებიათ?

ყოველივე კეთილ განწყობილ განათლებულ საზოგადოებაში მოქალაქები მოკავშირებათ ითვლებიან: მათ ერთი სისხლი, ერთი და იგივე მაჯის ცემა

აქვთ. ღარიბის სირცხვილსა და უბედურებას მდიდარი და პატიოსანი გრძნობს, სწორედ ისე, როგორც ცოდვები და ძრახვანი „ძლიერთა ამა სოფლისათა“ ჩრდილავენ საზოგადოების საფეხურს, ე. ი. მუშას და გლეხს. არ კმარა, რომ ადამიანი განკერძოვდეს საზოგადოებიდგან არისტოკრატის სახით. არ იკმარებს, რომ შენ შეიქმუხვნო შუბლი, ასწიო ცხვირი და წარმოსთქვა: „ეგ უბედურება სრულებითაც არ მეხება მეო.“ უბედურება — ეგ თქვენი ტანსაცმელია, თქვენი პურის ნივთიერებაა, თქვენი ტანის ხორცია. განკერძოვდით, რამდენიც გნებავსთ ამ სოციალური ტალახის „ნაშხეფები“ მაინც მოგხვდება თქვენ, მაინც შეუერთდება თქვენს ძარღვებს.

მათხოვარი — ეგ პარაზიტია, რომელიც დაბადებულა და აღზრდილა ტალახსა და სიბნელეში; მიეცით მას სისუფთავე, სინათლე — და აღარ იქმნება პარაზიტი. მათხოვარი — ეგ ჯოჯოა, რომელიც დაიბადა და ცხოვრობს გაუგებრობისა და უზრდელობის წუმპეში; გააშრეთ ეგ ჭაობი, გაანაყოფიერეთ მიწა და გაქრება ჯოჯო. ლაცაროონები ბურბონის დიდი ჭაობის პარაზიტები იყვნენ. თავისუფალმა იტალიამ გაამშრალა ეგ ჭაობი, და გაქრენ ლაცაროონებიც. და თქვენ წარმოიდგენთ კი, თუ რამდენი სარგებლობა მიუტანა იტალიას ამ მოვლენამ? თუ თქვენ არ გააშრობთ წუმპეს, სადაც ჯოჯო დაბინადრებულა, თუ თქვენ არ დასწვავთ ბუჩქს, სა-

დაც გველი დაბუდებულა, მაშინ, რასაკვირველია, თქვენი უზრდელობის, თქვენი მოთმინების წყალობით გველებიც გამრავლდებიან და ჯოჯოებიც.

ადამიანი, რომელიც ძონძებში დადის და მოწყალებას თხოულობს, წარმოადგენს უზნეობის სკოლას ბავშებისათვის, მუშებისათვის, ერთი სიტყვით, ყველასათვის, ვინც კი მახლობლად დადის და მას ზიზღით თუ გულმტკივნეულად უყურებს.

ბავში, რომელსაც მშობლები, ფულს აძლევენ მათხოვრებისათვის დასარიგებლად, ითვისებს ცრუ რწმენას, რომ სამოწყალოს გაცემა ერთად-ერთი საშუალებაა გლახაკების დასახმარებლადო. ბავში, რომელიც მუდამ ხედავს უსირცხვილოდ ხელგაშვერილს ქალსა და კაცს, და რომელმაც არ იცის, თუ იგინი განგებ იგლახაკებენ თავს,—ითვისებს ადამიანის ღირსების დაბეჩავება-დაქვეითებას. ხშირი შეხვედრა ისეთ ადამიანებთან, რომელთაც სირცხვილნამუსი დაუკარგავსთ, რასაკვირველია, კარგად ვერ იმოქმედებს ბავშებზე, რადგანაც საღ ადამიანს შეუძლია პური მოსთხოვოს სხვას მხოლოდ მაშინ, თუ იგი შრომის პირობას წარმოადგენს.

მუშა და გლეხი გლახაკ-მათხოვარში ყოველთვის ცინიზმისა და უზნეობის სკოლას ხედვენ. ისინი შრომობენ, ოფლითა თვისითა პოულობენ პურს, და ამ დროს ვინმე მათხოვარი სტაცებს მათ და ფლანგავს სამიკიტნოში; ამასთან ხშირად კიდევაც

დასცინის მათ, ვინც მოწყალება აღმოუჩინა. და ხშირად უკეთესნი მუშებიც, როცა მას ხედავენ, ფიქრობენ—რომ, თუ საქმე ძალიან გასჭირდა, მათაც შეუძლიათ ესევე: შემდეგ ისინი ნელ-ნელა კარგავენ რწმენას, ენერგიას და იბნევიან სიკეთისა და ბოროტების პრინციპებში.

მათხოვრობა ბადებს დანაშაულობათ; მათხოვარი უფრო ხშირად ქურდდება და ავაზაკდება. და თუ გვინდა, რომ პაუპერიზმი მოვკვეთოთ ჩვენს სოციალურ სხეულს, ყველაზე უწინ უნდა გავაქროთ მათხოვრობის იარა და გავაშროთ ჭაობი—რომ ნიადაგი ნაყოფიერი და მდიდარი შეიქმნას.

ამ თავს, რასაკვირველია, მათხოვარი ვერ წაიკითხავს, რადგან იმათ, მცირე რიცხვს გარდა, სულ არ იციან წერა-კითხვა. მე დავწერე იგი საშუალო და მაღალი კლასების პატრიოსან და შრომის მოყვარე წრეებისათვის, რომელთაც უნდა ეზიზღებოდესთ პარაზიტები; დავწერე იმათთვის, ვინც საზოგადოებრივი მექანიზმის გაუმჯობესებაზე ზრუნავს; თავისუფალ ქვეყანაში, როგორც მაგალითად ჩვენში, (იტალიაში) ყველა მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე. და უნდა შერცხვესთ ხალხის წარმომადგენელთ, თუ იგინი ყოველივე ღონეს არ ხმარობენ მოსასპობლად იმ მოვლენისა, რომელსაც მათხოვრობა ეწოდება. იმის მაგიერ, რომ „წითელსა“ და „შავს“ პარტიაზე იფიქროთ, იმის მაგიერ, რომ

ჟურნალების და გაზეთების პოლიტიკურ მიმართულებაზე იხეთქონ თავი, რა გიჭირსთ, რომ იზრუნოთ თქვენის ქვეყნის გაწმენდაზე და ცივილიზაციის პროგრესიული ნიადაგის მომზადებაზე; აი ამაზე უნდა ზრუნავდეს თავის სფერაში ყველა. ყოველ დღე ერთსა და იმავეს გაიძახიან, რომ საზოგადოებრივი აზრი განაგებს ქვეყნიერობასაო; მართალია, ის გვირჩევს ჩვენ წარმომადგენლებს, გვაძლევს მინისტრებს, კანონებს და სხ., მარა ამავე დროს ყველას ავიწყდება, რომ თვითეული ჩვენგანი შეადგენს ამ საზოგადოებრივი აზრის ნაწილს, რომ შეკრებილება იმ ათას შრომის-მოყვარე მოქალაქეთა, რომელნიც თრთოლვით იცავენ თავიანთ ღირსებას, შეადგენს ერთს პატიოსან, მდიდარ და პატივსადებ ნაციას. ჩინელები გაეცალენ ამერიკას იმიტომ, რომ დიდი წილი მუშათა რამოდენიმე წლის განმავლობაში ყვიროდა: არ იყოს „კულიებიო!“ და მათხოვრობაც გაქრება, სხვა საზოგადოებრივ ჭრილობებთან ერთად, თუ კი ინტელიგენტი და პატიოსანნი ადამიანები მუყაითად შეუდგებიან ქვეყნის გაწმენდას იმ ტალახისაგან, რომელიც ჩირქს სცხებს ჩვენი საზოგადოების მექანიზმს.

მაშ არ იყოს მათხოვრობა! თვითეულმა ჩვენგანმა თავისი საკუთარის ან წინაპართა შრომით ირჩინოს თავი! საზოგადოების ზრუნვის საგნად გახდენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ჯანმრთელობა, ძალა

და ჭკუა აკლიათ; იმათ აღარ შეუძლიათ გამოცდა იმ ნეტარებისა, რომელსაც ადამიანი გრძნობს შრომის დროს, თუ კი იგი (შრომა) მისივე სასარგებლოდ არის მიმართული, ნუ დაინახავს, მუშა-კაცი ადამიანის ღირსების საზოგადოდ გათელვას.

ყოველმა ადამიანმა ჩაიწეროს თავის ჭკვაში შემდეგი სიტყვები დიდებულ მოაზრეთა:

არც ერთი პროექტი ღარიბთა დახმარებისა არ არის ჩვენი ყურადღების ღირსი, თუ მას სახეში არ აქვს, ჩააყენოს საწყალი ისეთ პირობებში, რომ მას შემდეგ აღარ დასჭირდეს ნივთიერი დახმარება.

რიკარდო.

მე მგონია, რომ საუკეთესო საშუალება შეწევნისა მდგომარეობს არა იმაში, რომ დაეხმარო ღარიბს გაჭირვების დროს, არამედ იმაში, რომ ის სრულიად გამოიყვანო ამ მდგომარეობიდგან.

ფირსკლინი.

ქველმოქმედება, რასაკვირველია, მაკურნებელი საშვალებაა; მაგრამ უკეთესია, რომ ადამიანი გაურბოდეს სენს, ვინემ შემდეგ სამკურნალო საშვალებას ეძებდეს.

დიუშატელი.

საშიშია საზოგადოებრივი შემწეობის გაძლიერება, თუმცა ის, პირველი შეხედვით, ადამიანის გამომხსნელია უბედურებისგან. ქველმოქმედებას თავისი კლედეები და ღრეები აქვს.

დე-მელიუნი.

გულკეთილობა, რომელიც მარტო სამოწყალოს გაცემაში გამოიხატება, მხოლოდ მფარველობის გაწევაა მათხოვრობისათვის.

ვოლოვსკი.

თქვენ მიზეზი იკვლიეთ, და შედეგი თავის თავად მოვა.

თუ თქვენ არ გინდათ, რომ მათხოვრები გყავდესთ, შექმენით „ადამიანები.“

ვიქტორ მოდესტი.

არა მარტო ის არის გლახაკი—მათხოვარი, ვინც ძონძებში გახვეული ქუჩაში დგას, ტვერს ყლაპავს და კაპეიკს თხოულობს; არიან მრავალნი მათხოვარნი, რომელნიც მშვენივრად და მდიდრულადაც იცვამენ. მათხოვრად ვთვლი მე ყველა იმას,

ვინც არა თავისი ან თავისი წინაპარის, არამედ საზოგადოების შრომით და მოწყალებით ცხოვრობს.

მათხოვრები არიან ისინი, რომელნიც სასამართლო ადგილებს ეტანებიან მხოლოდ მიტომ, რომ მათი საქმე სამოწყალოს გაწესრიგება ჰგონიათ.

გლახაკები არიან ისინი, რომელნიც თაყვანს სცემენ მდიდართ და ცნობილთ იმ მიზნით რომ მათთან კარგად ისადილონ.

გლახაკები არიან ისინი, რომელნიც კარგს სწერენ ვისმეზე მიტომ, რომ მათგან სამაგიეროს გამოელიან.

მათხოვრები არიან ყველა ისინი, რომელნიც ვალებში ცხოვრებენ, სესხულობენ მეგობრებიდგან, თერძსა და მეწაღეს არ აძლევენ თავიანთ წილს; ნასესხები და ნათხოვნი ფულით თეატრში დადიან, იმდაბლებენ თავს, ზურგს ხრიან მიწამდე.

მათხოვრები არიან ისინი, რომელნიც ლაქიობენ სახლებში „ძლიერთა ამა სოფლისათა“, და სტყუებენ მათ ორდენებს, ადგილს, კათედრას და სხვ....

მათხოვრებათ ვთვლი მე ყველა მათ, რომელნიც ცხოვრობენ არა თავისი ხელისა თუ ჭკვის ძალით, არამედ ძლიერის და შეძლებულის ადამიანის მოწყალებით, იმ შეძლებულის ადამიანის, რომელ-

საც სირცხვილით და არა შრომით მოუპიებია ის, რაც აქვს.

განათლებული ქვეყანა უნდა ცდილობდეს, რომ თავი იხსნას ყოველგვარი გლახაკებისაგან, რომელნიც ერთმანეთისგან მხოლოდ ტანსაცმელით განსხვავდებიან და არა ხასიათით. უნდა ცდილობდეს, რომ აღმოფხვრას ძირები პარაზიტებისა, რომელთაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაუბუდნიათ. ყოველმა თქვენგანმა ზურგი შეაქციოს ამ პარაზიტებს, როგორც რომელიმე გასვრილს ცხოველებს, და ეს ზიზღი იქმნება სასჯელი იმ ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია ხმამაღლა დაგვისახელოს თავისი სიცოცხლის გზა-საშვალება.

ვეცადოთ, რომ გავსწმინდოთ ჩვენი ქალაქების ატმოსფერა და ამგვარად შეუძლებელი გავხადოთ მასში პარაზიტების დაბუდება. ვეცადოთ, რომ ყოველ ადამიანში გავაძლიეროთ საკუთარი ღირსების გრძნობა; რომ ეს გრძნობა განათლებულისა და მდიდარი კლასებიდგან მუშის ქოხმახშიც გადავიდეს; რომ უკანასკნელი თავის საჩელოსნოში ფსე კეთილშობილად და დიადად გრძნობდეს თავის თავს, როგორც მდიდარი გრძნობს თავის სალონში; რომ ყოველი თავმდაბალი მუშაკი თავის თავს ყოველივე თავმომწონე უსაქმურ ვაჟბატონზე მაღლა გრძნობდეს, რომ ყოველგვარი პარაზიტები აღგვილ იქმნან

პირისაგან ქვეყნისა. ჩვენ გვრწამს, რომ ასეთი დრო დადგება, და ამიტომ იმედით ვიმეორებთ ფოსას ღვთიურ სიტყვებს:

„ოღონდ განთიადი ვიხილოთ, და დღე თავის თავად დადგება, სინათლე კი ყოველთვის გამარჯვებულია“.

ხიდისთავი
თებერვალი 1901 წ.